

www.pearson.com

ს ვ ე ტ ი ს კ ხ ვ ე ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

**Svetitskhoveli**

*Scientific Historical Journal*

ISSN: 1987 - 6874

№2, 2009



*უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მის მაღალეპოვლადუსამღვდელოესობასთან, მანგლისისა და წაღკის ეპარქიის მმართველთან, ჟურნალ "სვეტიცხოველის" მთავარ რედაქტორთან, მიტროპოლიტ ანანიასთან (ჯაფარიძე) ერთად.*



**პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი**

## **"მოწყალების საქმე ბადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)**

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

\*\*\*

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედიტეკის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა**. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

\*\*\*

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე

**ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი  
ივლისი 2008 წელი**



**საქართველოს საპატრიარქოს,  
 საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და  
 საქართველოს ზემოქუარი უნივერსიტეტის  
 თეოლოგიის სასწავლო - საგანმანათლებლო  
 სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი**

**eZrvneba swmidessa da unetaress,  
 sruliad saqarTvelos kaTolikos-patriarqs ilia meores**

მთავარი რედაქტორი: **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**


მთავარი რედაქტორის  
 მოადგილეები: **ვლადიმერ დოლიძე  
 მამუკა მაცაბერიძე**

სარედაქციო საბჭო: **ზურაბ გასიტაშვილი  
 ივანე გორგიძე  
 ვახტანგ გურული  
 შალვა ნატყებია  
 გივი დამბაშიძე  
 არჩილ ფრანგიშვილი  
 ტარიელ ფუტყარაძე  
 გურამ ჯავახიძე**

კომპიუტერული  
 უზრუნველყოფა: **ირმა ჯიშკარიანი**

ჟურნალის ვებ-გვერდი: <http://sveticxovelijournal.ge>

© სვეტიცხოველი  
 სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.  
 მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.  
 ISSN 1987-6874  
 გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009.



ჟურნალ  
„სვეტიცხოველი“,  
1917 წლის  
1 დეკემბრის,  
ყდის ფრაგმენტი

## სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ მეორის ხელდასმით მაშინდელმა „სრულიად საქართველოს საკათალიკოსოს საბჭომ“ დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმებისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ – სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წარმოდგენილი ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უსაზღვროა პასუხისმგებლობა, რასაც ჟურნალის საკრალური სახელდება და წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ მეორის საუკუნის წინანდელი, უკვდავი ღვაწლი გვაკისრებს და დღევანდელი ჟურნალ "სვეტიცხოველის" გამოცემა, ძველი, კირიონისეულ "სვეტიცხოველის" აღდგენასაც გვინდა ნიშნავდეს, უფლის მეოხებით შევძლებთ აღნიშნულს.

ახლა უკვე, ჟურნალის მეორე ნომრიდან იწყება უფლის განმგებლობით და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის 76-ე ბრძანებით საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი და ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიების უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა გამოქვეყნება საქართველოს წინაშე მდგომ ფუნდამენტურ პრობლემათაგან, და აღნიშნული, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ფუძემდებელია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობისათვის.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჟურნალი „სვეტიცხოველი“ ცოცხლობს მკითხველისათვის.

**მამუკა მაცაბერიძე**  
**მთ. რედაქტორის მოადგილე**



**ს ა რ კ ვ ე ვ ი :**

**უწმიდესი და უნეტარესი,**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა:  
 უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
 კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან  
 სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა  
 სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი ----- 4

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის 76-ე ბრძანებით  
 საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი,  
 საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი  
 კომისიის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა მაცნე №1 ----- 10

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და  
 საეკლესიო მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ე.წ.  
 „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ ----- 11

**მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)**

ქართველები ე.წ. „დასავლეთ არმენიაში“ ----- 30

**ზვიად გამსახურდია**

"სამეგრელოს საკითხი"  
 (ისაკი ჟვანია და სამეგრელოს „ავტონომია“) ----- 43

**ტარიელ შუტკარაძე**

საქართველოს "ორგვარი" ლინგვისტურ-ეთნიკურ-პოლიტიკური  
 ისტორია და ადეკვატური რუკების პრობლემა  
 ("ქართლის ცხოვრების" ტექსტში ჩართული უნდა იყოს  
 ამ ისტორიული ძეგლის მიხედვით შექმნილი რუკა) ----- 56

**როზეტა ბუჯაჯიანი**

ტრადიციული ქართული მენტალობის ისტორიიდან  
 ("მეფე", "სამშობლო" და "სარწმუნოება" ქართულ ტრადიციაში) ----- 77



"ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" -----	91
<b>რაულ გვეტაძე, დავით გვეტაძე</b> ასომთავრული ანბანთწყობა და ქართული ქრონოლოგიის სათავეები საქართველოში აღმოჩენილი ფარული ნიშნების (კრიპტოგრამების) კვლევები -----	105
<b>გიორგი ბიბაური</b> ფარული ნიშნები (კრიპტები) და ასომთავრული -----	107
<b>გიორგი კოკოშაშვილი</b> კრიპტოგრამული ნიშნები და ქართული ასომთავრული -----	123
<b>საქართველო გერმანელი ანთროპოლოგის თვალთ</b> ინტერვიუ ანთროპოლოგ ფრანკ ტრემელთან ჩაიწერა მარიკა ლაფაურმა -----	133
<b>ბამოსაცემი მასალის გაფორმების წესი</b> -----	151





უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 76-ე ბრძანებით  
საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი,  
საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი  
მუდმივმოქმედი კომისიის უმნიშვნელოვანეს  
ბამოკვლევათა მაცნე

№1

საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს  
რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია  
2009 წელი



ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ-ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ՇՄԵՆՏ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ

ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ

ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ

ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ

ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ

ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ  
ԵՆԻՇՏՈՒՄԱՆ ԵՏՃՅԵՆՅՈՒՄ



**საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და  
 საეკლესიო მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული  
 ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ**

**„XIX-XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის  
 ბაუჭებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბაუჭების  
 კვირიოლში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და  
 ენათმეცნიერების საფუძვლები.“**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 76-ე ბრძანებითან სრულიად  
 საქართველოს საპატრიარქოსადმი**

"egrentisaameSinis,  
 radncahdawirads;  
 noyaresantersavufrixi,  
 noyaxda, nocinads"...  
**rustaveli**

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში, XIX ს-ის ბოლოს შეიქმნა ანტიქართული ისტორიოგრაფიული თეორია, რომელსაც ამჟამად ეწოდება „ქართიზაციის“ თეორია.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოს დაპყრობის ეპოქაში რუსეთმა იმპერიული დევიზის „გათიშე და იბატონე“-ს შესაბამისად შეაფერხა ქართველი ერის ინტეგრაცია-კონსოლიდაციის პროცესი. მან ამ საქმისათვის გამოიყენა არა მხოლოდ სამხედრო ძალა, არამედ სამეცნიერო წრეები. როგორც რუსეთის იმპერიაში ასევე საბჭოთა კავშირში ისტორიოგრაფია გამოიყენებოდა, როგორც მძლავრი იდეოლოგიური იარაღი მცირერიცხოვანი ერების დასაშლელად და დასამორჩილებლად. რუსეთმა აღნიშნული იარაღი განსაკუთრებულად გამოიყენა საქართველოში, რადგანაც მას აქ დახვდა ხალხი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით და მაღალინტელექტუალური ელიტით. ქართველთა მხრიდან ამ წინააღმდეგობის გადასალახავად რუსეთმა გამოიყენა სამეცნიერო და საუნივერსიტეტო წრეები, რის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ თვით წმიდა ილია მართალი პუბლიცისტურ წერილებში. ცარიზმის დაკვეთით პეტერბურგის უნივერსიტეტში, ქართველი ერის მთლიანობის დანაწევრების მიზნით, პროფესორმა ქ. პატკანოვმა და მისმა სამეცნიერო წრემ, (მათ შორის იყო ნიკო მარი) შექმნა ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია. ქეროფე პატკანოვის (ქეროფე პეტროსის ძე პატკანიანი) და ნიკო მარის მოსაზრებების, პატკანოვ-მარის „თეორიის“ საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ წმიდა ილია მართალი

<sup>1</sup> «სომეხთა მეცნიერნი და ქვათა დაღადი» ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობას განეკუთვნება, რომელიც პირველად გაზეთ «ივერიაში» გამოქვეყნდა 1899 წელს და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად, მოგვიანებით კი რუსულ ენაზეც დაისტამბა.





ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შეილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა“.<sup>4</sup>

XIX-XX სს-ში, ქართველთა ფსიქიკაში განუწყვეტლივ ინერგებოდა თვალსაზრისი, რომ ქართველობას საერთო ისტორია არასდროს ჰქონია, მიმდინარეობდა საერთო ეროვნული თვითშემეცნების ნგრევა-შლა. წმიდა ილია მართალი წერდა „არაფერი ისე არ აერთიანებს ერს, როგორც საერთო ისტორია, საერთო სარწმუნოება. წმიდა ილია მართლის ეს თვალსაზრისი არის უშუალო გაგრძელება რუის-ურბნისის კრების მამების მტკიცებისა, რომ წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ეკლესია მოიცავდა სრულიად საქართველოს როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ მხარეს, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სახარება „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545), რომ ასევე წმიდა ნინო „სარწმუნოებასა მიმართ მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 546). მაშასადამე ქართველ ერს, როგორც ადასტურებენ „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე აერთიანებდა საერთო სახელმწიფო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი. საერთო ენა და საერთო ეკლესია წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდეგ. საეკლესიო, ასევე კულტურისა და სახელმწიფო ენა ძველი ქართული ენა იყო, რადგანაც მთელ ამ არეალზე ცხოვრობდა ერთი ენის მქონე მოსახლეობა, როგორც მემატინე წერს საქართველოში არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა. ამიტომაც წმიდა წერილის ზეპირი და წერილობითი თარგმნის ეპოქაში, II-IV სს-ში (1800-1600 წლის წინ) ძველქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი. საზოგადოდ, მოციქულთა ეპოქაში საეკლესიო წესების თანახმად წმიდა წერილი უნდა თარგმნილიყო ყველა ენაზე. აღნიშნავდა კიდევ პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ თავის ეპისტოლეში: – „სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუხლი მოდრკეს და ყოველმან ენამან აღუაროს სადიდებელად ღვთისა“ (ფილიპელთა მიმართ, თავი II, მუხლი V). ამ საეკლესიო წესიდან გამომდინარე, რადგანაც სრულიად საქართველოში იმუამად ძველი ქართული ენა წარმოადგენდა როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ყველასათვის გასაგებ, საერთო ენას, ამიტომაც მხოლოდ ამ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი. მიიხნეოდა, რომ კუთხური მეტყველებანი წარმოადგენდნენ ძველი ქართული ენის დიალექტებს. მაშასადამე, მთელ ამ არეალზე ქართველ ერს აერთიანებდა საერთო ისტორია, საერთო სარწმუნოება, საერთო ენა.

XIX-XX სს-ში, როგორც აღინიშნა, განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ქართული შემეცნებიდან საერთო ენისა და საერთო ისტორიის ამოშლა. და ამუამად, სამწუხაროდ, ფაქტიურად დაინერგა თვალსაზრისი, რომ თითოეული კუთხის მოსახლეობას გააჩნდა საკუთარი წარმომავლობა და საკუთარი ისტორია. მაგალითად, ასე წარმოაჩენენ კოლხეთის, ჰერეთის და სხვა კუთხეების

<sup>4</sup> უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2006 წ.




ისტორიას. იმასვე აქტიურად იმეორებს რუსული პრესა, რასაც სათანადო პასუხი უნდა გაეცეს.

XX საუკუნეში, ათეისტურ-ბოლშევიკური რეპრესიების შემდეგ, ისტორიოგრაფიაში ჭეშმარიტების ძიება წახალისებული არ ყოფილა, უფრო მეტიც, კულტივირებული იყო წყაროების გაყალბება ან მათი ინტერპრეტირება ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ჩაყენება მარქსისტული იდეოლოგიის სამსახურში. ქართიზაციის თეორია რომ გადაიქცა საბჭოთა ეპოქაში ქართული ისტორიოგრაფიის ოფიციალურ თეორიად ჩანს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდანაც, რომლის X ტომის სტატიაში „ქართველები“ ნათქვამია: „ქართის ტომმა“ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები „არაქართულ და არაქართველურ“ ტომებში შედწევა-ინფილტრაცია და მათი ასიმილაციის შემდეგ IX-X სს-ში ჩამოყალიბდა „აღმოსავლურ-ქართული ეროვნება“ [4]. ამ სტატიის მიხედვით, ქართის ტომმა შეძლო „ჰერულ-ალბანური მოსახლეობის ქართიზაცია“ [4]. მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, ჰერები და ალბანელები ერთი ხალხია ანდა ჰერულ-ალბანური მოსახლეობა ერთი ეთნოსია, რომელიც შემდგომ ქართიზებული იქნა და შეემატა „აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას“. აქედანაც ჩანს, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იყო დრო როდესაც ჰერები ქართველები არ იყვნენ.

ამავე თეორიით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბებულია აღმოსავლურ-ქართული ეროვნება და მისი სახელი ყოფილა - "ქართველები", ხოლო დასავლეთ საქართველოში ამავე თეორიით, თითქოსდა განსხვავებული ეთნოსი ცხოვრობდა.

იმავე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, დასავლეთ საქართველოში თურმე ჩამოყალიბებულია სხვა დასავლურ-ქართული ეროვნება და ასეთი პროცესები განვითარებულია: დაიწყო დასავლეთ საქართველოს „ქართიზაცია“ ეკლესიის მეოხებით - „IX საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა“, რის შემდეგაც ტერმინმა „ქართველი“ კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა [4].

რუსი ინტერვენტებისა და სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების დროს, ასევე ოკუპანტების მიერ აფხაზეთის მიტაცების წინ ე.წ. „იდეოლოგიურ ომში“ ქართველთა დამარცხება უნდა აიხსნას „ახალი ქართული ისტორიოგრაფიის“ სისუსტითაც, რომელიც იქამდე ათეული წლების მანძილზე აცხადებდა, რომ თავდაპირველად, უძველეს ხანაშივე, კოლხეთის სამეფოს ეპოქაში, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღური ტომებით და შემდგომ დროს მათ ადგილზე ჩასახლდნენ ქართველური ტომები. არა მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს მხოლოდ ერთეული ისტორიკოსები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა, "ქართიზაციის" თეორიით ხელფეხშეკრულმა, ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო სიმართლის წარმოჩენა, რადგანაც იქამდე მეცნიერულად ამტკიცებდა "ქართიზაციის" თეორიის შესაბამისად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, მათ შორის, სამაჩაბლოში ისტორიულად მცხოვრები დვალელები თითქოსდა ქართველები კი არ იყვნენ, არამედ – არაქართველები, რომელთა "ქართიზაცია - გაქართველება" მოხდა



გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. თითქოსდა, არა მარტო დეალები და სხვა მთიულები, გაქართველებული "ქართველები" ხალხი ყოფილან – ჰერ-კახები, ქვემო ქართლელები, ტაო-კლარჯელები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თანაც თურმე მათი ასიმილაციის პროცესში საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღოდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სტატიაში "ქართველები", როგორც ითქვა, ასეთი ტერმინოლოგიით არის აღწერილი ეს პროცესი. რუსული "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიხედვით კი, თავდაპირველად დღევანდელი ინგილოები ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში იყვნენ. საინტერესოა, რომ თბილისიდან ამჟამად დაბეჯითებით უნერგავენ საინგილოს მოსახლეობას თვალსაზრისს, რომ ისინი ეთნიკური ჰერები არიან. თუმცა აქამდე ინგილოებმა თავიანთი ჰერობის შესახებ არაფერი იცოდნენ და ისინი თავიანთ თავს აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. ამჟამად კი თვალსაზრისი, რომ ინგილოები ჰერები არიან, ძალზე გავრცელდა. ამის პარალელურად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰერები და ალბანელები ერთი ხალხი იყო და, ამასთანავე, ალბანელები აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები იყვნენ, შესაბამისად, ჰერულ-ალბანური კულტურა აზერბაიჯანული კულტურის საკუთრებაა და შემდგომ ქართულმა ეკლესიამ ის მიისაკუთრა. მაშასადამე, ინგილოები თუ ჰერები არიან, ისინი ამის გამო აზერბაიჯანულ ტომად მოიაზრება. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული კი პატკანოვის სულისკვეთებით და ნიკო მარის „ნაღვაწითა“ გენერირებული: თანახმად დიდი ივანე ჯავახიშვილისა, ნ. მარი არა თუ აფხაზებს, არამედ მეგრელებს და სვანებსაც კი არაქართველებად თვლიდა. ივ. ჯავახიშვილი წერდა – „აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევიან. აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ, რაც შეეხება მეგრელებს და სვანებს და დაუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი“ [5].

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის არაქართველებად "გადაქცევის" შემდგომ, ნ. მარმა აღმოსავლეთ საქართველოსაც "მიხედა", მისი "თეორიის" თანახმად, ფშავ-ხევსურები ჩანჩური ტომები ყოფილან და შემდეგ გაქართველებულან. ამ "თეორიას" ზოგი ქართველი მეკვლევარი რუსულად უკეთებს ტირაჟირებას, მაგალითად 1983 წელს ზ. ანჩაბადის რედაქტორობით დაბეჭდილ წიგნში "Ĕ́óĕŭóĕíŭá áçàèîîñâÿçè íàĕîíîá Āĕóçèè è òâíóĕ íĕáâèâèàçüÿ" ნ. მარის შესახებ ნათქვამია – Â ñâíâî òĕóââ «Ĕ èñòíĕèè íàĕáâèèâèàçüÿ ŷòâòè÷âñèèĕ íàĕîíîá», íí íèĕâò ñèââóþŭââ: «Íâ ñèĕîþ, ÷òí ãĕóçèîñèèâ ãíĕöŭ, â ÷èñèâ èĕ òââñóĕŭ è íĕââû, ííâ ñâé÷âñ íĕââñòââèëÿþòñŷ òâèèèèè ãâ ãĕóçèîèçèĕĕíâíííîèèè èäâíâíâèè ÷â÷âíñèîíâí íàĕíââ». ნ. მარს სხვა შრომებშიც აქვს ანალოგიური "მიგნებები": Â òĕóââ «Íèâíâííé ñîñòââ íâñâèâíèÿ Ĕââèàçà» Í. Íâĕĕ íñíâí âŭââèèè ÷â÷âíí-èíâóññèèâ íèâíâíâ, íòíâñŷ èĕ è âîñòî÷íé ãĕóííâ ŷòâòè÷âñèèĕ íàĕîíîá Ĕââèàçà, â èíòíĕóþ ãĕíâÿò íĕââû, òââñóĕŭ è òíââ òóĕèíŭ èèè áâöâŭ [6].

ნ. მარის თანახმად მთელი სამხრეთი საქართველო არა ქართველების, არამედ



სომეხთა მიწა-წყლად მიიჩნევა, ხოლო იქაური ქართველობა – გაქართველებულ სომეხებად [7]. უთუოდ ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საქართველოს და ქართველი ერის მიმართ იმ ბიოლოგიური ზიზღისა რასაც სხვადასხვა ჯურის მომხვდური ავლენს.

**6. მარის მიმდევარ ქართველ აგტორთა აზრით, დასაფლეთ საქართველოში იქამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი "ქართიზაცია" და ეს პროცესი ბრალდება ქართულ ეკლესიას, რომელიც თითქოსდა იჭრებოდა სხვა, უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასაფლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მათ მრევლს ითვისებდა. ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში. პროზელიტიზმი კი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისათვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. საქართველოს ეკლესიისათვის ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე აგტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის „წარმოჩენა“ სურთ, მაგალითად, 2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში" [8], სადაც ნათქვამია: "ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის".**

ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების დანგრევის მიზნით რუსულ სპეცსამსახურებში შექმნილი ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის – უახლესი ისტორიის ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი საფრთხის იდეოლოგიური საფუძველის დასამკვიდრებლად XX ს-ის 20–30-იან წლებში რუსულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მიერ, ჭეშმარიტებით შექმნილი, ჩვენი ხალხის ძველი ისტორია "რეაქციულ თეორიად" გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ "გადამწყვეტი ბრძოლა" უკვე „გამარქსისტებული“ მეცნიერების მხრიდან. აღნიშნულის ტრალიზმს აძლიერებს ის ფაქტი, რომ "ქართიზაციის" თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც. **ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში.** "ქართიზაციის" თეორიის გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა "იმპერიალიზმის" შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა "ერები" ჰყავთ დაპყრობილი; ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი-ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართულის - "აღზევებით" იჩაგრება სხვა ქართველური "ენები"; ეს ყოველივე კი მაგანთათვის საფუძველს ქმნის არაქართველებად გამოაცხადონ ქართველთა ერთი ნაწილი, შესაბამისად, არაქართულად მიიჩნიონ მათი მეტყველება [9]. მაგალითად ნათელა ქუთელია ამასთან დაკავშირებით წერს: "ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა - მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ "ოკუპანტებს დაუპყრიათ" და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. არსებობს "დოქტრინა" - არ არსებობს ქართველი ერი, არსებობს ცალკეულ ტომთა





კონგლომერატი" (ნ. ქუთელია, 2005, ქართული ენა, როგორც კულტურულ-ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი; კრებულში: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, IV, თბილისი, გვ. 273).

უთუოდ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდებდა საქართველოს „მცირე იმპერიას“ ცნობილი რუსი მეცნიერი ა. სახაროვი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ლეგალიზებული "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, რუსული „პრაგოსლავნაია ენციკლოპედია“-ს სტატიებში) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვთ ამ კუთხეებზე.

შეუძლებელია, საქართველოს წმიდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო, იმიტომ რომ „პროზელიტური“ ისეთ ეკლესიას ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: „ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება, უნდა განიკეთოს ისიც და მის მიერ ხელდასხმულებიც“ („დიდი სჯულის კანონი“ 1974, მოციქულთა კანონები).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: "ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, აღექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის" ("დიდი სჯულის კანონი" 1974, მოციქულთა კანონები).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო - "ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები" (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი). იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და



მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყოფნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები? რომლის შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, "რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ", სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყოფნენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

**საქართველოს ეკლესია კი თურმე, "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის“ პროცესს“ [10].**

ქართული ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ვერისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს: "ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ვერის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყვსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს-ის ბოლო ან IX ს-ის დასაწყისი); შემდგომ IX ს-ის მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება". ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება [11].

თუ როგორი რეაქციული იყო ქართული ეკლესიის ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა – ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: "ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული



ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" [12].

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX-საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა "საისტორიო თეორიას" ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოთა ისტორიკოსების სიტყვებით). ცნობილი ბერძენი კანონისტი - მიტროპოლიტ მაქსიმეს 1966 წელს გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია", არ შეიცავს ცნობებს აღნიშნულთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა სცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედა ეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. აღნიშნული "საეკლესიო თეორია", საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა რუსულმა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში".

არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ან შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს – „მის ეპარქიებში“ ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული, ათასწლოვანი, საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომელიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპეზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. აღონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყალამდე (ვახტანგ გარგასალის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ასე რომ, ჩვენი ძველი საეკლესიო მატრიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში იმთავითვე, ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა



ქვეყანასა საქართველოსასა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა".

რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მონაწილე წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად როდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს - გიორგი II-ს, X-საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957 წ.წ.), [პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი II-სადმი; გეორგიკა, IV, ნაკვეთი II]; ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

აღმოსავლეთში, ზოგი ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თვით წმიდა ნინოს საქმიანობა თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (აღბანელები) გაექართველებინა. ჩვენი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმიდა ნინოსი ძალზე უცნაურია. ეს ქართველი მეცნიერი წერს: ბოდბე, სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე, მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აქ "აღბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო". "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა, არა მხოლოდ აღბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც" [13]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-აღბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა აღბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყვებს" (მოვსეს ხორენაცი. "სომხეთის ისტორია"; 1984; გვ. 172).



წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით - იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალელები გაქართველებული ვაინახები არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. მისგან განსხვავებით ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს "პროზელიტიზმის სიმბოლო" აღუმართავს ახლადშემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოდბეში) და წერს - "მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით "აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ" [დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38.], **ასე იქცა ჩვენი მეცნიერის სიტყვით, "ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად".** აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების "ასიმილაცია - გაქართველების" მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

ილია მართლის სიტყვით - „პატკანოვის შევირდი“, "ქართიზაციის" ყალბი თეორიის ერთ-ერთი ავტორი, ნ. მარი "მეცნიერულად ასაბუთებდა" ერთიანი ქართველი ერის არ არსებობას. მან ქართველი ერის სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს "იაფეტური" ხალხები დაარქვა, ხოლო ქართველურ და მის მონათესავე ენებს "იაფეტური" და "თუბალ-კაინური". **ნ. მარმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა "დაესაბუთებინა", რომ თითქოსდა მეგრელები არ იყვნენ ქართველები.** ერთი წყაროს არასწორი კომენტირებით მან ქართველ მეცნიერებს მიაღებინა დოგმა თითქოსდა "ქართველის" ტომმა კულტურულ-ეკლესიური ზემოქმედების საშუალებით მეგრელი "ხალხი" "გააქართველა" IX-X საუკუნეებში. ივანე ჯავახიშვილმა პასუხი გასცა ამ ყალბ თეორიას და დაასაბუთა, რომ ქართული ენა არათუ IX-X საუკუნეებში იქცა დასავლეთ საქართველოში კულტმსახურების ენად, არამედ თვით წარმართობის დროსაც კი დასავლეთ საქართველოში - სამეგრელოსა და სვანეთში, წარმართული კულტმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებოდა [14]. მიუხედავად პატკანოვ-მარის "ნაღვაწიდან" გენერირებული სიყალბის მხილებისა ივანე ჯავახიშვილის მიერ, აღნიშნული "თეორია" დღესაც განაგრძობს დამანგრეველ მოქმედებას ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა.



ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის გაცნობის შემდეგ, თვით ქართველები, ივიწყებენ ნაციონალურ ინტერესებს და კუთხურობის აპოლოგეტები ხდებიან, ამის ერთი კარგი მაგალითია 1994 წელს გამოცემული წიგნი "სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო"<sup>5</sup>. ამ წიგნის შესავალში წერია: "აღმოსავლეთ საქართველოში იბერების მოქმედებით განადგურდა სვანური მოსახლეობა" (**ა. ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო. 1994, გვ. X**), სხვა მსგავსი ციტატები ამ წიგნიდან: "შირიანმა სასტიკად დასაჯა ეს ... ჰერი-წანარი-სვანები, ვინც უღეტას გადაურჩა, აყარა და დაასახლა ახლანდელი სვანეთის ტერიტორიაზე, რბევას გადარჩა ალბანეთის მოსახლდვრე ტერიტორია" (იქვე, გვ. XI). აი, კიდევ ამონარიდები ამ წიგნიდან: "ჰერების კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ჰერების ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. II-I სს. მიჯნაზე" (საქ. ისტ. ნარკ. ტ. II, გვ. 402). "აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის იბერიზაციამდე სვანური მოსახლეობა იყო" (**ა. ლიპარტელიანი, "სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო"<sup>5</sup>. 1994, გვ. XIII**). ეს ქართველი მეცნიერი თავის წიგნშივე უთითებს მისი აზრების წყაროს - ესაა ნიკო მარი და იმოწმებს ნ. მარის რუსულენოვან წიგნებს - ნიკო მარი, "მოგზაურობა სვანეთში" (1911-1912 წ.წ.) და ნ. მარი, "ხე - მცენარეულობის იაფეტური სახელები" (1913 წ.).

ამგვარადვე, ფაზისის აკადემიის ერთი ქართველი წევრი წერს: „523 წელს კი სპარსეთმა ბოლო მოუღო იბერიის მმართველობას, იბერიის მეფე გურგენი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ბიზანტიაში გადაიხვეწა, ხოლო სპარსეთის ვერაგული გეგმის თანახმად სახელმწიფოს მართვის სათავეში მოდიან ქართველები, მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის გაწირვის ფასად და იმ ხანად ქართველების მმართველთა ქმედება ხელისუფლებაში მოსასვლელად არაკანონზომიერი და მოღალატური იყო“ [**კ. ფიფია, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, „უნდა ითქვას სიმართლე“, ცოტნეიდელი, ტ. II, 2005-08 წ.წ.**].

თუ ჩვენი ზოგი ისტორიკოსი ყველა ქართულ თემსა და ტომს საკუთარ წინაპარს გამოუძებნის - მაგალითად, ინგილოებსა და კახელებს - ჰერ-ალბანელებს, ფშავ-ხევსურებს - ვაინახებს, ქვემო ქართლებს - სომხებს, დასავლელ ქართველებს - ადიღე-ჩერქეზებს და ა.შ. თუ განაცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ "ქართიზებულ" იქნა – ერი და სახელმწიფო დაიყოფა. მით უმეტეს, რომ წყაროები, თუ მათ კარგად და სწორად წავიკითხავთ, მიკერძოების გარეშე, არ იძლევა ამის უფლებას, პირიქით, ჩვენი წყაროები: **"მოქცევაი ქართლისაი"** თუ **"ქართლის ცხოვრება"** დადადებენ, რომ **ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს - "ქართლის სამეფოს" მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი და ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადიოდა აზონისა და ფარნავაზის დროს; თუ რას ნიშნავს წყაროს ეს მითითება, გვიხსნის წმიდა ამბროსი ხელაია: "ჯერ კიდევ არაქრისტიანი ქართული ტომის მოდგმებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით - ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა". მაშასადამე,**

5. თავისთავად, სადავოა ის ფაქტი, რომ ლექსიკონს თარგმნითის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული და არა განმარტებითისა (რადგან სინამდვილეში სვანური ლექსიკა ქართული სალიტერატურო ენით განიმარტება და არა ითარგმნება, როგორც ეს იქნებოდა უცხო ენასთან მიმართებაში).



კათოლიკოს-პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას, და ზოგადად საქართველოს წმიდა ეკლესიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე I-IV საუკუნეებამდე, ქართველთა მოდგმამ შექმნა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო, მატარებელი ერთიანი ქართული კულტურისა.

რუსულ იმპერიას ჩვენი ისტორიოგრაფებისათვის თავისუფალი მუშაობის საშუალება რომ მიეცა, საჭირო არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა და არც წმიდა ეკლესია განაჩენდა შემდეგს: "დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას" [15].

ამჟამად, გარკვეული ქართული წრეები ისე წარმოადგენენ საქმეს, თითქოსდა რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ეთნიკური და კულტურული სახე იყოს დამახინჯებული, სინამდვილეში აქ საქართველოს ყოველი კუთხის და საერთოდ ქართველი ერის ისტორიაა გაყალბებული, როგორც თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალადან ჩანს, სტატიების ავტორები ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კახეთის და მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მხარეები ისტორიული ალბანეთის მიწა-წყალადაა გამოცხადებული, ალბანელები კი აზერბაიჯანელი ერის წინაპრებად მიიჩნევა, ჰერები - ალბანელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და მახლობელი მხარეები - ალბანელების ანუ აზერბაიჯანელების წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად მოიაზრება. საქმე ისაა, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკლესიის ისტორიის გაყალბება, წყაროებზე ზეწოლა და მისი მონაცემების თვითნებური ინტერპრეტირებით ყალბი დასკვნების მიღება, ჯერ თვით საქართველოს მეცნიერთა მიერ და შემდგომ მათი დამოწმებით უცხოელ ავტორთა მხრიდან. კერძოდ, "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" სტატია "ალბანეთის საკათალიკოსოს" რუკის მიხედვით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი (ქვემო კახეთი) - ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევა.

რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" სტატიაში: "ალანის სამიტროპოლიტო" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ ახალგორის, ყაზბეგის და მიმდებარე მიწა-წყალი წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ალანის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი და, რაც მთავარია, მიწა-წყალი ალანურ-კონსტანტინოპოლურადაა გამოცხადებული. **(2008 წლის აგვისტოს შემდეგ ცხადი გახდა რისთვის დაიწერა რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" ამდენი სიყალბე საქართველოს შესახებ).**

დასავლეთ საქართველოში ამავე "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" სტატიის "აფხაზეთის საკათალიკოსო"-ს მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა არაბების დროს გადასახლდა იქ და შეიტანა ქართული ენა და კულტურა". ეს თითქოსდა იმის შედეგად მოხდა, რომ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში შეიჭრა



მცხეთა და იქ გაბატონდა. აფხაზი სეპარატისტებიც ამ თვალსაზრისს არიან ჩაჭიდებულნი; 2005 წელს გამოიცა "აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოკლე ნარკვევი" მღვდელ-მონაზონ ღორთოე ღბარის ავტორობით, სადაც დამოწმებულია რუსული "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" აღნიშნული სტატია - ქართველების დასავლეთ საქართველოში გადასახლების შესახებ VIII-X სს-ში, ავტორი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა ეს "ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს" [16].

მაშასადამე, ჩვენში ისტორიულად ორი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის შესახებ. პირველის მიხედვით დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდანვე უწყვეტად საქართველოს ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასახა რუის-ურბნისის კრებამ, ამჟამად ეს თვალსაზრისი უარყოფილია და საყოველთაოდაა აღიარებული მეორე თვალსაზრისი, რომ IX-X სს-მდე დასავლეთ საქართველო ბერძნული ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა.

სამწუხაროდ, ახლახან, 2007 წელს, გამოცემული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომში ერთადერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული მეორე თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო IX-X სს-ში ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შესაბამისად უარყოფილია ძველი ქართული საეკლესიო თვალსაზრისი. აღნიშნული ენციკლოპედიის მე-13 ტომში წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის, სტატიის ავტორის სიტყვით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლადაა წარმოდგენილი და მიწოდებულია მკითხველისადმი, თითქოსდა ის ერთადერთი თვალსაზრისი იყოს, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: „ქართველებს იმთავითვე წმიდა ნინო ერთიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს განმანათლებლად მიუჩნევიათ. და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა“. მართალია „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები მიუთითებენ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის წყაროთა სიმწირის შესახებ, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ დუმან და ოდნავ მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის შესახებ, რომ ამ საკითხს თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუის-ურბნისის კრებამ და მიიღო შესაბამისი განსაზღვრება, როგორც ჩანს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს ქართველ ავტორებს არ მიაჩნიათ წყაროდ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის კვლევის საქმეში.

ჩვენი თვითმიზანი არ არის „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ში გამოთქმული თვალსაზრისის კრიტიკული განხილვა, ჩვენ ამ საკითხით საერთოდ არც დაგინტერესდებოდით, ის რომ არ ეხებოდეს საქართველოს ეკლესიის და საერთოდ ქართველი ერის მთლიანობის საკითხს. საბედნიეროდ, ჩვენზე გაცილებით ადრე ივ. ჯავახიშვილი შეეხო სწორედ ამ თემას, გამოწველივით განიხილა და მოგვცა დიდებული დასკვნა, ნიშანდობლივია რომ „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს ავტორებმა არ გაითვალისწინეს ივ. ჯავახიშვილის ეს დასკვნა და შეფასება:

XV ს-ში საქართველოს დაშლა-დანაკუწების ჟამს ჩამოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი,





რომელმაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი მთლიანობის დასარღვევად“ [ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340].

მაინც რა თეორია შეთხზა უცხოელმა იერარქმა? ეს თეორია რომელიც თითქოსდა ხელახლა გაცოცხლდა აღნიშნული ენციკლოპედიის ფურცლებზე შემდგომში მდგომარეობს – ანდრია მოციქული არაა განმანათლებელი სრულიად საქართველოსი, ასევე წმიდა ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილის განმანათლებელია – ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუისურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძების სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ [ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 340].

სამწუხაროა, რომ ძველ ქართულ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან როგორცაა „პრაგოსლავენაია ენციკლოპედია“.

მაგალითად, წინააღმდეგ ძველი ქართული წყაროებისა „პრაგოსლავენაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე – ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში VI-IX სს-ში არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა „ეგრიისის სამეფოში I ნოტიციის მიხედვით არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (მათი აზრით – ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით – როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა), და აბაზგიის ეპარქიის სებასტოპოლის (ცხუმის) ავტოკეფალური საეპისკოპოსო კათედრა (გვ. 200). თითქოსდა შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა. **ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში "პრაგოსლავენაია ენციკლოპედიის" მიერ დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.**



რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში", დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი "სომხების" გაქართველება. "სომხების" გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გაგრძელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორები წერენ: კირიონ I კათალიკოსმა, ქვემო ქართლში "არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" [17].

სომეხი ავტორები და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ "გაქართველდა". ესაა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომელიც ქართული საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უჭველ დოგმად იქცა და ეს უკანასკნელი მას ავითარებდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში, აღნიშნული ტენდენცია კი XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში რუსული საოკუპაციო რეჟიმების დამყარებით წარმოჩინდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ერთი სიტყვით რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" სხვადასხვა ტომში გამოქვეყნებული სტატიები არის მარცხი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისა. მოსალოდნელი იყო, რომ სამეცნიერო წრეები ამ საკითხის განსახილველად გამართავდნენ მსჯელობას და მოხდებოდა სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლა, მაგრამ არაფერი დაინტერესებულა ამ პრობლემის განხილვით.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა "ქართიზაცია - გაქართველების" ყალბ თეორიას (რაც თითქოს ეკლესიის წინამძღოლობით ქართის ტომმა VIII-X სს-ში მოახდინა), არ შეუძლია ამჟამად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა უკანასკნელ ხანს (2008 წლის აგვისტო) მომხდარი, მორიგი რუსული აგრესია და ანექსია, საქართველოს წინააღმდეგ – რაც მზადდებოდა დიდი ხნით ადრე და გარდა მილიტარისტულისა შედგებოდა ინტელექტუალური დივერსიის მდგენელისაგან, რომელიც ცხადია დაფუძნებულია "ქართიზაციის თეორიაზე";

ქართული ისტორიოგრაფია, საქართველოსათვის დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობის პრობლემის გადაჭრას შეძლებს, თუ ის გაიზიარებს ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა VIII-X სს-ში ეკლესიის მეოხებით მეზობელი ტომების ქართიზაციის შედეგად, არამედ ისტორიაში გამოჩენის დროს ქართველი ხალხი წარმოადგენდა ეთნიკურად მთლიან, ერთ ხალხს, ერთი ენითა და კულტურით, რომლის საცხოვრისი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, რომ იმთავითვე ქართველები იყვნენ არა მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობა, არამედ - ეგრისელები, სვანები, კახელები და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, რომ მათ ჰქონდათ ერთი ენა (სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართული ენა) რომელსაც დაეყრდნო საღვთისმეტყველო ლიტურგიკული ენა (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ), რომ მხოლოდ შემდგომ დაიწყო ამ ერთიანი ენის შიგნით დიალექტების წარმოქმნა.



ასეთი ვითარება არ არის უპრეცედენტო (მაგალითად, ერთი სლავი ხალხი იქამდე ერთიანი ენის მქონე მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაიყო სხვადასხვა დიდ ენობრივ ჯგუფებად).

ერთი ენისა, მმართველობისა და ერთი ეკლესიის არსებობის შესახებ მოგონებები დაუცავს ჩვენი ხალხის ისტორიულ მახსოვრობასაც. მაგალითად, ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი ოსმალეთის საქართველოდან დაბრუნების შემდეგ გაოცებული იყო ლაზთა შორის შემორჩენილი ისტორიული მახსოვრობით, რომ მათ ოდესღაც თავდაპირველად დანარჩენ სხვა ქართველებთან ერთად ჰქონიათ საერთო ენა, ერთიანი სახელმწიფო (მმართველობა) და ერთი სარწმუნოება. ის თავის წერილში „ოსმალეთის საქართველო“ წერდა – „იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია ერთს ბედსა და უბედურების ქვეშ ვყოფილვართ, ერთი მეფეები გეყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება გვქონია“.

კიდევ უფრო ადრე იმავეს წერდა წმიდა დიმიტრი ყიფიანი როცა რუსული ხელისუფლება შეეცადა სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის განდევნას – „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის, ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ. მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით“ [18].

**ფაქტი ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტესშობამდე არსებობის შესახებ დაფიქსირებულია ძველ ქართულ წყაროებში, მაგალითად, როცა "მოქცევაი ქართლისაი" აღნიშნავს, რომ აზონი დაადგინეს მეფედ მთელი ისტორიული საქართველოსი, რომ მისი პირველი, ერთიანი "ქართლის სამეფოს", დასავლეთ საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ცხადია, იგულისხმება, რომ ეგრისწყალთან მდებარე ეგრისი ქართლია, ქართლის სამეფოს ნაწილია, და მისი მოსახლეობა ქართველი ერის ნაწილია, რადგანაც აზონის ეპოქაში, ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეებში პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები "მოქცევაი ქართლისაი"-ის მიხედვით ასეთი იყო: "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა" [19]. ამავე თვალსაზრისს ატარებს "ქართლის ცხოვრება", ყველა მეფე უკლებლივ, ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასალამდე, ფლობს დასავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უეჭველად ქართული იყო (ჩვენი საეკლესიო წყაროების ცნობით) და ამ მოსახლეობას არ ესაჭიროება არავითარი "ქართიზაცია - გაქართველება". როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც ანდრია პირველწოდებული მთელი საქართველოს მომაქცევლად, ხოლო წმიდა ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებლად იწოდება.**

თუ ოფიციალური ისტორიოგრაფია არ გაიზიარებს ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, ცხადია, ვერ შეძლებს ვერც რუსული "პრაგოსლაგნაია ენციკლოპედიის" და ვერც ე.წ. სეპარატისტთა (სინამდვილეში - მეზობელი იმპერიის მესვეურთა) მიზნების ჯეროვან შეფასებას და ქვეყნის დაცვას დეზინტეგრაციისა და ტერიტორიული რღვევის, გარედან ინიცირებული, დესტრუქციული პროცესებისაგან.



## დასკვნა

ქართველი ერის მთლიანობის დასარღვევად პატკანოვის მიერ შემუშავებული თეორია მართალია დაძლეული იქნა წმიდა ილია მართლის მიერ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დროს ის აღორძინდა ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიის სახით და XX ს-ის 30-იანი წლებიდან გადაიქცა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთადერთ მიმართულებად. ამ თეორიას იზიარებს და ეყრდნობა თითქმის ყველა ნაბეჭდი საისტორიო ნაშრომი. ამ სახით პატკანოვ-მარის საისტორიო თეორია, ამჟამად, უკვე დამკვიდრდა ერთადერთად და შეუცვლელად. ეს თეორია კი საშიშია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ძირს უთხრის ქართველი ერის და ეკლესიის მთლიანობას. მას, ვითარცა ერთადერთ ჭეშმარიტ საისტორიო თეორიას, ასწავლიან ყველა საერო სასწავლო დაწესებულებაში. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სასულიერო სასწავლებლებში მაინც თავს აარიდებდნენ „ქართიზაციის“ თეორიას, მაგრამ სასწავლო პროგრამებიდან, ჩანს, რომ მან სასულიერო სასწავლებლებშიც შეაღწია, რაც ძლიერ საშიშია საეკლესიო მთლიანობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობისათვის გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია აღდგეს საღვთისმოსავო მადლით მოსილი ავტორიტეტი ძველი ქართული წყაროებისა და რუს-ურბნისის კრების მამების "ძეგლისწერისა", დიდი ილია მართლის (ჭავჭავაძის) და დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო მიმართულებისა ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში.

## ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე. **ქვათა დაღადი**. რედაქტორი: თენგიზ სანიკიძე; გამომცემლები: დ. გვიჩიანი, მ. მხეიძე, ბ. კუდავა. თბილისი 1994 წ. <http://www.nplg.gov.ge/frames.php>
2. დიმიტრი ბაქრაძე. **პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები**. დროება; 1884.,1-5 მაისი; 94-98. // დიმიტრი ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა - თბილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1884: ექვთ. ხელაძის სტ.; დაცულია: სპეზ; პალატა; საქ. მუზ.; გრიშაშვილი; არქივი; ქუთაისის საჯარო; ქუთაისის უნ-ტი; რუსეთის ეროვნული ბიბ-კა [სპზ]; რუსეთის მეცნ. აკად. ბიბ-კა [სპზ].
3. ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984 წ. გვ. 48.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი X, გვ. 458, 460. თბილისი 1986 წ.
5. ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I, გვ. 152.
6. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. დედაეკლესია. გამომც. „განათლება“ 1996 წ., გვ. 191-193.
7. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. დედაეკლესია. გამომც. „განათლება“ 1996 წ., გვ. 208-209.
8. დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005.
9. ტ. ფუტყარაძე. ქართველები. გამომცემლობა: "ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2005, გვ. 42-77.



10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ“, 1981 წ. გვ. 61.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973, გვ. 427.
12. თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574-601.
13. დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ.38.
14. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. გამომცემლობა "მერანი" 1998 წ., ტომი მეორე, გვ. 269-270.
15. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 23, 2005, საპატრიარქოს უწყებანი, 45, გვ. 7.
16. ზაბიძის ანთროპოლოგიური მონაცემები "ქართული ენციკლოპედია" და "საქართველოს ისტორიის ნარკვევები", 2005 წ.
17. "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბილისი 2000 წ., გვ. 28.
18. ა. ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III, გვ. 72.
19. "მოქცევაი ქართლისაი", ძეგლ. I, 1964 წ., გვ. 81.



## ვიზროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)

### ქართველები ე.წ. „დასავლეთ არმენიაში“ („სომეხ ძალკედონიტთა“ ეთნიკური ვინაობის შესახებ)

#### ბამოწხიზღაპის ორი მთავარი სტიმული

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ ისტორიული სომხეთის მიწა-წყალი (ურარტუს ტერიტორია) არმენიელების შემოსვლამდე, ე.ი. ქრისტეშობამდე VI ს-მდე, ქართული ტომებით იყო დასახლებული. მას ფაქტიურად ეთანხმება ნ. ადონცი, რომელიც მრავალ წყაროზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისტორიულად ქართველების საცხოვრისი – ვანის ტბის სამხრეთიდან ქართლამდე – შუაზე გაჰკვეთეს არმენიელებმა, ამიტომ არმენიელების როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით ქართველთა საცხოვრისი მოექცა. მაგალითად, მისი აზრით, ვანის ტბის სამხრეთით მდებარე კარდუხთა ქვეყანა კორდუენი და ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველთა ქვეყნები იყვნენ, ხოლო ქართველების დასახლება არმენიის დასავლეთით ხელუხლებლად იქნა შენარჩუნებული – იგულისხმება ქალდეველთა ანუ ჭანთა ქვეყანა „კარდუ“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 23-27) – ივ. ჯავახიშვილის კვლევიტაც ის ქართველთა ისტორიული სამშობლო ყოფილა, რომლის სახელი ქართველთა სამივე შტოს – სვანებს, მეგრულ-ლაზებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს ჰქონიათ შემონახული (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1951, გვ. 403-404).

სომხეთის გაქრისტიანების შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ძალზე ძლიერი სომხური ეკლესია, გაგრძელებულა ჯერ კიდევ ადრევე დაწყებული ქართველთა არმენიზაციის პროცესი. ჯერ კიდევ სტრაბონი (სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 189) აღნიშნავდა ე.წ. დასავლეთ და ჩრდილო არმენიის შესახებ, რომ ხორძენა, პარიადრე და გოგარენი არმენიის სახელმწიფომ იბერიას წაართვა. ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე ქართველთა არმენიზაციის პროცესმა გაქრისტიანების შემდეგ რელიგიური სახე მიიღო. ამის გამო, საეკლესიო ენა დასავლეთ (ქართველებით დასახლებულ) არმენიაში იყო არა ქართული, არამედ სომხური ენა. ბიზანტიის იმპერიაში შემავალ დასავლეთ არმენიაში საღვთისმსახურო ენა ადგილობრივი მოსახლეობისათვის სომხური იყო, თვით იმ ქართველთათვისაც კი, რომელნიც ბერძნულ ეკლესიებსა თუ მონასტრებში მოღვაწეობდნენ. მათი ოჯახური მშობლიური ენა იყო ქართული ან მისი დიალექტები, მაგრამ სომხური მათთვის ღვთის სადიდებელ და საღვთისმსახურო ენად იქცა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილი, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნი – ბერძნულენოვანნი გახდნენ საეკლესიო თვალსაზრისით. ქართველთა შორის ინტენსიურად ინერგებოდა სომხური ენა, რის შედეგადაც ადგილობრივი ქართველები არა მხოლოდ ეკლესიურად, არამედ სომხურენოვანნი და შემეცნებითაც სომხები ხდებოდნენ. სომხური ენის, კულტურის, ეკლესიის და შემეცნების ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ქართველთა არმენიზაციის პროცესი ზოგან ვერ დასრულდა. სომხური კულტურული ცენტრების ძლიერების მორყევისას – არაბთა შემოსევების ეპოქაში, აღმოჩნდა, რომ დასავლეთ არმენიის



(მათ შორის იგულისხმება ბასიანის, ტაოსა და მიმდებარე მხარეების მკვიდრი მოსახლეობა) ქართველების დიდ ნაწილს, ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ეროვნული ცნობიერება, ნაწილობრივ კი ცოდნა ქართული ენისა, საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებისა – ერთი სიტყვით, კულტურული თავისთავადობა, რაც საფუძვლად გადაიქცა ტაოსა და კლარჯეთში ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისთვის ქართული სახის მინიჭებისა, ქართულ ენას სიწმინდის ფუნქცია მიენიჭა. ეს იყო ნამდვილი კულტურული რევოლუცია ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის. მისი საფუძველი უნდა ყოფილიყო 1) კირიონის მიერ ქართული ენის აღორძინება გუგარქში, 2) 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრება, რამაც ეკლესიურად გამოაფხიზლა ქართველობა.

**პროვინცია არმენიაკონი**

VII ს-ში ჭანეთსა და მის მოსაზღვრე მხარეებს შესულთ ბიზანტიის სახელმწიფოში „არმენიაკონი“ დაერქვა. ის გადაშლილი იყო სინოპიდან ფაზისამდე. შედგებოდა ყოფილი კაპადოკიის, I, II არმენიისაგან. მას პონტოს სახელი ეწოდა მის მეზობლად მცხოვრები სომხების გამო (ნ. აღონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 203).

ჭოროხის ხეობას ხალდეა, ხალდოპორი ერქვა. აქ იყო ბარხონი (ვარხონი) – პარხარის ქედთან. აქ იყო სადგომი ოკენიტების ჭანებისა, ხარტას მაღლა ვაკე ადგილზე იყო, დასახლება კენა, ოკენა (ო – პრეფიქსია, ქართული სა-ს ფარდი), ე.ი. ოკენა-კენების ანუ ოკენიტი ჭანების საცხოვრისია. ოკენის დასავლეთით პუნქტი სისილისი (სისილისი – ზიზიოლა, ზიზიოლა – ნიკოპიდ – სატილას გზაზეა, სატალადან 18 მილზე). გზა გადიოდა გაილ-კელკიტის მდინარის გასწვრივ, ე.ი. ზიზიოლა – ამჟამინდელ კელკიტთან იყო. პროკოფის ცნობით, სისილისი და კენა პარხალის ქედზე იყო. Notatia Dignitatum (1839) თანახმად, ჭანები დაიპყრო იუსტინიანემ ტახტზე ასვლისთანავე, ამიტომ ალბათ იქ რომაული ჯარები არ იდგნენ და სისილისი ჭანიკის გარე საზღვარზე მდებარეობდა პარხალის ქედზე. ოკენიტების ცენტრი – ხარტი – სამხრეთ მთისწინებში იყო, ბაიბერდის და სატალის გასწვრივ. როგორც ჩანს, საისინის კათედრა სისილისში იდგა.

სისილისიდან ერთი დღის გზაზე იდგა ბურგი – ლონგინოს ადგილთან ახლოს, აქედან კოკსილონთა ტომის ოლქი იწყებოდა და ქალაქები სხიმალანისონი და ცანჩაკომი, ჭანჭაკომი ზღვის ნაპირთან – სურმენესთან ახლოს (ამჟამინდელი ზაფხაგი) – მდ. კარადერესთან – ჭანჭაქონთან ახლოს კოქსულინოა – ძირი (ფუძე) კოქს და ქართული – ული (ნ. აღონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 65).

ჭანების სახელი შემოინახა ჯანიკმა. აქედან განდევნილი ჭანები შემდეგში ცხოვრობდნენ მდ. ხარშუტთან. არდასის ჩრდილოეთით ძვეს ზიგანა, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტი იყო – ლაზიკის ხუთი ეპისკოპოსიდან ერთერთის რეზიდენცია. ეკლესიურად ჭანიკა ლაზიკას ეკუთვნოდა, ჭანებს უფრო ადრე ქაღდები ერქვათ. ჭანების პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდის გამო მთელ ქვეყანას VI ს-ში ჭანეთი დაერქვა. VIII ს-ში გაცოცხლდა ძველი დასახლება – არმენიაკონის თემის დაშლის შემდეგ ერთ მის ნაწილს ქაღდეა დაერქვა (ნ. აღონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 65).



### ქალდიის თემი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ტრაპეზუნტის ჩათვლით იუსტინემ VI ს-ში შეიყვანა ბიზანტიის იმპერიის იმ პროვინციაში, რომელსაც „I არმენია“ ეწოდებოდა. მალევე VII ს-ში ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – „არმენიაკონი“, საბედნიეროდ მალევე, ბიზანტიამ ამ პროვინციას აღუდგინა ძველი სახელი და მას უწოდა „ქალდეას თემი“. ეკლესიურად ქალდეას თემს იქამდე და მის შემდეგაც მოიცავდა კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქია, რომლის სამიტროპოლიტოში შედიოდა ფაზისის, როდოპოლისის, პეტრას, ზიგანას და საისინის საეპისკოპოსოები. ნ. აღონცის აზრით, ყველანი ისინი მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-არზრუმის შემაერთებელი გზის პირას. ესენი იყვნენ ცნობილი ქალაქები, რომელთა მეტ ნაწილში რომაული კოჰორტები იდგა, ისინი ჭანიკა-ლაზიკის ეპარქიაში მდებარეობდნენ. ამ ქალაქების საეპისკოპოსოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჭანეთში მდებარეობდა, რომელიც ვრცლად იყო გადაჭიმული პარხალის მთიანეთში და ნაწილობრივ ჭოროხისა და მდ. კელკიტის ხეობებში. „ქალდიის თემის“ სახელმწოდების აღდგენით ბიზანტიამ ფაქტობრივად აღიარა, რომ ამ მიწა-წყლის მკვიდრი მოსახლეობა იყო ქართველობა – ჭანებისა და ლაზების სახელწოდებით, მათი არმენიზაცია მიუხედავად იმპერიული ხელშეწყობისა VI-VII სს-ში სომხურმა ეკლესიამ ვერ შეძლო, რადგანაც ეკლესიურად კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდნენ. უფრო მათი გაბერძნების პროცესი იყო დაწყებული.

### იბერიის თემი

VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ე.წ. „დასავლეთ არმენიის“ უდიდესი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს. გამონაკლისი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ტრაპეზუნტიდან პარხალის მთების ჩათვლით, სადაც ძველებურად განაგრძობდა არსებობას „ლაზიკის ეპარქია“ თავისი ოთხი საეპისკოპოსოთი (პეტრა, ფასისი, როდოპოლისი, საისინი), თვითონ ტრაპეზუნტი არ შედიოდა ამ ეპარქიაში, ლაზიკის ანუ ფასისის სამიტროპოლიტო ტრაპეზუნტის მომიჯნავე მთებში, არზრუმის მიმართულებით იყო განვრცობილი. ბიზანტიელებმა მალე შეძლეს არაბების მიერ დაპყრობილი მიწების გათავისუფლება ვანის ტბის მიმართულებით, შესაბამისად, ბიზანტიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შეუერთდა გათავისუფლებული ახალი ქალაქები, სადაც აღდგა და არსებობა განაგრძო ქალკედონურმა ეპარქიებმა. ტერიტორიული სიახლოვის გამო ეს გათავისუფლებული ქალაქები შეუერთეს „ლაზიკის ეპარქიას“, ხოლო მის ცენტრად გამოცხადდა ტრაპეზუნტი, სადაც დაარსდა სამიტროპოლიტო ცენტრი. მაშასადამე, ტრაპეზუნტი სხვის ეპარქიაში მყოფი საეპისკოპოსოდან გადაიქცა სრულფასოვან სამიტროპოლიტო ცენტრად თავისი ეპარქიებით ვანის ტბის მიმართულებით. მას უწოდებდნენ „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს ლაზიკაში“ და მასში შედიოდა 10-15 საეპისკოპოსო. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში აღნიშნული მიწა-წყლის ნაწილი ბიზანტიამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად შეიყვანა „იბერიის თემში“, რითაც ცნო, რომ ეს მიწა-წყალი სინამდვილეში დასახლებულნი იყვნენ უფრო მეტად არა არმენიელებით, არამედ ქართველებით. მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია მოიცავდა იბერიის თემის ნაწილს, ქალდიის თემის დიდ ნაწილს, ასევე ძველი გუგარქის ნაწილს, ეს გუგარქი იწყებოდა ჭოროხიდან და რკალისებურად აღწევდა უტიკამდე.







და ბანას ახლო ჩრდილოეთიდან) არცახამდე. მაშასადამე, კლარჯეთიც გუგარქში მოიაზრებოდა. ეს მომენტი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ კირიონის ცნობილი ღვაწლი ქვემო ქართლში (გუგარქის ერთ ნაწილში) ქართული ენის თავის ძველ უფლებებში დასაბრუნებლად, უთუოდ მთელი გუგარქის (მათ შორის ტაოსა და კლარჯეთის) ქართველებისათვის იმპულსის მიმცემი იქნებოდა. გუგარქი რომ ჭოროხის აღმოსავლეთ სანაპიროდან იწყებოდა, ამის შესახებ წერს სომხეთისა და კავკასიის ისტორია-გეოგრაფიის დიდი მცოდნე ნ. ადონცი.

გუგარქის ქართველობას სპარსთა მპყრობელობისას VI ს-ში კლარჯეთიდან უტიკამდე თავისი ქვეყნის ბედის შესაბამისად ეკლესიებში აუკრძალეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება და მის ნაცვლად სომხურენოვანი წირვა-ლოცვა დაუნერგეს.

ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის გადიოდა ჭოროხიდან ნიზიბინამდე ისე, რომ ტაო და გუგარქი ირანში მოექცა, შესაბამისად ისინი ე.წ. პერსარმენიის ნაწილად მიიჩნეოდა. ირანი VI ს-ში ქართლში, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ, ცდილობდა ბიზანტიური ორიენტაციის, ე.ი. ქალკედონური ქართული ეკლესიის ყოველმხრივ დაზარებას, შესაბამისად ტაო-კლარჯეთ-გუგარქში შეიზღუდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად ქართველთა შორის დაინერგა საეკლესიო-სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ქართველებს არავითარი პროტესტის გამოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, რადგანაც ძალზე მჭიდრო იყო სომხურ-სპარსული კავშირი (იხ. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I). საბედნიეროდ, 591 წლის შეთანხმებით შეიცვალა სასაზღვრო ხაზი ირანსა და ბიზანტიას შორის, იმდენად, რომ საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის მცხეთასა და თბილისს შორის გავიდა, ისე, რომ მცხეთა ბიზანტიურ ნაწილში მოექცა, თბილისი კი ირანისაში. ბიზანტიელთა მხარდაჭერით გაძლიერებულმა მცხეთელმა კათალიკოსმა კირიონმა გაბედა და თავის ქართულ მრევლს, გუგარქ-ქვემო ქართლში მცხოვრებთ, აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება, რაც მოუთმენელი იყო სომხური ეკლესიისთვის, თუმცა საბოლოოდ კირიონის ღვაწლით თანდათანობით ჯერ ქვემო ქართლის, შემდეგ კი ტაოსა და ასევე ჩრდილო არმენიის მკვიდრი ქართველობა თანდათან დაუბრუნდა საეკლესიო ქართულენოვნებას. ქართული ენა – ქალკედონიტობის სიმბოლო და ქართველთა ეროვნული ცნობიერების საყრდენი გახდა.

### დიდი ბაძცევა სომხური ეკლესიისაგან

ვინც წაიკითხავს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნაშრომებს სომხებთან დაკავშირებით, გაეცნობა ღვაწლს, რათა ქართული წმიდა წერილიდან აღმოფხვრილიყო სომხურის ყოველგვარი ნაკვალევი, რის შესახებაც მიუთითებდა კიდევ გიორგი მცირე, მისთვის მაინცდამაინც ძნელი არ იქნება წარმოდგენა იმისა, რომ ე.წ. ყოფილი „არმენიის“ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველების მიზანი იყო როგორმე განეშორებინათ ქართველი ერი სომხური ეკლესიისაგან, სომხური კულტურისაგან, სომხური ტრადიციებისაგან, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული ვინაობა, ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მათ თვალწინ კვლავ გრძელდებოდა საუკუნეთა წინ დაწყებული მასობრივი პროცესი სომხებში ქართველთა ასიმილაციისა.



**„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“  
 დასავლეთ არმენიის ქართველთა საუნჯე**

მას შემდეგ, რაც მკვიდრი ქართველები პოლიტიკურად აღმოჩნდნენ სომხურ სახელმწიფოებრივ ერთეულებსა და წარმონაქმნებში პერსარმენიასა თუ რომაულ არმენიაში, გუგარქსა, ტაო-კლარჯეთსა თუ ბასიანში, სომხური ეკლესიის უღელქვეშ მოექცნენ, როგორც აღინიშნა, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში დაიწყო ქართული ენის ტოტალური დევნა – ეს განსაკუთრებით ითქმის პერსარმენიაში მცხოვრებ მკვიდრ ქართველთა შესახებ. დაიწყო ქართველთა არმენიზაციის თითქმის შეუქცევადი პროცესი. ქართველთა არმენიზაცია შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა „რომაულ“, ანუ დასავლეთ არმენიაში იმის გამო, რომ აქ ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულენოვანი იყო. ამის გამო აქ მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი არ დასრულდა, მახლობელმა და იქაურებმა (ე.ი. ტაოს, კლარჯეთის, კოლას, ბასიანის და სხვა კუთხეების) ქართველებმა იცოდნენ, რომ ისინი ეროვნულად ქართველები იყვნენ, მაგრამ როგორც გამარჯვებული ბერძნები, ისე სომხები, მათ მშობლიურ ქართულ ენას დევნიდნენ, ავიწროვებდნენ, ქართული ენა იქცა „მდაბალ და დაწუნებულ ენად“, თითქოსდა ამ ენით ღვთის დიდება შეუძლებელი იყო, ე.ი. ამ საქმისთვის „დაწუნებულიც“. მხოლოდ იმედი ასულდგმულებდათ იქაურ ვინაობაშენარჩუნებულ ქართველებს. იცოდნენ, ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, როცა ქართული ენა თავის უფლებებს აღიდგენდა. ამ კუთხის ქართველების იმედი სინას მთის ბერმა შეგვინახა. იქ დაცული ქართული მანიფესტით – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

**არმენიის ქართველთა დიდი ბამოფხიზლება**

კირიონმა აანთო პირველი ნაპერწკალი ეროვნული გამოფხიზლებისა, რომელიც აიტაცა „დიდი არმენიის“ თუ დასავლეთ არმენიის მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ გუგარქში, კოლაში, ტაოში და კიდევ უფრო სამხრეთით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, რომლის სანაპიროსთან ახლოს მცხოვრებმა ქართველებმა ვალაშკერტის საეპისკოპოსოს დააარსეს. ეროვნებააღორძინებულმა ქართულმა მრევლმა ჩამოაყალიბა სხვა ქართული საეპისკოპოსოებიც – ანისისა, კარისა (ყარსისა), დადაშენისა და სხვა ქალაქებისა, თვითშემეცნებულმა, ანუ სომხური ასიმილაციისაგან გათავისუფლებულმა ქართველებმა მიიწვიეს თავიანთ მიწა-წყალზე ტაოს მეფე დიდი დავით კურაპალატი, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულ „ქართველთა საკურაპალატოში“ შეიყვანა ვანის ტბამდე მცხოვრები ეს მკვიდრი ქართველები. სიხარული და ეროვნული სიამაყე ვინაობაადგენილი ქართველებისა განუზომელი იყო, რაც გამომჟღავნდა განსაკუთრებით ათონის მთაზე. სწორედ ამ მხარეებიდან წამოსული ივერიელების მიერ, რომელთაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეწეოდა იმით, რომ ქართულ ენასა და ქართულ სიტყვას მფარველობდა. სწორედ ასეთი სასწაულებრივი გამოცხადების შემდგომ მიეცა მყისიერად ცოდნა ქართული ენისა პატარა ექვთიმე მთაწმინდელს, ამ სიხარულმა ააგებინა საოცარი ტაძრები ტაოსა და კლარჯეთში მკვიდრ ქართველებს, ესენი იყვნენ ნიშან-სვეტები მათი ეროვნული გამოფხიზლებისა, სომხური ეკლესიისაგან დიდი გაქცევისა, მისი უარყოფისა და ვინაობის აღდგენისა. ამ გათავისუფლების დიდმა ძალამ გვიბოძა ამ კუთხეებში ეს არქიტექტურის



შედევრები. ვითარცა დაგუბებულ წყალში გროვდება დიდი ძალა და ენერგია, რომელიც ვლინდება მისი გათავისუფლების შემდეგ, ასეთივე ძალით აფეთქდა ქართული კულტურა სამხრეთ საქართველოში.

**თვითშეგნებულ ქართველთა მტკიცებანი, რომ ისინი სომეხები კი არა, ქართველები არიან**

„ვინ არიან ისინი, არა ვუწყოთ, ქართველნი თუ სომეხნი“ – მოახსენეს ანტიოქიის პატრიარქს გიორგი მთაწმინდელის დროს XI ს-ის დასაწყისში. „ჩვენ ქართველები ვართ“, – პასუხობდა წმიდა გიორგი.

„აღმოსავლეთის დომესტიკოსი სომეხია“, – წერდა იმპერატორის ქალი ანა კომნენი.

„ჩვენ ქართველნი ვართ“, – პასუხობდა და მრავალგზის აღნიშნავდა გრიგოლ ბაკურიანის ძე, ტაოელი დიდებული იმავე საუკუნეში.

„ვართ ნათესავით ქართველნი“, – დაღადავდნენ დასავლეთ არმენიის წმიდა მამები და, მაშასადამე, მთელი მოსახლეობა. ქართველობა ღირსების საგნად იქცა. ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებული სახე, ეროვნულობა გახდა უმთავრესი სიხარულისა და სიამაყის საგანი იმ ქართველთათვის, რომელნიც იქამდე პოლიტიკურად სომხურ სახელმწიფოებრივ ერთეულებში ცხოვრობდნენ, რომლებზეც სომხური ეკლესიის მძლავრობა ცხოვრებისეული მოვლენა იყო – მაგალითად, ჯავახეთიდან, ანუ ყოფილი გუგარქის ერთი კუთხიდან იყვნენ კირიონ კათალიკოსი და გიორგი მთაწმინდელი (ამიტომაც გამოსახეს ალბათ მისი სახე თითქმის იმავე რეგიონში მდებარე ახტალის ტაძარში), კახეთ-ჰერეთიდან იყო ილარიონ ქართველი – ქართული ენისათვის მებრძოლი წმინდანი, ჰერეთის ქართველობა თითქმის X საუკუნემდე სომხური ეკლესიის უღლის ქვეშ იმყოფებოდა, ტაოდან – სომხებისთვის უჭკველი „სომხური მხარიდან“ იყვნენ დავით კურაპალატი – ქართველთა სამეფოს ერთ-ერთი დამაარსებელი, წმიდა თორნიკე ერისთავი, წმიდა იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები. ყველანი იყვნენ ქართველთა ეროვნული გამოფხიზლებისათვის მებრძოლნი, ისინი კულტურულ-პოლიტიკურადაც სომხური კულტურისაგან და უღლისაგან ათავისუფლებდნენ ქართველობას ე.წ. „ყოფილი სომხური“ მხარეებისა.

**ე.წ. „სომეხ-ქალკელონიტთა“ ნამდვილი ვინაობა**

ნ. აღონცი წერს: ლაზიკის მთავარი ქალაქები იუსტინიანემ I არმენიაში შეიყვანა. იქამდე ქართული უძველესი ეთნოაკვის დამრწვევი მხარეები – კაპადოკია, პონტო და ქალდეა-ჭანეთი – იმპერიამ მიაკუთვნა არმენიას (მცირესა და დიდს, აღმოსავლეთ და დასავლეთს) და აქ ქართველობა განიცდიდა უმძიმეს ზეწოლას სომხური კულტურისა და ცხოვრების წესისას, მითუმეტეს, რომ ამ მხარეებში დომინანტ ხალხად იმპერია სომხებს აღიარებდა – ამან გამოიწვია აქაური მკვიდრი ქართველების დენაციონალიზაცია, ანდა დაწყება დენაციონალიზაციის პროცესისა. ქართველები სომხდებოდნენ, დიდი ნაწილი უფრო სამხრეთით კი მასიურად გასომხდა. ეს პროცესი, სტრაბონის მიხედვით, ქრისტეშობამდე დაიწყო – სომეხთა მიერ იბერიის მხარეების – გოგარენის, ხორძენის, პარიადრეს მიტაცების შემდეგ, რომელნიც საქართველოს ფაქტიურად აღარც დაბრუნებია, მხოლოდ გოგარენის ერთი მცირე ნაწილი დაიბრუნა ჩვენმა ქვეყანამ, X საუკუნეში „ქართველთა სამეფო“



აფეთქების მსგავსად გაფართოვდა და მიადგა ვანის ტბის სანაპიროს. მიზეზი ამისა უნდა ყოფილიყო არა სამხედრო სიძლიერე ამ სამეფოსი, არამედ ტაოდან ვანის ტბამდე მცხოვრები მოსახლეობის ჯერ კიდევ ცოცხალი ეთნოთვითშემეცნება, რომ, მართალია, ისინი გასომხების გზაზე იყვნენ, მაგრამ მტკიცედ ინახავდნენ და ახსოვდათ თავიანთი ქართველობა, ამის გამო შეიქმნა აქ მომენტალურად ქართული საეპისკოპოსოები – ეროვნული სახელმწიფოს ფრთათა ქვეშ აყვავდა და გაიფურჩქნა ქართული სულიკვეთება. მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. ბასილი II-მ ეს მხარეები მყისიერად ჩამოართვა საქართველოს და, შეიძლება ითქვას, მოსახლეობა დაუბრუნა არმენიზაციის საუკუნოვან გზას.

ნ. ადონცი, თავის მხრივ, ჩივის, რომ დასავლეთ არმენიაში სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოების მრევლი ბერძნულენოვანი ღვთისმსახურების დანერგვის შედეგად ბერძნდებოდა, ეს შეიძლება სადავო იყოს, რადგანაც სომხები ახერხებდნენ ბერძნული იურისდიქციის ქვეშაც წირვა-ლოცვის ენა სომხური ყოფილიყო, ამის შესახებ თვითვე მიუთითებს. თუმცა კი სამართლიანად წერს – „ნაციონალური იდეისა და გრძნობებისათვის კონფესიონალური საკითხები არცთუ მცირე საფრთხეს წარმოადგენდნენ, რომელნიც დროის მსვლელობასთან ერთად ისე იძაბებოდნენ, რომ შეეძლოთ ეროვნული ინტერესების ჩახშობა. აღმსარებლობითი განსხვავებების მიხედვით იმ დროისთვის ისაზღვრებოდა ენის გამოყენება (ნ. ადონცი, გვ. 202).

როგორც აღინიშნა, ნ. ადონცი წერდა – „აღმსარებლობითი განსხვავებულობა იმ დროს განსაზღვრავდა ენის გამოყენებას არა მხოლოდ ღვთისმსახურებისას, არამედ საეკლესიო სულისკვეთებით გამსჭვალულ ლიტერატურაშიც. ამის შესაბამისად სომხები, რომლებიც მიეკედლნენ საიმპერიო ეკლესიას, უნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული განათლებისა და ლიტერატურის არარსებობისას, ენის ბედი და ეროვნული ცნობიერება ხდებოდა არამყარ. სომხობა, სომხური ცნობიერება შეიძლება ჩახშობილიყო მცირე არმენიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ორომტრიალში, რომ არა ახალი სასიცოცხლო ძალების მოზღვავება მეზობელი სომხეთის კუთხეებიდან მას რომ არ განეახლებინა ახალი სულით და არ გაეღვიძებინა მცირე არმენიაში ეროვნული თვითშემეცნება“ (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 202).

ნ. ადონცი ძალზე წუხს, რომ დასავლეთ ანუ მცირე არმენიაში ბერძნულ ეკლესიაზე „მიეკედლებულ სომხებს“ ეროვნული ძალა არ შესწევდათ შეექმნათ სომხურენოვანი ლიტერატურა და ისინი სომხურ ენას ივიწყებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩქმაღლავს სინამდვილეს, რომ იმპერიამ მცირე არმენიის ოლქში შეიყვანა სხვადასხვა წარმოშობის არასომხური ტომები. სინამდვილეში, დასავლეთ არმენიის, ანუ ტრაპეზუნტის აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთისა და მის იქით მთებში მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკური ქართული ტომები იყვნენ და არა სომხები.

თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე ვრცელი რეგიონი ჭანებითა და სხვა ქართული ტომებით იყვნენ დასახლებულნი. ისინი VI-VII საუკუნეებში იმპერიამ „არმენიის“ ერთ-ერთ ოლქში შეიყვანა, იქ არსებობდა მრავალი საეპისკოპოსო. კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებში დასავლეთ არმენიის ოლქში მდებარე ცნობილი ქალაქების ბიზანის, ლერიონის, თუ პაიპერტის საეპისკოპოსოები უმიზეხოდ არ იწოდებოდნენ „ლაზიკის ქვეყანაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს



საეპისკოპოსოებად“. ნ. აღონცი ხშირად ახსენებს ამ საეპისკოპოსოებს, მაგრამ არასოდეს მიუთითებს, რომ ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია ამ საეპისკოპოსოების მომცველ ქვეყანას ლაზიკას უწოდებდა, თუმცა კი ადმინისტრაციულად ისინი ნამდვილად იმყოფებოდნენ ერთ-ერთ „არმენიაში“. ნ. აღონცის წუხილი, რომ დასავლეთ არმენიაში სომხები არ იყენებდნენ სომხურ დამწერლობასა და ლიტერატურას, რომ მათში სომხური ეროვნული ცნობიერება მიმქრალი იყო, არაა გულწრფელი, რადგანაც, სინამდვილეში, დასავლეთ არმენიის მკვიდრი მოსახლეობა ვერ ფლობდა სომხურ ენას და მათში სომხური ნაციონალური გრძნობები არ იყო იმიტომ, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ ამ (ე.ი. სომხები) ერის შვილები.

ჭოროხის, ევფრატის და არაქსის სათავეებში და მის ჩრდილოეთით, დასავლეთ არმენიის ოლქში, მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა არა სომხები, არამედ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, ეთნიკური ქართველი ტომები (ჭანები, ლაზები, მესხები), რომლებსაც ნ. აღონცი სომხებს უწოდებს, რომელნიც, თითქოსდა, „მიეკედლნენ საიმპერიო (ე.ი. ბერძნულ) ეკლესიას და ამის გამო ისინი უნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა (ნ. აღონცის აზრით, სომხური) მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული (ნ. აღონცის აზრით – სომხური) განათლებისა და ლიტერატურის არარსებობისას ენის ბედი და ეროვნული ცნობიერება ხდებოდა არამყარი“. თითქოსდა დასავლეთ არმენიის მოსახლეობაში, აღნიშნულის გამო (ე.ი. ბერძნული ეკლესიისადმი დაქვემდებარების გამო) სომხური ცნობიერება არამყარი ხდებოდა, სინამდვილეში კი ადგილობრივ უმრავლესობას არც არასდროს ჰქონია სომხური, ე.ი. მათთვის უცხო ცნობიერება. მათი ცნობიერება ზოგადქართული და ამასთანავე ტომობრივი (ჭანური, ლაზური ან მესხური) იყო. სამწუხაროდ, მათი ნამდვილი ეროვნული ანუ ქართული ცნობიერება დიდი ხნის შერყეული იყო (იგულისხმება ჭოროხის, არაქსისა და ევფრატის სათავეებში მცხოვრები ქართული მოსახლეობა, ასევე მათი მეზობელი რეგიონების მკვიდრი ქართველობა), რადგანაც მათი სამშობლო ქვეყანა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ჩამოაჭრა არმენიამ იბერიას, სტრაბონის ცნობით, შემდეგ კი რომაულ-ბერძნული მპყრობელობის დროს იმპერიაში, როგორც ითქვა, ისინი ერთ-ერთ სომხურ პროვინციას მიაკუთვნა, რამაც სწორედ რომ ქართული და არა სომხური ცნობიერება შეარყია მათში. მათი დიდი ნაწილი მართლმადიდებელი იყო, ბერძნულ ეკლესიის იურისდიქციაში (იბერიის სამეფო საკმაოდ დაშორებული იყო მათგან, განსაკუთრებით იუსტინიანეს ეპოქაში), მაინც, ისინი თავს ქართველებად რომ თვლიდნენ, გამოჩნდა VIII-IX საუკუნეებიდან, როცა ბედის წაღმართი შემოტრიალების შედეგად მათი განსახლების ახლოს ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო. ამ პოლიტიკურმა მოვლენამ დასავლეთ არმენიის მოსახლეობის უმრავლესობას გაუღვიბა მინავლებული ეროვნულ-ქართული ცნობიერება და უსწრაფესად, ერთბაშად სიამაყით განაცხადეს ქართველი ერისადმი თავიანთი კუთვნილების შესახებ და სასწრაფოდ ეროვნულ-ქართული ეკლესიის უერთგულეს მრევლად გადაიქცნენ. ასე რომ, ხდებოდა არა ე.წ. „სომხები ქალკედონიტების“ გაქართველება, როგორც ეს მიღებულია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, არამედ მკვიდრი, იქამდე სომხურ-ბერძნული ეკლესიის (ანუ სომხურ-ქალკედონიტური) ეკლესიის წიაღიდან თავდადებული ქართველები დაუბრუნდნენ მშობლიურს. აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის (თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე) საცხოვრის



ნ. აღონცი სომხეთს მიაკუთვნებს, ხოლო ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია – ლაზიკას (აქ იყო ლერიონის, ბიზანის, პაიპერტისა და ლაზიკის სხვა საეპისკოპოსოები) და ამ მოსახლეობის ეთნოისტორია ძალზე წააგავს XVII-XIX სს სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი კათოლიკე ქართველებისას. კერძოდ, ეს უკანასკნელნი (ახალციხის რეგიონის ქართველობა) ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრების დროს სარწმუნოებრივად ე.წ. „ფრანგები“ (კათოლიკები) იყვნენ, ეკლესიებში სომხურენოვანი წირვა-ლოცვა (რიტი) უტარდებოდათ, ხოლო სახელმწიფოებრივად მაჰმადიანურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ასე რომ, ამ უკანასკნელთ არავითარი ქართული ინსტიტუტი არ გააჩნდათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, შესაბამისად, ისინი ერთდროულად იყვნენ „ფრანგებიც“, სომხებიც და ოსმალელებიც. მათი ეთნოცნობიერებაც შესაბამისად იყო შერყეული, მათი ქართველობა სამმაგი შრის იქით იყო ჩამალული, ამიტომაც ძირითადად ისინი გასომხდნენ კიდევ (რადგანაც კათოლიკური სარწმუნოება მათში სომხურენოვნებით იყო შემოფარგლული, განათლებაც, შესაბამისად, სომხური გააჩნდათ), მათგან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქართულ ცნობიერებას მას შემდეგ, რაც XIX ს-ში ოსმალეები განდევნეს ახალციხიდან. XIX ს-ის ბოლოს მათგან გამოსულმა რამდენიმე სასულიერო პირმა გაიხსენა თავისი ბუნებრივი ეროვნული ვინაობა. ასეთივე ვითარებაში იყო ათასი წლით ადრე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოების მრევლი „ლაზიკაში“. ისინი VI საუკუნეში და VII ს-ის დასაწყისში (იქამდეც და შემდეგაც) ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხური რეგიონისადმი იყვნენ მიკედლებულნი, თუმცა ეკლესიებში ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონდათ, შესაბამისად, სომხდებოდნენ ანდა ბერძნდებოდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე გამოავლენდა უფრო მეტ დაინტერესებას მათ მიმართ.

თუ რა სახისა იყო მცირე არმენიის მკვიდრ მოსახლეობაზე სომხური კულტურული ძალადობა, თავისდაუნებლიედ კარგად აღწერს ნ. აღონცი – „სომხური ცნობიერება მცირე არმენიაში საბოლოოდ ჩაკედებოდა, თუ არა ახალი ძალების მოზღვავება მეზობელი სომხური ოლქებიდან. ისინი ანახლებდნენ მკვიდრი მოსახლეობის სულისკვეთებას და აცოცხლებდნენ მათში ეროვნულ (ე.ი. სომხურ) შემეცნებას“ (ნ. აღონცი, არმენია... 1908, გვ. 202). როგორც ითქვა, სინამდვილეში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად არასომხური იყო, ის რომაულ-ბიზანტიური ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად სომეხი ერის ჰეგემონობის ქვეშ აღმოჩნდა, რასაც მუდამ თან სდევდა, როგორც ნ. აღონცი უწოდებს, შიდა სომხური ოლქებიდან სომხურ-ნაციონალური სულისკვეთების გავრცელება, რის შედეგადაც ბიზანტიური იმპერიის ხელქვეშ მყოფი ქართველობა უცხო-სომხური კულტურის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. მათ არც ეკლესია იცავდა.

ნ. აღონცი ერთგან თვითვე აღნიშნავს, რომ იუსტინიანემ VI ს-ში ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად „მცირე არმენიის“ რეგიონში შეიყვანა ასევე მისი მომიჯნავე მიწა-წყალი, თუმცა არ აღნიშნავს, რომ არმენიაში შეყვანილი „მომიჯნავე მიწა-წყალი“ დასახლებული იყო ქართული და სხვა არასომხური ტომებით, რომელნიც სომხურ ცნობიერებას იძენდნენ ამ დიდმპყრობელური რეფორმის შედეგად. ეს პროცესი კი ნ. აღონცს ახარებს და მიაჩნია „აღორძინების დასაწყისად“ ანუ ქართველთა შორის სომხური თვითშემეცნების დასაწყისად. ის წერს – „ის გარემოება, რომ იუსტინიანეს პროვინციალური რეფორმისას მცირე არმენიის მიწებმა არა მხოლოდ არმენიის სახელი შეინარჩუნეს, არამედ ეს სახელი გავრცელდა მათ მეზობელ მიწებზეც, გვიმტკიცებს, რომ



აღორძინების პროცესი იქამდეც დაწყებული იყო“ (ნ. აღონცი, არმენია... გვ. 202). მაშასადამე, ნ. აღონცის თანახმად, „აღორძინების“, ანუ ქართველთა გასომხების პროცესი იუსტინიანემდეც საკმაო ხნის დაწყებული იყო, და ამიტომაც მათი მიწა-წყალი მოექცა კიდევ „მცირე არმენიის“ პროვინციაში. სტრაბონის მიერ აღწერილ ფაქტს იბერიის მიწების პარიადრეს, ხორძენესა და გოგარენის მიტაცებას არმენიის მიერ უკვალოდ არ ჩაუვლია. როგორც ითქვა, იუსტინიანეს ეპოქამდე ამ ქართულ მიწა-წყალზე უკვე დაწყებულია მკვიდრი ქართული მოსახლეობის გასომხების პროცესი, რაც დაუფიქსირებია იუსტინიანეს თავისი ადმინისტრაციული რეფორმით, როცა იბერიის ეს ყოფილი მიწები (ხორძენე და პარიადრე) არმენიას მიაკუთვნა.

ნ. აღონცი, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ ე.წ. მცირე და დიდი არმენიების დასავლეთ პერიფერიებზე მცხოვრები მოსახლეობა ქართველთა ეთნოჯგუფს წარმოადგენდა. მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ საიმპერიო დაყოფის შემდეგ კაპადოკიაც სომხურ მიწა-წყალს მიაკუთვნა იუსტინიანემ, ამ ფაქტის გამო ნ. აღონცს ახსენდება მოვსეს ხორენაცი, რომელიც აღნიშნავდა, რომ პონტოს მიწა-წყალი სომხეთის საზღვრებში შედიოდა. აქ ისიც უნდა გახსენებოდა ნ. აღონცს, რომ პონტო-მაჟაქის მიწა-წყლის მმართველად ივერიელი მთავარი იქნა დანიშნული. საერთოდ კი, მ. ხორენაციის თანახმად, აღნიშნული მიწა-წყალი ქართველებით (ივერიელებით) იყო დასახლებული, მას თავისი თეორიაც ჰქონდა ამ ფაქტის ასახსნელად: პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთში ქართველები ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე ნაბუქოდონოსორს დაუსახლებია. ამის გამო ტერიტორია პონტო-კაპადოკიიდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით ქართველებით ყოფილა დასახლებული. ამ ორივე ქართულ მხარეს (ე.ი. პონტო-კაპადოკია-ლაზიკას და დასავლეთ საქართველოს) ერთი მმართველი დინასტიაც – მირდატიანები ჰყოლია. მ. ხორენაცი გუგარქის პიტიახშებს პონტოს მეფეების ნათესაურ მახლობლებად მიიჩნევს – „შარას ნაშიერს, გუშარს ერგო კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი ჰნაკერტის ციხე-სიმაგრე. აშოცის უფლად და ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განამწესა, ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოღვმას. ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი და მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 406).

მ. ხორენაცი ჩამოთვლის ქართულ ქვეყნებს – ჯავახეთს, კოლბს, წოფას, ძორს, აშოცს, ტაშირს, „ჩრდილეთს“, „პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს“ და ბასიანს. მათ რიცხვში, ჩანს, ის პონტო-კაპადოკიასაც მიიჩნევდა, რადგანაც პონტო-კაპადოკიისა და მისი დედაქალაქის მაჟაქის მმართველად ქართველთა სამთავრო სახლის შვილი მიჰრდატია დანიშნული – „მიჰრდატს მიანდო მაჟაქი“ სომხეთის მეფე ტიგრანმა (იქვე, გვ. 114). შემდგომ ტიგრანმა მას „აღარ მისცა არც თავისი სამფლობელო, არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა“ (იქვე, გვ. 116). „ქართველთა ქვეყანა“ კავკასიის მთებთან მდებარე გუგარქი და ასევე დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ





შავიზღვისპირეთთან ერთად, სადაც ნაბუქოდონოსორმა ჩაასახლა ისინი, ხოლო პონტო-კაპადოკია, მართალია, სომხური ადმინისტრაციული ერთეულია მ. ხორენაცის მიხედვით, მაგრამ მისი მართვა ქართული სამთავრო სახლის წევრის მიერ მიუთითებს, რომ მ. ხორენაცის პონტო-კაპადოკიაც ქართველი ხალხით დასახლებულ მხარედ მიაჩნია და, ალბათ ამიტომაც მის ქართველ მმართველს რაღაც მხარდაჭერა ექნებოდა მოსახლეობის მხრიდან. ხორენაციდან ერთი საუკუნის შემდეგ იუსტინიანეს პონტო-კაპადოკია, ნ. აღონცის სიტყვით, არმენიის ადმინისტრაციულ ერთეულში შეუყვანია. – „იუსტინიანემ გააფართოვა მცირე არმენიის მიწები მეზობელი მხარეების ხარჯზე და მათ მიიჩნევს არმენიად, იმპერიის ნაწილ დიდი არმენიის თანასწორად“ (ნ. აღონცი, არმენია, გვ. 203).

მ. ხორენაცის თანახმად, მთელი პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთი მხარე ქართველებით იყო დასახლებული უძველესი დროიდანვე, ყოველ შემთხვევაში ნაბუქოდონოსორის დროიდან. მაგრამ იმდენად ძლიერ შერყეულა იქაურ ქართველთა ცნობიერება აღმოსავლეთიდან შემოსული სომხური სულისკვეთებით, რომ VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიას აქ ჩამოუყალიბებია ახალი ადმინისტრაციული ერთეული – „არმენიაკონის თემი“ (იქვე, გვ. 203). ის განვრცობილი ყოფილა კესარია-კაპადოკიიდან შავ ზღვამდე – სინოპიდან ფაზისამდე და ეფფრატამდე (იქვე, გვ. 203) ფაზისი აქ ჭოროხს ეწოდება. აღონცის მიხედვით მთელ ამ მხარეებში გაძლიერებულია სომხური ელემენტი, სომხური სულისკვეთება. ის ამას ხსნის იმით, რომ ამ მხარეებში შიდა სომხეთიდან გადასახლდა სომხური მოსახლეობა. შესაძლოა ეს მართლაც ასე მოხდა და პონტო-ზღვისპირეთში მართლაც გადასახლდნენ სომხები, მაგრამ ეს მიწა-წყალი ხომ არ იყო უკაცრიელი მხარე, იქ ხომ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა. სომხების გადასახლების გამო მათ მიატოვეს თავიანთი მიწა-წყალი? ცნობები ადასტურებენ ასეთ მიგრაციას? პონტოს ზღვისპირეთი, თავიანთი ისტორიული სამშობლო სომხების გადასახლების გამო ქართველებს (ჭანებს, მესხებს, ლაზებს) არ მიუტოვებიათ, მკვიდრ მოსახლეობაში თანდათან ჩამოყალიბდა წინააღმდეგობა დამპყრობელთა მიმართ, რადგანაც სომხების ხელში აღმოჩნდა ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, დამპყრობელთა მიმართ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის სიძულვილს კარგად გამოხატავს შავშეთის ეპისკოპოსი მტბევარი სტეფანოზი, რომელიც წმიდა გობრონის ცხოვრებაში აღწერს იმ მძიმე სურათს, რომლის დროს ქართველებს გასჩენიათ დამპყრობელთა მიმართ მძინვარე სიძულვილი. ქართველობამ გაიცნობიერა დენაციონალიზაციის საფრთხე და შესაბამისი შეფასებაც მიეცა სომხურ სულიერ მპყრობელობას, რომელიც პოლიტიკურზე უფრო მძიმეა – „რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითაა სავესე“ (სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი, წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი, ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 175), ქართველები თვლიდნენ, რომ სომხების ქმედება, რომელიც ქართველთა დენაციონალიზაციისაკენ იყო მიმართული, ბოროტებას წარმოადგენდა, ამიტომაც წერდა ქართველი ეპისკოპოსი – „სცოდა ბოროტი დიდმან სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქვა იერემია, „სიტყვითა გამობისათა შეაწუხეს სული წმიდა და საქმითა ბილწებისათა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი“ (იქვე, გვ. 174).

სომეხთა ანუ უფრო ზუსტად სომეხ-ქალკედონიტთა, თუ სომეხ-მონოფიზიტ საეკლესიო მესვეურთა სულიერი ძალადობა – უწყალოებად და უყვარულობად ფასდებოდა ქართველ ეპისკოპოსთა მიერ. ასე აფასებდა მათ არსენ დიდი კათალიკოსი წიგნში „განყოფისათვის



სომეხთა და ქართველთა“ და ეპისკოპოსი სტეფანე (მტბევარი) ნაშრომში „წამება წმიდისა გობრონისი“ – „უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტეისი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიკ. ძეგლები, I, 1964, გვ. 175).

რა იგულისხმება სიტყვებში „მისთვის ქრისტე ცუდად მოკვდა“. ესაა ისეთი კაცი თუ საზოგადოება, რომლისთვისაც აშკარა ფაქტი, ჭეშმარიტება – არაფერს ნიშნავს, რომელიც რეალობას სიცრუით ამრუდებს. ასეთნი ყოფილან არა მხოლოდ სტეფანე მტბევარის თანამედროვე ზოგიერთი სომეხი იერარქი და სწავლული, თვითონ ჩვენი დროის, ჩვენი თანამედროვე სწავლულების არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა, ეთნიკურ სომხებად მიიჩნევენ იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, სხვა უამრავ ქართველს, აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთიდან გამოსული ბერები, მთაწმიდელები, გრიგოლ ბაკურიანის ძე და სხვანი დაბეჯითებით წერდნენ, რომ ისინი არიან ეთნიკური ქართველები გვარ-ტომობით, ჩამომავლობით, სულისკვეთებით, ცხოვრების წესით, ამასთანავე ისინი გმობდნენ სომხურ თუ ბერძნულ ძალადობას ქართველთა მიმართ, ამის მიუხედავად სომეხ სწავლულთა მიერ ისინი მაინც სომხებად ცხადდებიან. ერთი ბოლო წიგნია მოსკოვში დასტამბული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.

ქრისტეშობამდე VI ს-მდე, არმენიელების შემოსვლამდე, ვრცელი მიწა-წყალი ვანის ტბის სამხრეთიდან ქალდეა-ტრაპეზუნტამდე ქართული მოდემის ტომებით ყოფილა დასახლებული (კარდუხები, ქალდეელები, ქართუელები). ნ. აღონცის სიტყვით, ქართული მოსახლეობა შემოსულ არმენიელებს ორად გაუყვიათ და მათ შუა დასახლებულან. სამხრეთით მოექცა კარდუხების ქვეყანა, დასავლეთით შავიზღვისპირას ტრაპეზუნტის რეგიონში – ქალდეა-ჭანიკა, ხოლო ჩრდილოეთით არაქსიდან კავკასიის მთებამდე – ამჟამინდელი ქართველობა. სტრაბონის ცნობით, არმენიელთა გაძლიერებისას მათ შემდგომშიც (ქრისტეშობამდე II საუკუნეში) ჩამოუჭრიათ იბერიისათვის დასავლეთის ტერიტორიები – ხორძენა, გოგარენა და პარიადრეს კალთები. ბიზანტიამ და ირანმა შემდგომში სომხეთი გაიყვეს, მაგრამ თვითონ სომხებს (აჯანყებათა შიმის გამო) ამ ტერიტორიებზე აძლევდნენ მთავარ დომინანტი ეთნოსის უფლებებს, შესაბამისად ამ მიწა-წყლის მკვიდრი ქართველობა (ვანის ტბიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე) სომხური და ბიზანტიური ეკლესიების იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ არაბობის დროს ეს მდგომარეობა შეიცვალა. მათ დროს ირანის სახელმწიფო განადგურდა, ხოლო ბიზანტიამ უკან გადაწია თავისი საზღვრები. ამ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ, მათში კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნული თვითშემეცნება, რის შედეგადაც ტაო-კლარჯეთში აღსდგა ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო მოსახლეობის ერთი ნაწილი თითქმის ვანის ტბიდან ქალდეამდე უკვე დაუფარავად აცხადებდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ, თვითონვე აარსებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ სამრევლოებსა და საეპისკოპოსოებს (ვალაშკერტში, ანისში, კარში (ყარში) და სხვაგან). საბოლოოდ კი, IX-X სს-ში დედაეკლესიას დაუბრუნდა ვინაობა აღორძინებულ ქართველთა უდიდესი ნაწილი.





## ზვიად გამსახურდია

### "სამეგრელოს საკითხი"

(ისაკი ჟვანია და სამეგრელოს "ავტონომია")

გადმობეჭდილია გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" 1989 წლის  
3 ნომბრის ნომრიდან



ზვიად გამსახურდია -  
დამოუკიდებლობაადგენილი  
საქართველოს პირველი პრეზიდენტი  
ვოტო ამ ინტერნეტმისამართიდანაა:  
<http://burusi.files.wordpress.com>

თანამედროვე საქართველოში მწვავედ დგას კუთხური პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის პრობლემა, რომელსაც ჩვენი მტრები ყოველთვის აღვივებდნენ და ართულებდნენ. XIX საუკუნეში შავრაზმელი რუსიფიკატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ აფხაზური, მეგრული, სვანური, მუსულმანურ-მესხური სეპარატიზმისთვის, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდებს: ამ მცირე ტომებისათვის ანბანის შექმნას, წირვა-ლოცვის შემოღებას მათ ენაკაგებზე, ხოლო მესხეთში ხელს უწყობდნენ მუსულმანობის გაძლიერებას, თურქული ენის გაბატონებას, აჭრელებდნენ მესხეთის ტერიტორიას არა ქართული მოსახლეობით, რითაც ნიადაგს უმზადებდნენ საქართველოს საბოლოოდ დანაწევრებას და ასიმილაციას.

მომდევნო პერიოდში ეს ტაქტიკა დაიხვეწა და შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში ნათელი ხდება, რომ იგივე საქმე გრძელდება უკვე ქართველების ხელით, რომელთაგან უმრავლესობა თანამდებობის პირია.

„სამეგრელოს საკითხი“, რომელიც თავდაპირველად შავრაზმელებმა: ვოსტორგოვმა, იანკოვსკიმ და სხვებმა წამოაყენეს, ახლებურად განავითარა 20-იან და 30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის<sup>1</sup> პირველმა მდივანმა ისაკი ჟვანიამ, რომელმაც ბევრი იბრძოლა ამ მიმართულებით და ბოლოს თავისი გამოცდილება შეაჯამა რუსულ ენაზე დაწერილ

<sup>1</sup> იმუჟამდ რაიკომები ჯერაც არ არსებობდა.



სპეციალურ წიგნში, რომელიც დღეს ვრცელდება სამეგრელოში (ხელნაწერის სახით).

ამ წიგნის მიზანია საზოგადოების დარწმუნება იმაში, თითქოს სამეგრელო ისეთივე ცალკე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა (!) და ა.შ. და რომ მეგრელები იმსახურებენ ავტონომიას, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი პატარა ხალხები.

ამასთან დაკავშირებით, ი. ჟვანია წერს: "აფხაზეთი, ოსეთი და სხვა პატარა ხალხები ამიერკავკასიისა იყო არენა ორი ნაციონალიზმის ბრძოლისა: ქართულისა და რუსულისა. სოვეტიზაციამდე ამ ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ სამეგრელოს თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, უმაღლესი ინტელიგენცია (იურისტები, ექიმები, აგრონომები და ა.შ.), რომელნიც მთლიანად დადგნენ ქართული ნაციონალიზმის მხარეზე..."

„ქართველი ნაციონალისტები იღია ჭაგჭაგადის, იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით (იხ. მისი რეაქციული, შოვინისტური წერილი პირველდაწყებით სკოლებში მეგრული ენის შემოღების წინააღმდეგ „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ 1908 წ. ვარიანტის ფსევდონიმით), თედო ჟორდანიას უტევდნენ რუსი ნაციონალისტების ღონისძიებებს, ახდენდნენ მობილიზაციას სამეგრელოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისას, სამეგრელოს ეპისკოპოსის, "მეგრელი" ბესარიონ დადიანის სახით. ეს იყო ცნობილი ხულიგანი, შავრაზმელი, პოდხალიმი ქართული შოვინიზმისა, მეთაურობდა მეგრულ თავადაზნაურობას, ურცხვად კარიერისთვის თავის შვილს ეუბნებოდა უხერხულია ჩვენს თავს ვუწოდოთ მეგრელები!"

"ამიტომ ის ქართველები, რომლებიც ნაციონალური საკითხის მცოდნეებად ითვლებოდნენ არ ცნობდნენ სამეგრელოს საკითხს - მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი მცოდნე ნაციონალური საკითხისა – ამხ. სტალინი სამეგრელოს აღიარებდა დამოუკიდებელ ეროვნებად".

ზემოთხსენებული ქართველი „ნაციონალისტების“ ამგვარ მიდგომას ი. ჟვანია ფეოდალურ მიდგომას უწოდებს, ლენინური კომპარტიისათვის შეუფერებელს. რადგანაც თავად გაგება „მეგრელისა“ (მარგალი) ნიშნავს უდაბლეს გლეხურ ფენას, თავადაზნაურობა სამეგრელოსი თავის თავს მეგრელად არ თვლიდაო: „ყველა პრივილეგირებული ფენა (თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, ინტელიგენცია) თავისთავს ქართველად თვლიდა. აქედან გამომდინარე, ჟვანიას სიტყვით, ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ რადგან „კულტურული“ ზედა ფენა გაქართველდა, არაკულტურული (თუმც უმრავლესობა) უნდა მიჰყვეს კულტურულს და მოხდეს მისი ასიმილირება ქართველებთან. ეს კი არ არისო ლენინურ-სტალინური შეხედულება. ამის შემდეგ ი. ჟვანია განაგრძობს: „საქართველოს ცივილიზებული სამყარო პრ. ჯავახიშვილის, ახვლედიანის, ბერიძის და სხვათა სახით ამტკიცებს: „მომავლის პერსპექტივისათვის უნდა დავთმოთ თანამედროვე სამეგრელო, ვინაიდან ქართული კულტურა უმაღლესი კულტურააო“ (ცხადია, ეს სიტყვები გაყალბებულია, – ზ.გ.).

კულტუროფობი და ვულგარული მარქსისტი ი. ჟვანია, ცხადია, არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მისთვის კულტურა ერთგვარი ხორცმეტი, ხელის შემშლელია „სოფლის“ სოციალისტურად გარდაქმნაში" და ამიტომ მას ურჩევნია სამეგრელო სიბნელისა და უკულტურობის ჭაობში დარჩეს, ოღონდ არ „გაქართველდეს", დადიანების სასახლის კულტურას მას გლეხის ფაცხის წყვდიადი ურჩევნია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს მას თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებაში, მეგრელების ცალკე ეროვნებად გამოცხადებაში.



შემდეგ იგი მოსთქვამს: „ამ ბურჟუაზიულ-შოვინისტური“ პროფესორების გავლენით საქართველოს განათლების სამინისტრომ გააუქმაო მეგრულად სწავლება სკოლებში 1921 წელს, რითაც გადაუხვიაო ლენინ-სტალინის მიმდევრების გეზს.

1925 წელს აგვისტოში კვლავ წამოყო თავი „სამეგრელოს საკითხმა“, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოიყო სათანადო კომისიაც. მაგრამ, თურმე, ამავე წელს, ი. ჟვანიას თქმით აჯანყდა „შავრაზმელი“ თავადაზნაურული ე.წ. „მეგრული“ ინტელიგენცია, ათწლობით თბილისში მცხოვრები, რომელსაც თურმე არავითარი კავშირი აღარ ჰქონია მეგრულ სოფელთან და მეგრულ გლეხებთან, გარდა იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე სისხლს წოვდნენ მეგრულ გლეხებს. აი, ი. ჟვანიას თქმით, ეს ქართველი „ფაშისტები“: კოწია გამსახურდია, ჟორდანიას, თედო სახოკია და სხვანი, შეიკრიბნენ ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში ცკ-ს მიერ რაიმე გადაწყვეტილების გამოტანამდე და ეს „შავი თავადაზნაურული ხროვა გმობს სამეგრელოს საკითხს, როგორც საქართველოში განხეთქილების, გათიშვის შემოტანს. თბილისში მოქალაქეების წინაშე ცხადდება პოლიტიკური და მორალური ტერორი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბედავენ ხმის ამოდებას სამეგრელოს ავტონომიის შესახებ“.

შემდეგ ი. ჟვანია განაგრძობს: „ზემოთ ჩამოთვლილი ფაშისტები იქამდე მივიდნენ, რომ მშრომელი მეგრელები, რომელთაც მოისურვეს მშობლიურ ენაზე სკოლა, სასამართლო, გაზეთი და საქმის წარმოება სოფ. საბჭოებში გამოაცხადეს რეაქციონერებად ამ გზით შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი და პარტიის წევრი გლეხები, რომელნიც ემხრობოდნენ ამ საკითხს, გაარიცხვინეს პარტიიდან. ამ აზრს განსაკუთრებით მიემხრნენ ქართველი ბოლშევიკი უკლონისტები, რომელთაგან ერთერთმა ა. დამბარაშვილმა, ი. ჟვანიას თქმით, დიდად ავნო მეგრულ სეპარატიზმს.

მიუხედავად ამისა, 1925 წ. 24 აგვისტოს ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა მაინც განიხილა სამეგრელოს საკითხი, ხოლო 1925 წლის სექტემბერში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი და ივანოვ - კავკასკი, გამოიტანეს დადგენილება მეგრული ენის შემოღებისა სკოლებში, სასამართლოებში და შესაძლებლად ცნეს მეგრული გაზეთების გამოცემა, სამეგრელოს ავტონომიის იდეა კი „დაგმეს“ ვითომდაც, ჰო, მაგრამ ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებები განა უკვე არ მოასწავებდნენ ავტონომიას!“

მიუხედავად ამისა, ი. ჟვანია ვითომდაც დიდადაა დამწუხრებული ამგვარი დადგენილებით, რახან ავტონომიას არა მიეცა მწვანე შუქი, მითუმეტეს, რომ შემდგომში ზემოსხენებულმა „ბურჟუაზიულ-შოვინისტურმა პროფესორებმა“ ისევე წამოყვეს, თურმე, თავი და „ბოროტი გავლენა“ მოახდინეს განათლების სახალხო კომიტეტზე და ისევე ააკრძალვინეს მეგრულად სწავლება სკოლებში“. „მეგრული“ კომუნისტებიც დაშინდნენ და გაიღურსნენ.

1928 წლის თებერვალში მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ ვკპ (ბ)-ს ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც მოიხილა სამეგრელოს სოფლები და გამოიტანა „ობიექტური“ დასკვნა: „მეგრულ გლეხს უნდა მიეცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე“. („მშობლიური ენა“ პშენიცინისა და ძმათა მისთა ტერმინოლოგიით, მეგრულია).

ცკ-ს მდივანი კახიანი წაახალისა პშენიცინის მხრით გამხსნევა და გამოიტანა ახალი



დადგენილება 1929 წლის მარტს მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლოში საქმის წარმოებისას, გაზეთის გამოცემის საქმეში, ამ დადგენილებაში მეგრულს უკვე ენა ეწოდა და არა ენაკავი. ამაშია ამის პროგრესიო, აღნიშნავს ი. ჟვანია.

მაგრამ, თურმე ისევ წამოყვეს თავი ქართველმა და „მეგრელმა“ შოვინისტებმა და აყვირდნენ: არიქა, ჩამოვიდა მოსკოვის იმპერიალიზმის წარმომადგენელი, პშენიცინი, რომელიც ცდილობს გათიშოს ერთიანი საქართველო“.

ამ ნაციონალისტურმა „შანტრაპამ“ ისევ გაიმარჯვაო, მოსთქვამს ი. ჟვანია და აი, 1929 წლის 3 მაისის დადგენილებით მეგრული გაზეთის გამოცემა ისევ აიკრძალა. მაგრამ „მეგრელი“ ბოლშევიკები „ჟვანიას ხაზით“ მაინც მტკიცედ დგანან „ღენინურ–სტალინურ პოზიციებზე“ ნაციონალურ საკითხში და განაგრძობენ ბრძოლას. მათ ახლა ახალი მშველელები მოეველინენ საკავშირო ცკ-დან - იბრაგიმოვი და მალინსკი. მათ მოხსენებაში ვკითხულობთ: „მართალია მეგრელები და ქართველები ტომობრივად ენათესავეებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ 1442 წლიდან 1808 წლამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდათ (აქ მათ დალატობთ ისტორიის ცოდნა, სინამდვილეში სამეგრელოს სამთავრო საბოლოოდ გაუქმდა 1857 წელს - ავტ.) ისინი ენით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მეგრულ გლექსობას არ ესმით ქართული და რამდენადაც ყველა პარტიული, საბჭოთა და სხვა დაწესებულებანი ქართულად აწარმოებენ საქმეს, ფართო მშრომელი მასები მოსწყდნენ მას“. (ი. ჟვანიას ტერმინოლოგია).

როგორც ვხედავთ, ყველა მოითხოვს „მასებისათვის ხელმისაწვდომ“ დიალექტზე გადასვლას, არავის ახსენდება, რომ მოითხოვოს ნამდვილი მშობლიური სალიტერატურო ენის, ქართული ენის სწავლება მასებისათვის, რომელსაც ისინი მართლაც მოსწყდნენ ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგად. მეგრულ ენაზე პოლიტიკურისა და გაზეთის უქონლობა ისეთივე ჩამორჩენილობად მიაჩნიათ, როგორც წარმოების ჩამორჩენილობა – აბრეშუმის ქარხნის უქონლობა, მელიორაციის უქონლობა და ა.შ.

მაგრამ ი. ჟვანიას თქმით, არც ამან უშველა საქმეს, კვლავ ამუხრუჭებენ ცენტრიდან სამეგრელოს ავტონომიას. „რატომ არ არსებობს მეგრული ნაცია?“ — კითხვას სვამს იგი, სამეგრელოს ხომ ყველა ის თავისებურება გააჩნია, რისგანაც იქმნება ნაცია: 1. კულტურისა და ყოფის ერთობა; 2. ტერიტორია, 3. ეკონომიკური ურთიერთობა; 4. ენა და ა.შ.

ამ კითხვაზე ბოლშევიკურ პასუხს არავინ იძლევაო, მოსთქვამს ი. ჟვანია. ბოლშევიკური პასუხისა კი რა მოგახსენოთ და ეს კითხვა უფრო მნიშვნელოვან სხვა კითხვას ჰბადებს: რით აიხსნება ასეთი სიყალბე, ი. ჟვანიას გონებრივი ჩამორჩენილობით და სიბნელით, თუ შეგნებული ბოროტი განზრახვითა და საქართველოს უბოროტესი მტრების მხრით წაქეზებით? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომელ კულტურაზე გვესაუბრება ი. ჟვანია? როდის ჰქონია სამეგრელოს სხვა კულტურა, გარდა ქართული კულტურისა? ან, იქნებ, არსებობს მეგრული დამწერლობა, მეგრული არქიტექტურა, მეგრული ლიტერატურა, მეგრული ფერწერა და ა.შ.?

ასეთ კითხვებზე პასუხების გაცემას თანმიმდევრულად არც აპირებს ი. ჟვანია და მარქსის, ლენინისა და სტალინის იდეების იმედი აქვს, უთანასწორო ბრძოლაში ქართველ „ფაშისტებთან“ და „ბურჟუაზიულ–შოვინისტებთან“, თუმც მისი მდგომარეობა არც ისე უიმედოა: კახიანის,



მხარადის, ორჯონიკიძის, პშენიციანის, იბრაგიმოვის, მაღინსკის და სხვათა გარდა, მან იცის, რომ ჰყავს კიდევ უფრო დიდი და მძლავრი მოკავშირე, რომელიც ჯერჯერობით დუმს. თუმცა ეს დუმელი ი. ჟვანიას თანხმობად ეჩვენება და თავისი გუმანის შესამოწმებლად გადაწყვეტს პირადად ინახულოს ეს დიდი მოკავშირე და მოისმინოს მისი აზრი სამეგრელოს საკითხის შესახებ. მაგრამ ი. ჟვანია მორცხვობს, მას ერიდება პირისპირ მარტო შეხვედრა თავის დიდ მოძღვართან და ამიტომ პროვოკატორობაში თავის კოლეგას და სეპარატიზმში თავის თანამებრძოლს, ნესტორ ლაკობას მიმართავს შევლისათვის. როგორც იტყვიან, „გულს გული იცნობსო“, ნესტორიც უსიტყვოდ გაუგებს თავის „დაჩაგრულ“ მოძმეს და ორივენი გაუდგებიან სოჭის გზას, სადაცა ისვენებს „პროლეტარიატის დიდი ბელადი“. ისინი სოჭში ჩავლენ 1929 წლის 13 სექტემბერს. პირველი მიღებისთანავე გაუარა ი. ჟვანიას შიშმა და მორცხვობამ. „დიდმა ბელადმა“ მისი სამივე კონცეფცია მოიწონა, აი, მისი სიტყვები: "თქვენი მოთხოვნა გაზეთის გამოცემის შესახებ, აგრეთვე გლეხისათვის განკუთვნილი ლიტერატურის მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ სწორია. გაზეთი დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს: ნუთუ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამას ეწინააღმდეგებიან? მახსოვს, ჯერ კიდევ 1905 წელს, პროკლამაციები გამოდიოდა მეგრულად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი განა შეიძლება რამის თქმა: იგივე ითქმის სკოლებზეც. პირველდაწყებით სკოლებში პირველ ოთხ კლასში მეგრულად უნდა ასწავლონ საგნები. რაც შეეხება სამეგრელოს ოლქს, მეგრულ გლეხებს უფლება აქვთ იქონიონ თავიანთი ოლქი და ამ საკითხს მე მხარს დავუჭერ ცკ (ბ)-ში. აქვე მიიღო ი. ჟვანიამ მითითება ჩაის კულტურის გაძლიერების შესახებ და სხვ.

აღვილად შეიძლება სტალინის ზემოთხსენებული სიტყვები, განსაკუთრებით ოლქის შესახებ ი. ჟვანიას ფანტაზიის ნაყოფი იყოს, ვინაიდან მოგვიანებით განხორციელდა მხოლოდ გაზეთი, ოლქზე კი საბჭოთა მთავრობა არ იძლეოდა სანქციას. ისიც ცნობილია, რომ მოგვიანებით სტალინმა სთქვა: "ამ ჟვანიამ გადამიკიდა სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია: გამსახურდია, აბაშელი, სახოკია, და სხვა. მათი აზრი მე უფრო სანდოდ მიმაჩნია, ვიდრე ჟვანიასი. მომაშორეთ თავიდან ეს კაციო". ალბათ ამანაც გადაწყვიტა ჟვანიას ბედი 1937 წელს.

ყოველივე ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მცირე ხნის შემდეგ უკვე 28 სექტემბერს, სოჭიდან დაბრუნებული მ. კახიანი ეტყვის ი. ჟვანიას: „ბელადმა გვითხრა, ისე მოიქცით სამეგრელოს საკითხში როგორც უმჯობესი იყოსო". ასე რომ, სტალინი, როგორც ჩანს, ყოყმანობდა, უკვირდებოდა საქმის ვითარებას და ბოლოს საქართველოს ცკ-ს გადააბარა ამ საქმის გადაწყვეტა. შემდგომში ოლქის საკითხი ჩაიშალა, ჩაიშალა ფოთის ოლქის ჩამოყალიბებაც, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა სამეგრელო, გურია და სვანეთი. სამაგიეროდ, 1930 წლის პირველ მარტს ზუგდიდში გამოიცა პირველი მეგრული გაზეთი 17 000 ეგზემპლარად. ი. ჟვანია ლეგენდებს ავრცელებს ამ გაზეთის გაერცვლების მასშტაბებზე, მაგრამ თავად აღიარებს, რომ ეს გაზეთი არავის უნდოდა ჩხოროწყუსა და სენაკში (აბაშაზე საერთოდ დუმს), ვინაიდან იქ ამბობდნენ, ქართული ყველამ ვიცით და მეგრული გაზეთი არ გვჭირდებაო. პროცენტული რაოდენობა გაზეთის მკითხველებისა ასეთია: ჩხოროწყუ - 2,2 პროცენტი, აბაშა - 2,2 პროცენტი, მარტვილი - 7,8 პროცენტი, სენაკი - 1,8 პროცენტი, ფოთი - 3,3 პროცენტი.

გაზეთი უმთავრესად გალსა და ზუგდიდში ვრცელდებოდა.



მაგრამ, როგორც ჩანს ამასობაში გაძლიერდა ინტელიგენციის ოპოზიცია - ამასთან ერთად თავად სამეგრელოდან გამოსულ კომუნისტთა ოპოზიციაც. ისევე, როგორც ინტელიგენციის ოპოზიციას სათავეში ედგა კონსტანტინე გაემსახურდია, კომუნისტთა და თანამდებობის პირთა ოპოზიციას მეგრული ავტონომიისადმი სათავეში ჩაუდგნენ სამეგრელოდან გამოსული კომუნისტები, აგრეთვე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ბესო ლომინაძე, რომელთაც მძლავრი ლახვარი ჩასცეს სეპარატისტულ მოძრაობას იმით, რომ გამოუთხარეს ძირი ი. ჟვანიას, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელის ავტორიტეტს, თუმც ისინი უფრო „ნაციონალიზმს“ უწუნებდნენ ი. ჟვანიას, ჩოხის კულტს და კლასთა ბრძოლის შესუსტებას და სხვა. ამიტომ, ი. ჟვანია, ყველა მათ „ტროცკისტებსა“ და „ნახევრად-ტროცკისტებს“ "პროვოკატორებს" უწოდებს. იგი კვლავ ისვრის ბრალდებებს „ბურჟუაზიულ“, „თავადაზნაურულ“ ორიენტაციაში და მოჰყავს მაგალითი თავად ნ. დადიანისა, სამეგრელოს თავადაზნაურობის მარშლისა, რომელიც წერდა გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსს, გ. დადიანს: „მე და თქვენს მეუფებას ისევე როგორც ყველა ჩვენს თანამედროვე „მეგრელს“, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სახლებში ხელშინაური ვერ ბედავენ ბატონების თანდასწრებით მეგრულად საუბარს, მეგრელს ხომ გლეხებს უწოდებენ დაბალი წოდების გამოსახატავად (მარგალი - მდაბიორი)". აქედან გამომდინარე, ნ. დადიანი წერს: „მეგრულ ენაკავზე ლოცვანისა და სახელმძღვანელოების თარგმნა იქნება ანტიქრისტიანული აზრებისა და დვთისმგმობელობის ხელოვნური გაღვიძება“. მეგრელი გლეხის და მისი ენის უკეთესი დახასიათება არ შეიძლება თავადაზნაურობის მარშლისაგან - აღნიშნავს ჟვანია. აქ იგი თვითვე აღიარებს, რომ „მეგრული“ გლეხის ენაა და არა ნაციისა, აბა ვინ არისო უფრო ახლოს თავადაზნაურობასთან, ლომინაძე თუ ჩვენ.

იქვე ი. ჟვანია საინტერესო ეთნოგრაფიულ „თეორიას“ ავითარებს. „სამეგრელოს საკითხი, ეს გლეხთა საკითხიაო“, - ამბობს იგი, - გლეხი მეგრელები, ისევე როგორც სხვები — აფხაზები, ოსები, ლეკები და სხვანი, პატარა ეთნოგრაფიული ეროვნებანი, გამოირჩევიან თავისი ყოფით და ენობრივი თავისებურებებით. ამიტომ მეგრულ გლეხებსაც ისევე თბილად უნდა მოექცეთ, როგორც სხვა პატარა ხალხებს".

აქ კი ნამდვილად შეეჯახა ი. ჟვანია თავისი დიდი მოძღვრისა და ბელადის კონცეფციას ეროვნების გაგების შესახებ, ვინაიდან ასეთი აბსურდი სტალინსაც არ უთქვამს, რომ ამა თუ იმ ნაციაში ერთი კლასი შეიძლება ერთ ეროვნებას ეკუთვნოდეს, მეორე კლასი — მეორეს, მესამე კი — მესამეს. ი. ჟვანია მხოლოდ გლეხების „მეგრელობას“ ამტკიცებს დაბეჯითებით, ამავე ქვეყნის სხვა ფენების „მეგრელობაზე“ კი სდუმს. თავადაზნაურობას იმავე ქვეყნისას ქართველ „ფაშისტებს“, „ბურჟუაზიულ შოვინისტებს“, „ტროცკისტებს“ და ა.შ. უწოდებს. ასე რომ, მისი ლოგიკით, თურმე ზუგდიდში მიწის დამუშავებელი გლეხი მეგრელია, ხოლო მედუქნე, რომელიც დახლთან დგას, ან ოფიციანტი, რომელიც რესტორანში მსახურობს, ადარ არის მეგრელი (ადარას ვამბობთ თბილისში წასულ „მეგრულ“ მოსახლეობაზე).

ამდენი კამათი ტვინნაღრძობ ი. ჟვანიასთან ალბათ არც ღირდა, მაგრამ ვაი რომ იგი უმემკვიდრეოდ არ გადაგებულა, სეპარატისტულად განწყობილი პირნი დღესაც არსებობენ სოსუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირესა და გაღში, რომელთაც თავის ფარულ „სახარებად“ უქცევიათ ი. ჟვანიას ნაბოღვარი და მას ავრცელებენ კიდევაც ხალხში რუსულ ენაზე, თუმც ავიწყდებათ,





რომ მასების სიბნელე 20-იან და 30-იან წლებისა შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს, ამიტომ მათი პროვოკაციული მოქმედება ვეღარ დაგვირგვინდება ისეთი წარმატებებით, როგორც 50 წლის წინათ. თუმცა იმხანად „სამეგრელოს საკითხს“ აქტიური მომხრეებიც ჰყავდა საქართველოს ოფიციალურ წრეებში. მ. კახიანმა განაცხადა პლენუმზე 1929 წლის ოქტომბერში: „ზუგდიდის პარტ-ორგანიზაციის მოთხოვნა სამეგრელოს საკითხზე თავადაზნაურობის პოზიციას კი არ ასახავს, არამედ გლეხებისასო“, ხოლო საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობაზე 1929 წელს, დელეგატმა წულუკიძემ (რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივანი) წაახალისა „ზუგდიდელი ამხანაგები“ თავის პატარა ავტონომიისათვის ბრძოლაში და აპლოდისმენტებიც მიიღო. (იხ. სტენოგრამა VI ყრილობისა, გვ. 24).

რაც შეეხება შ. ელიავას, მას მერყეობა ახასიათებდა ამ საკითხში. მისი პოზიციიდან გასაგები ხდება, ჩვენის აზრით, ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რად არ დაუშვა მაინც საბოლოოდ საბჭოთა მთავრობამ სამეგრელოს ავტონომია. შ. ელიავა ამბობდა: „დაეუშვათ და სამეგრელოს საკითხი გადაწყვედა ისე, როგორც ამას მოითხოვენ ჟვანია და მისი მიმდევრები. მაშინ ეს იქნება აგრესიული ზომა ქემაღლისეული თურქეთის წინააღმდეგ. ვინაიდან იქ 300 ათასზე მეტი ლაზი ცხოვრობს, მეგრულად მოლაპარაკე“. მაგრამ ელიავა აქ მარტო თურქეთს როდი დაგიდევდათ, ვინაიდან სამეგრელოსათვის ავტონომიის მინიჭებით იქმნებოდა საფრთხე ლაზების გაერთიანების საზღვრების გაღმა-გამოღმა, რაც თანაბრად საზიანო იყო როგორც თურქეთისთვის, ასევე "სსრ კავშირისთვის", ე.ი. რუსეთისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ძირითადი მიზეზი სამეგრელოს ავტონომიის შეფერხებისა და ე.წ. „აჭარის ასსრ“-ს შექმნაც ემსახურება მიზანს ე.წ. ბუფერული ზონის შექმნისას ორ ლაზეთს შორის, რომელთაც ასხვავებს მხოლოდ სარწმუნოება.

საკავშირო მთავრობის წრეებში, სტალინის გარდა, როგორც ჩანს, სამეგრელოს ავტონომიას მხარს უჭერდა მ. კალინინიც, რომელმაც მე-16 პარტყრილობის დელეგატებს შორის მყოფ შ. ელიავას „ცივი წყალი გადაასხა“ შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ სამეგრელოს მიცემთ ოლქს“, მაგრამ თბილისში დაბრუნებულ დელეგატებს კვლავ დახვდათ სიურპრიზი ოლქის გამოცხადების აკრძალვის სახით. ვინაიდან იმხანად საერთოდ აიკრძალა ახალი ოლქების გამოცხადება და უფრო დარაიონებაზე აიღო კურსი კომპარტიამ.

ი. ჟვანიას აქვს თავისებური „ლოგიკა“, რომელიც უდავოდ გამართლებულია ველიკოდერჟავული შოვინიზმის თვალსაზრისით და არამცდარამც სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებით. იგი სვამს კითხვას: „განა აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ავტონომია არ განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას?“

შემდეგ ი. ჟვანია იგივე „ლოგიკით“ განაგრძობს: „სწორედ საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდება საქართველოში უფრო მეტად, თუ სხვებთან ერთად გვექნება სამეგრელოს ავტონომიაც“. "ოღონდაც, მიუუბოთ ჩვენ, თუ „საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში" აქ იგულისხმება საქართველოს დანაწევრება, მისი ეროვნული ერთიანობის მოსპობა და მომავალში ნიადაგის შემზადება ქართველი ერის სრული ასიმილაციისათვის, მაშინ ი. ჟვანია მართალია, ასე რომ, თუ აფხაზეთის ავტონომიის გამოცხადებით საქართველოს ჩამოსცილდა დაახლოებით მისი მეექვსედი ნაწილი, სამეგრელოს ავტონომია მას თითქმის ნახევარს ჩამოაცილებდა, ე.ი. საქართველოს საზღვარი მოვიდოდა სამტრედიასთან. ასე, რომ საბჭოთა ხელისუფლების



გაძლიერება ჟვანიასწიარების „ლოგიკით“ საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოსპობას ნიშნავს და მისი შენარჩუნების უკუპროპორციულია (საინტერესოა აგრეთვე, რომ ი. ჟვანიას ნომენკლატურით „აჭარლებიც“ ასეთივე ცალკე ხალხია, როგორც აფხაზები და მეგრელები. ვოსტორგოვი უკეთეს შემკვიდრეს ვერ ინატრებდა, ისიც მეგრულ ჩოხაში გამოწყობილს).

ი. ჟვანია ემდურის საქართველოს სახელგამს: ორ წელიწადში სულ ორი ბროშურა მოგვცაო მეგრულ ენაზე. ერთ-ერთი მათგანი არის წიგნი „ჭითა ჩხორია“ („წითელი სხივი“) რომელზედაც დაწერა რეცენზია კონსტანტინე გამსახურდიამ და გაუგზავნა მთავრობას. (იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982 წ. №3, გვ. 143)

ამ რეცენზიაში ავტორი წერს: „ყოველივე ჰიპერბოლის გარეშე წინამდებარე წიგნის „ჭითა ჩხორიას“ გამოსვლა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს, სამარეში (სიხარულით) გადატრიალდება სამგზის“.

„ასეთი ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი ამბავი დიდი, დიდი ხანია საქართველოში არ მომხდარა...“

„მაგალითისათვის, დღევანდელი ჰოლანდია მე-13-14 საუკუნეებამდის ქვემო გერმანიის განუყოფელი ნაწილი იყო და ფეოდალების წაკინკლავების წყალობით იგი გერმანიას გამოეთიშა...“

„რომანოვების რუსეთის ბნელი ხელიც იქითკენ გაემართა, რომ ქართული ენისა და ეროვნების ფარგალი შეემცირებინა და ამგვარად სამარადუამო სიღამბლე მოეგვარათ ქართული კულტურისათვის. ამისათვის უჩინებდნენ აფხაზებს, ხოლო სვანები, რუსეთის გათახსირებულმა, პედერასტმა ეპისკოპოსებმა ენგურში ჩაჰყარეს და მე-7 საუკუნეში მონათლული ხალხი თავიანთ ჭკუით, ხელმეორედ მონათლეს. ამისათვის მუშავდებოდა „კავკასიის კალენდრის“ მახინაციებით სავსე სტატისტიკა“.

„და ყოველივე ამის რეზონდენტრი ის იყო, რომ ქართველი ხალხი საქართველოში უმცირესობად გამოეცხადებინათ“.

„მაფალუისტების (მეგრელი ნაციონალისტების) დაბნელებული გონება იმავე არგუმენტს იშველიებს, რომელსაც პურიშკევიჩები და ვოსტორგოვები ხმარობდნენ: ესაო და მეგრულ გლეხებს ქართული არ ესმის, ქართული წერა-კითხვა ჯვარში არ იციანო.“

აკი ჩვენ ყველას გვინდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებამდე საქართველოში არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს? ვთქვათ ჯვარელმა ან გალელმა გლეხმა გაზეთი „კომუნისტი“ ვერ წაიკითხა, მაგრამ „ჭითა ჩხორიაც“ ხომ იმავე ანბანითაა დაწერილი?“

„სად არის ამ უებრო პეეტრების ლოგიკა?“ - წერდა კ. გამსახურდია.

ი. ჟვანიას ზიზღი ინტელიგენციისადმი იქამდე მიდის, რომ იგი სიტყვა „ინტელიგენტს“ საგინებლად ხმარობს და გვარწმუნებს: მართალია ქართველი და მეგრელი ინტელიგენცია მტერია სამეგრელოს ავტონომიისა და არ მიესალმებაო ჩაის ინსტიტუტის ზუგდიდში გადატანას, მაგრამ მას მიესალმებიანო ქართველი მუშები და გლეხები. თუმც კონკრეტულად ი. ჟვანია ასეთი მუშებისა და გლეხების ვინაობას ვერ ასახელებს და არც ჩვენ გვსმენია რაიმე ასეთების არსებობის შესახებ, რომელნიც ესალმებოდნენ მეგრულ ავტონომიას და ჩაის ინსტიტუტის



ზუგდიდში გადატანას. ქართველი მუშებისა და გლეხებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოირკვა, რომ თვით ზუგდიდის რაიკომის ბიუროს წევრების უმრავლესობაც კი არ იზიარებდა სამეგრელოს ავტონომიის იდეას. ამის შესახებ გაიგზავნა წერილი ცკ (ბ)-ში სტალინთან და საქართველოს ცეკაში, აგრეთვე ზუგდიდის რაიკომში. უვანიაშვილმა სასწრაფოდ მოიწვია თათბირი და დაგმო ეს ვერსია, როგორც „ტროცკისტების“ და „მემარჯვენე ოპორტუნისტების“ მიერ შეთითხნილი ცილისწამება.

ი. უვანია გარეგნულად ყოველნაირად ემიჯნება „მაფალიუზმს“ ე.წ. „მეგრულ ნაციონალიზმს“, თავის მიმდევრებსაც ცდილობს ჩამოაცილოს ეს ლაქა (მაგ. ჭანტურიას), მაგრამ მისი იდეების ანალიზისას ცხადი ხდება, რომ იგი კომუნისტური იდეოლოგიით და პარტიული მანდატით შენიღბული მაფალიუსტია და სხვა არაფერი.

ი. უვანია იცავს მეგრულ ენას ოპოზიციონერების ბოკუჩავასა და პირტახიას კრიტიკისაგან, თითქოს მეგრულ ენას არ გააჩნია განყენებული და ჩვეულებრივი აზროვნების გადმოცემის საშუალებები. ეს თავადაზნაურობის ბრალდების განმეორებააო, რომელიც მეგრულ ენას „არასულიერ“ ენად სთვლიდაო. ყოველივე ამას იგი „ველიკოდერჟავნიკულ“ შოვინიზმს უწოდებს (ოღონდ სიტყვა „ქართულს“ არ ხმარობს). ბოლოს ი. უვანია ბოკუჩავას ამარცხებს და პარტიიდან გარიცხავს.

რამდენადაც სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ავტონომიის გამოცხადებისა, საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა იძულებული იყო ელიარებინა, რომ „თავად მეგრელებს არ სურთ სამეგრელოს ოლქი“. ამან მთლად გააცოფა ი. უვანია. იგი წერს: „როდესაც 1893 წელს სამეგრელოს თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ თავის ყრილობაზე გამოიტანა დადგენილება მეგრული ხალხის სახელით სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ, იგი ქრისტეს სარწმუნოების სახელით მოქმედებდა, რათა მეგრელები ათეისტებად არ ქცეულიყვნენ, ამიტომ აკრძალა უწმინდესმა სინოდმა მეგრულ ენაზე სწავლება. მაშინ ამ საქმეს ხელმძღვანელობდა „მეგრული“ თავადი გრიგოლ დადიანი, გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი. მაშინ გასაგები იყო თუ ეს ხროვა რად ახრჩობდა მეგრულ მშრომელ ხალხს“. დღეს კი გაუგებარია, - განაგრძობს ი. უვანია, - რად იმეორებენო იგივეს ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელები.

ჩვენთვის კი გასაგებია ყოველივე. დაინახეს რა ხალხისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი ოპოზიცია სამეგრელოს ავტონომიისადმი, ოფიციალური პირები უკუქცევის გზას დაადგინეს და გული მოუკლეს უვანიებს თავიანთი უარით.

საინტერესოა, რომ ი. უვანია მარტო მეგრული სეპარატიზმის აღორძინებას როდი აპირებდა, არამედ სვანურ სეპარატიზმსაც უყრიდა საფუძველს. ეს მოჩანს პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის მასალებიდან, კერძოდ, ი. უვანიას გამოსვლიდან ამ პლენუმზე. უარყო რა ფოთის ოლქის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა სამეგრელო, გურია და სვანეთი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. უვანიამ წამოაყენა ახალი თეზა სვანეთ-სამეგრელოს ოლქის შესახებ, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ „სამეგრელო და სვანეთი მუდამ წარმოადგენდნენ ერთ ეკონომიკურ და გეოგრაფიულ მთლიანობას, რაც უძირითადესი პრინციპია ამ მხარის დარაიონებისათვის“.



პლენუმი კატეგორიულად მოითხოვდა სვანეთ-სამეგრელოს ოლქის ცენტრად ქ. ზუგდიდის გამოცხადებას, ვინაიდან ზუგდიდი იყო და არის სვანეთის და სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის გეოგრაფიულ-ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი. ეს გაერთიანება ი. ჟვანიას სიტყვით ხელს შეუწყობდა ჩაის მეურნეობის, ქაღალდისა და სხვა წარმოების განვითარებას და ა. შ. ამაზე მან, როგორც ჩანს, სვანეთშიც ბევრი აგიტაცია გასწია, ვინაიდან მიიღო სვანეთის აღმასკომისაგან სპეციალური „მანდატი“. სვანეთის მიზანში ამოღებაც არ გახლავთ შემთხვევითი, ვინაიდან შავრაზმელი რუსიფიკატორები XIX საუკუნისა უსლარი, ვოსტორგოვი და სხვანი სვანური ანბანისა და სვანური წირვა-ლოცვის შემოღებაზეც ოცნებობდნენ. მათმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა ღირსეულად გააგრძელეს მათი საქმე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, „მაფალუისის“ იდეების ქადაგების შემდეგ ი. ჟვანიას არ ავიწყდება „ინტერნაციონალისტის“ ნიღბის გაკეთება და ფარისევლურად აცხადებს, რომ „ზუგდიდის პარტორგანიზაცია“ ბოლშევიკურად ამხელდა და აძევებდა ყოველთვის ე.წ. „მაფალუისტებს“, ისეთ მეგრულ ნაციონალისტებს, როგორც იყვნენ ექიმი ფ. შენგელია, თ. თორღია, მ. დადიანი და სხვა. მაგრამ - დასძენს ჟვანია, - მას შემდეგ რაც ზუგდიდის რაიკომის ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს ის ხალხი, ვინც ზრუნავდა სამეგრელოს ოლქზე, ეს მაფალუისტები აღადგინეს და მშვიდად მუშაობენო თავიანთ ადგილებზე. საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა პოზიცია ასე თუ ისე გამოვლინდა სამეგრელოს საკითხში, ხოლო ლ. ბერიას პოზიცია გაურკვეველად და ბუნდოვნად რჩებოდა. მისი პოზიციის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტებიდან გამომდინარე. საქართველოს კპ-ს პირველ მდივნად თავის დანიშვნის შემდეგ ლ. ბერიამ მოსთხოვა ჟვანიას ოფიციალური ანგარიში სამეგრელოს საკითხის შესახებ და მოითხოვა მისგან ინფორმაცია, თუ რომელი რაიონებისაგან აპირებდა ი. ჟვანია სამეგრელოს ოლქის შექმნას.

ი. ჟვანიამ დაწერა ანგარიში, რომელშიც ჩამოთვალა ეს რაიონები: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, ნაწილობრივ მარტვილის, აბაშისა და ფოთის. თან დაურთო აგრეთვე ოქმები და ანგარიშები ბიუროს სხდომებისა და პლენუმებისა. აგრეთვე წერილები სხვადასხვა ინსტანციებში. ამის შემდეგ ბერიას არავითარი რეაქცია არ ჩანს, თუმცა ჟვანიამ მას და მახარაძეს კიდევ გაუგზავნა წერილები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბერიას რეაქციაზე ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ მალე გაანთავისუფლა ჟვანია ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნობიდან, ხოლო შემდეგ 1937 წლის „წმენდაში“ მოაყოლა და მოსპო (ცხადია, ეს მისი პატრიოტიზმის შედეგი კი არ იყო, ასე სჯობდა მისი კარიერისათვის: დისკრედიტირებული საქმის და დისკრედიტირებული კაცის გაწირვა).

ამით დაესვა წერტილი ყბადაღებულ „სამეგრელოს საკითხს“, მაგრამ როგორც ვთქვით, არა სამუდამოდ, უკანასკნელ ხანებში სამეგრელოს ზოგიერთ რაიონებში (რომლებიც დღეს ე.წ. აფხაზეთის ასსრ-ში შედიან) თავი წამოყო ისევ სეპარატისტულმა განწყობილებებმა. რა არის ამის მიზეზი?

ჩვენის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია უკულტურობა, უმეცრება, კუმანიტარული განათლების სისტემის დაბალი დონე საქართველოში, განსაკუთრებით პერიფერიებში. სხვაგვარად ვერ შეაფასებ ვინმე ჯოჯუას წერილს გუდაუთის გაზეთ „ბზიფში“ და დგებუავას წერილს



ხობის გაზეთში.

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის თავისი ეროვნული ვინაობა, თავისი ერის ისტორიული წარსული, ვინაიდან არვინ ზრუნავს მისთვის ამგვარი ცოდნის მიწოდებაზე. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, სამეგრელოს ყველა რაიონს აქვს საკუთარი გაზეთი, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ გაზეთებს მოკლედ, პოპულარულ ფორმებში მაინც განემარტოთ მოსახლეობისათვის, თუ რას ნიშნავს ტერმინი „საქართველო“, „ქართველი“, „მეგრელი“, „იმერელი“ და სხვა. ან დაებეჭდოთ მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ. უფრო მეტიც, არა თუ რაიონების, თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას, ალბათ, არ გააჩნია წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა იყო სამეგრელოს სამთავრო, ლევან დადიანის კარი. ბევრმა არ იცის მაგალითად, რომ ქართული კულტურა ყოველთვის იყო ერთადერთი კულტურა სამეგრელოში, ხოლო ქართული ენა გაბატონებული იყო თვით ცალკე სამთავროს გამოყოფის შემდეგაც, როგორც მთავრის კარზე, ისე ეკლესიაში, ისე წარჩინებულ ოჯახებში, რომ მეგრელობა აკად. ბერძენიშვილის თქმით შუასაუკუნეებში კულტურულად არც კი არსებობდა. ქართული იყო სახელმწიფო და სამწიგნობრო ენა სამეგრელოს სამთავროსი. მეგრული ენა უფრო ხალხის სალაპარაკო ენა იყო.

მეგრულის ესოდენ წამოწევა დღევანდელ სამეგრელოში გამოიწვია ეკლესიისა და თავადაზნაურული წოდების, ინტელიგენციის ხელოვნურმა განადგურებამ, კულტურის დაცემამ, განათლების შეფერხებამ.

მაგალითად, კითხვაზე: რომელ ენაზე ლაპარაკობდა ცოტნე დადიანი? თანამედროვე საქართველოს თვით განათლებული კულტურული ადამიანების უმრავლესობაც ალბათ მოგიგებთ, რომ იგი ლაპარაკობდა მეგრულ ენაზე, ამასთანავე ყველა დარწმუნებულია, რომ ცოტნე დადიანი „მეგრულად“ თვლიდა თავს. ასეთ უმეცრებას კი იწვევს საქართველოს ისტორიის, როგორც საგნის, ფაქტიური გაუქმება ჩვენს სკოლებში, ჩვენი ისტორიის პოპულარიზაციის მცირე მასშტაბები; რაც ძალზე შორს მიმავალ მიზნებს ისახავს, ამ კოლექტიური უმეცრების ორგანიზატორები ხელმძღვანელობენ ჯორჯ ორუელისეული ლეგენდარული სახელმწიფოს უმთავრესი დევიზით: "უმეცრება ძალაა". მართლაც და დიდი იარაღია უმეცრება, როდესაც გინდა მთელი ერი გადააგვარო, დაუკარგო მას თვითცნობიერება და დაავიწყო თავისი ეროვნული ვინაობა, კუთხეებად დაანაწევრო, ყოველივე ამას უმეცრების დანერგვის გარეშე ვერაფრით შესძლებ.

მეგრული სეპარატიზმი წვეთი წყალივით ჰგავს აფხაზურ და მუსულმანურ-მესხურ სეპარატიზმს. სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე საქმესთან გვაქვს საქმე. ვინც კარგად იცნობს საქმის ვითარებას, მისთვის ცხადია, რომ ამგვარი სეპარატიზტული იდეების მატარებელი ყოველთვის უკულტურო, ბნელი ადამიანები არიან. რომლებიც თავის უმეცრებაზე აგებენ თავის „დოქტრინებს“. მაგ. ერთ-ერთი მუსულმანი - მესხი (სარვაროვი) ამტკიცებს, თითქოს მესხებმა I საუკუნეში მიიღეს ისლამი და რომ ისინი I საუკუნეებშივე მუსულმანები იყვნენ, მაგრამ საკმარისია ადამიანმა მიიღოს ელემენტარული განათლება, რომ იგი ამგვარ სეპარატიზმს გმობს და ემიჯნება. მაგალითად ნამდვილ მუსულმან მესხთა შორის საშუალო და უმაღლესდამთავრებულნი ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი ეროვნებით ქართველები არიან.



წერა-კითხვის არ მცოდნენი და უწიგნურნი კი როგორც წესი, თურქებად თვლიან თავს, ვინაიდან ვერ გაურჩევიან ერთმანეთისგან ეროვნება და რელიგია. სიტყვა „თურქი“ მათთვის მაჰმადიანის სინონიმია. ასევეა აფხაზეთშიც. ნამდვილი და კეთილსინდისიერი აფხაზი მეცნიერები აღიარებენ, რომ არასოდეს აფხაზეთს არ უარსებია, როგორც დამოუკიდებელ ეროვნებას, რომ არ არსებობდა აფხაზური კულტურა, დამწერლობა, აფხაზური ეკლესია, რომ აფხაზეთის ისტორია, იგივე დასავლეთ საქართველოს ისტორიაა, რომ აფხაზეთის კულტურა ისტორიულად იგივე ქართული კულტურაა, რომ აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ სხვა სახელმწიფო და სამწიგნობრო ენა გარდა ქართულისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კულტურის ძეგლები ქართული კულტურის ძეგლებია და რომ აღიღეურ აფსუური ელემენტი და მისი ენა XVII საუკუნიდან წამოეძალა დღევანდელ აფხაზეთს, რაც გამოიწვია საქართველოს სამეფოს დაცემამ და დაკნინებამ, კუთხეებად დაქუცმაცებამ. დღეს უკვე სადაო აღარ არის, რომ აფხაზეთი ქართული, ქრისტიანული კუთხე იყო XV საუკუნემდე, ხოლო XV–XVII საუკუნეებში ე.წ. „მთის ჩამოწოლის“ ანუ ჩრდილოეთ კავკასიური ტომების ჩამოსახლების შედეგად მოხდა ქრისტიანული ქართული აფხაზეთის კვლავ წარმართობად მიქცევა, ამავე დროს მოხდა ეთნიური შეცვლა, ქართული აფხაზეთისა აღიღეურ, არაქართულ აფხაზეთად (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა).

ოსმალებმა გამოიყენეს (აღღერის მხრიდან) დასავლეთის მთიანეთის აფსუები აღმოსავლეთ-სამხრეთი აფხაზეთის დასამორჩილებლად და ქართული ფეოდალური აფხაზეთის კვლავ მისაქცევად, მაგრამ აფხაზეთის თავადაზნაურობა კვლავ ძველი ტრადიციების ერთგული დარჩა. მან შეინარჩუნა ქრისტიანობა და ქართული ენა, იგი ქართველობდა განსხვავებით აფსუების მდაბიო წოდებისაგან, რომლისთვისაც უცხო იყო ქართული ელემენტები. დღევანდელი გაბატონება აღიღეური ელემენტისა გამოწვეულია აგრეთვე თავადაზნაურობისა და ეკლესიის მოსპობით, რომელიც იყო მატარებელი ქართული ელემენტისა. ამას უარყოფენ მხოლოდ მტრის მიერ დაქირავებული პროვოკატორ-სეპარატისტები, რომელთაც მძლავრი მხარდაჭერა აქვთ მოსკოვის ზოგი „ამხანაგის“ მხრიდან.

დღევანდელ მეცნიერებაში გარკვეულია, რომ თანამედროვე ქართული და მეგრული წარმოადგენენ ერთი საერთო პროტოქართული (მარის ტერმინოლოგიით ე.წ. იაფეტური) ფუძე-ენის ორ განშტოებას, რომელთაგან ერთი (ქართული) გახდა სამწიგნობრო ენა, ხოლო მეორე (მეგრული) შემორჩა დასავლეთ საქართველოში, როგორც ხალხის სალაპარაკო ენა, ისევე როგორც იტალიაში ე.წ. ლოგუდორული და კამპიდანური, გერმანიაში შვაბური, ზემო საქსონური და ა. შ., რომელნიც უფრო მეტად განსხვავდებიან გერმანულისაგან, ვიდრე მეგრული ქართულისაგან.

ამასთან ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ დავაკნინოთ მეგრულის მნიშვნელობა ქართული ენის განვითარებაში, მეგრული ქართველური ენაა, მასში შემორჩენილია უძველესი პლასტები პროტოქართული ფუძე-ენისა, აგრეთვე ძველი ქართულისა, აი, რას ამბობდა მაგალითად, აკაკი წერეთელი: „მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შემონახულან მარგალიტად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ



ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“. მე მგონი ახალ დროში კონსტანტინე გამსახურდიამ, სიმონ ჩიქოვანმა, შალვა დადიანმა, ლეო ქიაჩელმა და სამეგრელოდან გამოსულმა სხვა მწერლებმა შესანიშნავად აღასრულეს აკაკის ეს ანდერძი თავიანთ შემოქმედებაში.

აღბათ ჟვანიასათვისაც ვინმეს რომ ესწავლებინა თავის დროზე საქართველოს ისტორია, იგი თავის სეპარატისტულ ბოდვებს არ აჰყვებოდა. თუმც საქმეს ის ართულებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სამივე ტომის ხალხშიც შეიძლება შევხვდეთ უმადლესდამთავრებულ და ასე თუ ისე განათლებულ ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად აყალბებენ ისტორიას და სარგებლობენ რა მასების სიბნელით, შთაუნერგავენ მათ სეპარატისტულ იდეებს. ასეთი შენიღბული პროვოკატორები მტრის წაქეზებით მოქმედებენ და მისგანვე ზურგამაგრებულნი სარგებლობენ სრული დაუსჯელობით. საჭიროა მათი გამოვლენა და მხილება.

ამავე დროს ზოგიერთი ფსევდოინტელიგენტი ჩვენში, რომელიც ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს არ იშურებს საქართველოს სადიდებლად, ხანგამოშვებით ასეთ „თეორიებსაც“ ავითარებს: „რაც ესაქმებათ მეგრელებს ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან, რა მეგრელების საქმეა საქართველოს ტკივილები, მეგრელების გაკეთებული ქართული საქმე ვის უნახავსო“. თუმც ასეთები უპირატესად ის მედროვენი არიან, ორ სკამზე ჯდომას რომ ცდილობდნენ და ორ ბატონს რომ ემსახურებოდნენ, და ასეთ „თეორიებსაც“, აღბათ ჩვენი მტრების დავალებით ავითარებენ. სწორედ ასეთნი ცდილობენ შეათავსონ „პატრიოტული მოღვაწეობა“ მტრის აგენტობასთან. მსგავსი ვაიპატრიოტების მიზეზით, სამეგრელოს ენგურსგაღმა ნაწილში სამურზაყანოში, მეგრელთა შორის უკვე შეინიშნება დაბნეულობა და უკმაყოფილება, რაც შეიძლება მეგრულ სეპარატიზმში გადაიზარდოს, რაც საბოლოო ღახვარი იქნება საქართველოსათვის. ქართული ეროვნული შეგნება ხომ ყველაზე დაბალ დონეზეა სწორედ დღევანდელი „აფხაზეთის“ ასსრ-ს მკვიდრებში. სამურზაყანოც ხომ „აფხაზეთად“ ითვლება 1921 წლის შემდეგ. თუმც იქ აფხაზური მოსახლეობა 1 პროცენტსაც ვერ აღწევს, ხოლო ის დაუფარავი ანტიქართული აგიტაცია, რომელსაც ჩვენი მტრები ეწევიან აფხაზეთში, იქაურ მეგრელობაზე უდიდეს გავლენას ახდენს და გზას უხსნის მათ „გააფხაზებისა“ და „გამეგრელებისაკენ“.





**გარიკალ უუბკარაქა**

**საქართველოს "ორბვარი"  
ლინგვისტურ-ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორია  
და ადეკვატური რუკების პრობლემა<sup>1</sup>  
("ქართლის ცხოვრების" ტექსტში ჩართული უნდა იყოს ამ  
ისტორიული კვლის მიხედვით შექმნილი რუკა)**

"საქართველოს ისტორიის ნარკვევებში", სახელმძღვანელოებსა თუ ენციკლოპედიურ ცნობარებში საქართველოს ისტორიის "მთავარ კალაპოტად" არ უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკური თვალსაზრისი, რომ, თითქოს, უძველესი დროიდან VII საუკუნემდე ცალ-ცალკე არსებობდა ეგრისისა და ქართლის სამეფოები, რომელთაც ქართულისგან განსხვავებული ჰქონდათ სახელმწიფო თუ საეკლესიო ენა, ავტოქთონი მოსახლეობის დედაენა, ზოგადად, კულტურა. "ქართლის ცხოვრების" საფუძველზე დროულად, ახლებურად და პოლიტიკურების გარეშე უნდა დაიწეროს ქართველი ერისა და საქართველოს აკადემიური ისტორია, იგი უნდა შეივსოს და დაზუსტდეს სხვაენოვანი სარწმუნო ცნობებითა და ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური თუ არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიური თანამედროვე კვლევების შედეგებით; უნდა დამზადდეს აგრეთვე, საქართველოს ისტორიული რეალობის ადეკვატური რუკები.

ქართველ მემკვიდრეთა ცნობით, "ყოველთა ქართველთა" სახელმწიფო - ისტორიული ქართლი - ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ. წ. VI საუკუნემდე (და შემდგომაც) მოიცავს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას და ტაო-კლარჯეთის სახელით ცნობილ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ლაზეთი რიხემდე მაინც, ნიგალი, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, ორივე ტაო, სპერი). ახ.წ. V საუკუნემდე ქართლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო მდინარე დალიძგა, ხოლო V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ბერძნებისგან ლეგიტიმურად (ცოლის მზითვის სახით) მიიღო ტერიტორია დალიძგიდან კლისურამდე.

ქართული საისტორიო ტრადიცია ასევე გვეუბნება, რომ ამ პერიოდის საქართველოში ქართველებს ერთი დედაენა ჰქონდათ, რომელიც ამავე დროს იყო ქართლის (ისტორიული საქართველოს) საზღვრებში სახელმწიფო და საეკლესიო ენა.

ქართული წყაროების ტრადიციული ხედვის საპირისპიროდ, XX საუკუნის ისტორიკოსთა

<sup>1</sup> 2009 წლის 13 ნოემბერს საერთაშორისო სიმპოზიუმზე - ქუთაისური საუბრები - XII - წაკითხული მოხსენების მოკლე ვარიანტი; ვრცელი ვარიანტი დაიბეჭდება "ქართველური მემკვიდრეობის" XIII ტომში (იხ., სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები, ქუთაისი, 2009, გვ. 61-69).





დიდი ნაწილის (ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოურის, დ. მუსხელიშვილის და სხვათა) აზრით, უძველესი დროიდან ვიდრე XI საუკუნემდე **ქართლის** სამეფოში არ შედიოდა ამჟამინდელი დასავლეთი საქართველო - **ძველი ეგრისი**; შდრ., მაგ., ნ. ლომოური, 1970, გვ. 159, 165: "IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონში მდებარე **ლაზთა (ეგრისის) სამეფო** შემდგომ გაძლიერებას აღწევს... ეგრისის სამეფოს გაძლიერების მახვენებელია, უპირველეს ყოვლისა, მისი ტერიტორიული გაფართოება... IV საუკუნის მიწურულისთვის დასავლეთ საქართველო გაერთიანებულია ლაზების (ეგრისის) სამეფოს მიერ.

ზემოთ დასახელებულ ავტორებს დიდი ღვაწლი აქვთ გაწეული ქართული ისტორიოგრაფიისთვის; მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად უნდა აღვნიშნო, რომ უძველესი დროიდან ახ.წ. VI საუკუნემდე **ეგრისისა და ქართლის, როგორც ორი დამოუკიდებელი სამეფოს** არსებობის დამადასტურებელი არც ერთი სარწმუნო არგუმენტი არ არის წარმოდგენილი; მაგ., IV საუკუნის ვითარების აღწერისას ამ საკითხებზე საგანგებოდ მომუშავე ნ. ლომოურისა და დ. მუსხელიშვილს ძირითადად დამოწმებული აქვთ VI საუკუნის მოღვაწის - პროკოპი კესარიელის ცნობები<sup>2</sup> (მსჯელობისათვის იხ., ქვემოთ). ისმის კითხვა:

რამდენად ლოგიკურია, რომ VI საუკუნის დასაწყისში დაბადებული და კავკასიისგან შორს მყოფი პროკოპის წინააღმდეგობრივი ცნობების მიხედვით<sup>3</sup> "დავასაბუთოთ" IV საუკუნის საქართველოს ამბები? კერძოდ, ქუთაისი-ნოქალაქევის ზონა გამოვაცხადოთ IV საუკუნის ეგრისის ე.წ. სამეფოს ცენტრალურ რეგიონად? ამ ფონზე რამდენად გამართლებულია IV საუკუნის საქართველოს - წმიდა ნინოსა და მირიანის ეპოქის (!) - შესახებ "ქართლის ცხოვრების" თანამიმდევრული ცნობების იგნორირება (რომლებიც ძირითადად თვითმხილველთა ცნობებს ეყრდნობა)?

სანიმუშოდ გავაანალიზოთ დ. მუსხელიშვილის ერთი ციტატა (2004, გვ. 100):

"IV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც კონსტანტინე პირველმა რომის იმპერია ოთხ პრეფექტურად გააყო, ეგრისი, სავარაუდოა, აღმოსავლეთის პრეფექტურის - პოლემონის პონტოს პროვინციაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ, პონტოს დიოცეზის შემადგენელი ნაწილი იყო".

შდრ., საპირისპირო ცნობაა ქართულ წყაროში ("ქართლის ცხოვრება", 1955, გვ. 70): "და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს, და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე (დალიძეამდე: ოჩამჩირეს ჩათვლით - ტ.ფ.)".

<sup>2</sup> შდრ., ბერძენ ავტორებს რიგ შემთხვევაში საინტერესო ცნობები მოჰყავთ, მაგრამ არ შეიძლება ამ ცნობების განზოგადება სხვა დროსა და სიტუაციაზე; მაგ., V საუკუნის ანონიმი ავტორის აზრით, მდინარე ფაზისი სათავეს იღებს **არმენიის მთებიდან**; მის შესართავთანაა მიღებული ელინური ქალაქი ფაზისი (სადაც თავს იყრიან 60 ენაზე მოლაპარაკე ტომები); ამავე მდინარეზეა ქალაქი აია, საიდანაც იყო მედეა (გეორგიკა, ტ. 2 გვ. 4-5). არმენის მთებთან მხოლოდ ჭოროხის სათავეების ლოკალიზება შეიძლება; რამდენად ლოგიკურია ჭოროხის შესართავთან ქალაქ ფაზისის დაშვება?

<sup>3</sup> ბიზანტია-სპარსეთის ომები პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილია VI საუკუნის შუა პერიოდში. აქვე აღვნიშნავ, რომ ერთ-ერთ ყველაზე სანდო ისტორიკოსად მიჩნეულმა პროკოპი კესარიელმა ორგვარი ისტორია დაწერა: ოფიციალური - იუსტინიანეს საქებარი და არაოფიციალური - იუსტინიანეს სალანძღავი; თავად წერს, რომ თავის ოფიციალურ ნაწერებში იუსტინიანეს ხედვა რომ არ გაატაროს, **მოკლავენ**; იხ., გეორგიკა, II, გვ. 40-42.



"ქართლის ცხოვრებას" (და არა დ. მუსხელიშვილის დასკვნას) უჭერს მხარს თანამედროვე საბერძნეთში შექმნილი "რომის იმპერიის რუკაც", რომლის მიხედვით IV საუკუნის ბიზანტიის იმპერიის საზღვარი, შესაბამისად, საეკლესიო საზღვარიც რიზემდე (ან გონიომდე) თუ აღწევს; შდრ., პოლემონის პონტოს პროვინციის საზღვრები (ამ შემთხვევაში ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი გონიომდე აღწევს)<sup>4</sup>:



როგორც ცნობილია, I-IV მსოფლიო კრებების მიხედვით საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს საზღვრებს; შესაბამისად, ლოგიკურია დასკვნა, რომ **ადრეულ პერიოდში და შემდეგაც ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში**<sup>5</sup>.

ქართლის საზღვრების თვალსაზრისით საინტერესოა სომხური წყაროები, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებენ ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; კერძოდ, პოპანნეს სომეხთა კათალიკოსის VI საუკუნის შუა წლების ეპისტოლის მიხედვით ტაო-კლარჯეთი ქართლის ეკლესიის სამწყსოა, ხოლო სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კვირიონი, წინანდელი წესის თანახმად, **ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა** არქიეპისკოპოსად იქნა ხელდასმული<sup>6</sup>.

სხვა უცხური და ქართული ცნობების შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას იძლევა

<sup>4</sup> [http://www.google.ge/imgres?imgurl=http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/5/55/Pontus.png/250px-Pontus.png&imgrefurl=http://en.wikipedia.org/wiki/Pontus&usq=\\_\\_d\\_HNhsaFgLkzZZZQ3Cy9pTmZKeE=&h=200&w=250&sz=64&hl=ka&start=9&tbnid=BUBW7HIU3qH-GM:&tbnh=89&tbnw=111&prev=/images%3Fq%3Dpontus%2Bpolemoniacus,%2Bmap,%2BIV%26hl%3Dka%26newwindow%3D1](http://www.google.ge/imgres?imgurl=http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/5/55/Pontus.png/250px-Pontus.png&imgrefurl=http://en.wikipedia.org/wiki/Pontus&usq=__d_HNhsaFgLkzZZZQ3Cy9pTmZKeE=&h=200&w=250&sz=64&hl=ka&start=9&tbnid=BUBW7HIU3qH-GM:&tbnh=89&tbnw=111&prev=/images%3Fq%3Dpontus%2Bpolemoniacus,%2Bmap,%2BIV%26hl%3Dka%26newwindow%3D1)

<sup>5</sup> მსჯელობისათვის იხ., მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 1976; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2003.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, 1979, გვ. 340-242; ა. ჯაფარიძე, 1976, გვ. 330, 361.

<sup>7</sup> შდრ., გარკვეულწილად შუღელდური პოზიციაა გამოსატული ბ. დიასამიძის 2001 წლის მონოგრაფიაში (2001, გვ. 64, 233): "ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფო-საკანცელარიო ენა იყო ადგილობრივი, ზანური, ან მისი განაყოფი ენა - ქართული. ხოლო ღვთისმსახურების ენა V საუკუნიდან მაინც იყო ქართული ენა. IV საუკუნის 20-იან წლებში ისე როგორც ქართლში, ეგრისშიც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამით **ორივე ქართულმა სახელმწიფომ** საბოლოოდ გამოკვეთ თავისი პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაცია". 2009 წლის ნაშრომში "საეკლესიო ენის საკითხი ადრეშუასაუკუნეების ეგრისში" (ქუთაისური საუბრები XII, 2009, გვ. 34) კი უფრო არგუმენტირებულია შემდეგი მოსაზრება: "**ეგრისში სახელმწიფო და საეკლესიო-ღვთისმსახურების ენა იყო ქართული**".



ვთქვათ, რომ დასავლეთ საქართველოში ვიდრე კლისურამდე (სოხუმამდე) საეკლესიო და სახელმწიფო ენა იყო ქართული<sup>12</sup>, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის შემდეგ (IX ს.) კლისურადან ნიკოფსიამდე ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიებშიც ქართულად დაიწყო წირვა-ლოცვა<sup>8</sup>. **უფრო საინტერესო ისაა, რომ** ამ გაერთიანების დროს მცხეთის ეკლესიის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსო სამართავად გადაეცა დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის ეპარქიები (მანამდე ბიჭვინთელი კათალიკოსი იურიდიულად აკონტროლობდა მხოლოდ კლისურას ჩრდილოეთ მხარეს); საეკლესიო მამათა ამ შორსგათვლილი ნაბიჯით **ფაქტობრივად გაქართულდა ტრადიციული ბიჭვინთის ეკლესიაც**. ეკლესიის გაერთიანებამ საფუძველი მოამზადა დიდი საქართველოს აღორძინებისთვის.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი:

VI-VIII საუკუნეებში ბიჭვინთის ველში დასტურდება ბერძნულენოვანი ეპიგრაფიკული მასალა (მასალისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, გვ. 182), ხოლო ქუთაისის VII საუკუნის საყდარზე - ქართულენოვანი წარწერა "გაბრიელი" (ო. ლანჩავა, 2007, გვ. 151).

დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა დედაენის შესახებ უთუოდ საყურადღებოა პროკოპი კესარიელის მსჯელობაც **ქუთაისის** სახელის შესახებ: ბიზანტიისა და სპარსეთის მიერ 532 წელს საქართველოს განაწილების შემდეგ, ბიზანტიამ გარკვეული დროით გააფართოვა ლაზიკის საზღვრები და მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავა. ამ პერიოდის ქუთაისის მოსახლეობის ენაზე პროკოპი კესარიელი წერს: ლაზებმა ბერძნული ენა არ იციან, ამიტომ ამახინჯებენ და **კოტიაიონს ქუთათისს/ქოთათისს** ეძახიან (გეორგიკა, 1965, გვ.195). ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანური კილოების მიხედვით ქუთაისი არის **ქუთეში**. გამომდინარე აქედან, პროკოპის დროს "**ლაზთა**" - დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა - ისტორიული დედაენაც და ძირითადი საურთიერთო სახელმწიფო ენაც იყო ქართული ენა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 298-322). აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროების მიხედვით, ტრაპიზონიდან ვიდრე კლისურამდე მცხოვრებთა ძირითად ნაწილს შეადგენენ მეგრელები (ანუ ჭანები თუ ლაზები), რომელთა საცხოვრისის დიდი ნაწილი ხან მათი მონაწილეობით შექმნილი ეროვნული სახელმწიფოს - ქართლის - ნაწილია, ხანაც - დამპყრობლის მიერ კონტროლირდება (ძირითადად ბიზანტიელებისგან, ზოგჯერ - სპარსელებისგანაც).

ძვ.წ. IV და ახ. წ. VII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ენობრივი სიტუაციის დახასიათების თვალსაზრისით არსებითი ცვლილება ხდება მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან; კერძოდ, ამ პერიოდიდან **რუსული სამეცნიერო წრეებში** ჩნდება და მიზანმიმართულად აქტიურდება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი თითქოსდა მრავალი საუკუნეა

<sup>12</sup> საფიქრებელია, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან IX საუკუნის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ეკლესიურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აკონტროლებს. IX საუკუნის დასასრულს ანტიოქიის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, რომელიც ხატმებრძოლობის ცოდვაში იყო ჩაფლული. აფხაზეთის ეკლესიამ ჯერ უფლება მიიღო მცხეთიდან წაეღო მთონი, შემდეგ კი აფხაზეთის კათალიკოსმა ნებაყოფილობით მიიღო უმრწემის (უმცროსის) სტატუსი მცხეთის კათალიკოსთან შედარებით (მსჯელობისა ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ა. ჯაფარიძე, 2003, გვ. 60; გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, გვ. 31-45). შდრ.: მანამდე აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ბიზანტიისგან (VIII საუკუნის მიწურულს).



საუბრობენ ქართულისგან განსხვავებულ (ქართულის მონათესავე) ორ თუ ოთხ სხვა დამოუკიდებელ ენაზე<sup>9</sup>; კერძოდ: ლაზები – ლაზურად, მეგრელები – მეგრულად, სვანები – სვანურად, არგვეთელები (ზემო იმერლები) – მარგულად<sup>10</sup>. მსოფლიოში ფართოდ ვრცელდება ამ მოსაზრების საფუძველზე შექმნილი ლინგვისტური რუკებიც; აქ წარმოვადგინო პროფ. ი. გიპერტის ერთ-ერთ რუკას (TITUS Didactica: Language Map Caucasus: Netscape version)<sup>11</sup>:



1993-2003 წლებში შექმნილ ამ რუკის მიხედვით თითქოსდა ქართულენოვანი სივრცე არ იყო: შიდა ქართლი, სამეგრელო, აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი...

ქართველური ენობრივი სამყაროს ამგვარი ხედვის შესახებ ჩემი თვალსაზრისი და არგუმენტები გამოქვეყნებულია<sup>12</sup>; აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ:

ქართული საისტორიო ტრადიციის, ქართველი საზოგადო მოღვაწეების უდიდესი ნაწილისა და თანამედროვე ენათმეცნიერთა ნაწილის აზრით, **ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს**. რამდენიმე ქართველური ენის თეორია სარწმუნო ისტორიულ ფაქტებსა და დამაჯერებელ ლინგვისტურ არგუმენტებს არ ეფუძნება; შესაბამისად, ოდითგანვე დასავლეთ საქართველო ქართული ენის (ქართველთა ეროვნული ენის) გავრცელების არეალია.

<sup>9</sup> მაგ., თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით (1984, გვ. 880-881), საერთოქართველური არსებობდა დაახლოებით 5 000 წლის წინ, რომელსაც სვანური ენა 4 000, ხოლო კოლხური ენა - 3000 წლის წინ. ისტორიულ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი ქართულენოვანი მოსახლეობის მიერ დასავლეთ საქართველოს კოლხურენოვანი მოსახლეობის ექსპანსიის შემდეგ შუაზე იხლიჩებთან კოლხები და ყალიბდება კიდევ ორი ენა: მეგრული და ლაზური... ბუნებაში არ არსებობს 4000-წლიანი ენა. გარდა ამისა, რაიმე ფაქტით თუ ლოგიკური არგუმენტით არ საბუთდება ქართველი ერის ამგვარი ენობრივ-ეთნიკური ისტორია. არადა, მსგავსმა მოსაზრებებმა საბჭოთა პერიოდში საფუძველი დაუდო ე.წ. **ქართიზაციის თეორიას**. ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკური და არგუმენტირებულია მოსაზრება, რომ ქართველთა საერთო დედაენის (ქართულის/ქართველურის) ძირითადი კუთხური სახესხვაობები (სვანური, ზანური, მესხური, ფხოვეური თუ სხვა ქართველური კილოები და არა - "ენები") ყალიბდება ახ. წ. პირველ ათასწლეულში (ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, თ. გვანცელაძე, 2006).

<sup>10</sup> **მარგულის** შესახებ მსჯელობისათვის იხ.: აკ. შანიძე, 1981: მარგული მეტყველება "ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო" (გვ.443). 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ქართველები" (გვ. 192-193) წარმოვადგინეთ არგუმენტები, რომ იმერეთში ქართულის გარდა ქართველთა სხვა ენა არ უნდა არსებებოდა. შდრ., გ. მჭედლიძის მსჯელობა: "ტ. ფუტკარაძე იწინებს ნ. ბერძენიშვილის გამოთქმას "ქართი - ტომიყლაპია", რაც ქართიზაციას ნიშნავდა. მაგრამ აბა



უფრო ვრცლად შევეხებით **ეგრისისა** (დასავლეთ საქართველოს) და ქართლის სამეფოების დამოუკიდებლად არსებობის საკითხს.

ეგრისის დამოუკიდებლობის შესახებ თვალსაზრისი შექმნილია **ქართველ მემკვიდრეთა ინფორმაციების იგნორირებით** და ქართლის დაპყრობის მოსურნე ბერძნების თუ რომის იმპერიის მოხელეთა საეჭვო (თუ ობიექტური) ცნობების **ადადეგვით** (იხ., ქვემოთ)<sup>13</sup>.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიზანი არ იყო, მრავალრიცხოვანი ქართული თუ სხვაენოვანი წყაროებით დაბალანსებულიყო ბერძნულ-რომაული წინააღმდეგობრივი ცნობები საქართველოს შესახებ<sup>14</sup>; შესაბამისად, ევროპის ისტორიის ამსახველ თაანამედროვე რუკებზეც (<http://www.euratlas.com/summary.htm>) საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები XIII საუკუნემდე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამეფოებადაა წარმოდგენილი; შდრ., მაგ.:

1. ევროპა I საუკუნეში: ამ რუკაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოებია **კოლხეთი** და **იბერია** (<http://www.euratlas.net/history/europe/1/index.html>):



რა იყო ის პროცესი, რასაც შედეგად იმერეთ-გურიისა და ჰერეთის მოსახლეობის მიერ **საკუთარ ენაზე მეტყველების დაკარგვა და მხოლოდ ქართულზე გადასვლა მოჰყვა** (2008, გვ. 62); იქვე გ. მჭედლიძე სათანადო არგუმენტების გარეშე მაინც თვლის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური ნაკადისგან დასავლეთ საქართველოს **ქართიზაცია** დადასტურებული ფაქტია (გვ. 62-63).

<sup>11</sup> <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasn.htm> ამ სხვა მსგავსი რუკების კრიტიკისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2008; ტ. ფუტკარაძე, 2009

<sup>12</sup> იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005; ტ. ფუტკარაძე, 2007; ტ. ფუტკარაძე, 2009...

<sup>13</sup> ბერძენ მწერალთა ცნობების საეჭვოობის შესახებ ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება იხ., გეორგიკა, II, გვ. 97-110. იხ., აგრეთვე გ. გრიგოლია, 1994, სადაც კვალიფიცირებული მსჯელობაა ბერძნული წყაროების წინააღმდეგობებისა და მდინარე ფაზის-ჭოროხის შესახებ.



2. ევროპა III საუკუნეში (<http://www.euratlas.net/history/europe/300/index.html>); რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოებია: ლაზიკა, კოლხეთი და იბერია (ამ და სხვა შემთხვევებში მოვიტანთ ევროპის რუკის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილს):



3. ევროპა IV საუკუნეში (<http://www.euratlas.net/history/europe/400/index.html>); აქ უკვე ლაზიკა და იბერიაა დამოუკიდებელი სახელმწიფოები:



<sup>14</sup> ცალკეული ქართველი ისტორიკოსების წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის იმპერიამ XIX-XX საუკუნეებში შეძლო შეექმნა ქართველი ერისა და საქართველოს დანაწევრების ფსევდომეცნიერული "საფუძვლები" ("გათიშე და იბატონე"). ამ მხრივ დღესაც ყველაზე მეტს აკეთებენ საზღვარგარეთიდან დაფინანსებული პოლიტიზებული მეცნიერები.



4. ევროპა V საუკუნეში (<http://www.euratlas.net/history/europe/500/index.html>); აქაც **ლაზიკა** და **იბერია** დამოუკიდებელი სახელმწიფოები:



5. ევროპის XI-XII საუკუნეების რუკას (<http://www.euratlas.net/history/europe/1000/index.html>), სადაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია დიდი **აფხაზეთი** და **პატარა საქართველო** (გეორგია);






საფიქრებელია, რომ XI-XII საუკუნეების რუკებზე I-X საუკუნეების რუკების ქორონიმ იბერია-ს შეცვლა ქორონიმ გეორგია-თი **შემთხვევითი არ არის**. პოლიტიზებულ მეცნიერთა ერთი ნაწილი დღეს ცდილობს დააჯეროს მსოფლიო, რომ ისტორიულად აფხაზეთი სხვაა, საქართველო კი სხვა; რომ აფხაზეთი არ იყო ქართულენოვანი სახელმწიფო (ამგვარი პათოსითაა შექმნილი ეს რუკაც). სინამდვილეში ყველა ადრინდელი უცხოური თუ ქართული წყაროს მიხედვით, X-XII საუკუნეების აფხაზეთი ქართველების მიერ შექმნილი ქართველებით დასახლებული ქართულენოვანი სახელმწიფოა; შდრ., მაგ.:

**უხტანესი** (VI ს. სომეხი ისტორიკოსი): შავი ზღვის პირას ცხოვრობენ ვრაცები (ქართველები); მათ ქვეყანას აფხაზეთი ჰქვია;

**ხაკანი** (მე-12 საუკუნის თურქულენოვანი პოეტი): "ამ სახეანთებული ხუჭუჭთმიანი ქალისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი" და სხვ.<sup>15</sup>

აქვე აღვნიშნავ, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში გამოქვეყნებული რუკების უმრავლესობაშიც I-VI საუკუნეებში საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები დამატებითი არგუმენტაციის გარეშე დამოუკიდებელ სამეფოებადაა წარმოდგენილი (ზოგან პირიქით, საზღვრები უარგუმენტოდ არის გაზრდილი); შდრ., მაგ., მ. სანაძის, თ. ბერაძისა და კ. თოფურიას (საქართველოს ისტორიული ატლასი, 2003, რუკა 8 (ქართული სახელმწიფოები I-II საუკუნეებში):



<sup>15</sup> ვრცლად იხ., აფხაზეთი, თბილისი, 2008 (ქართული და რუსული გამოცემები).





დასანანი ის უფროა, რომ "ქართლის ცხოვრების" ახალ გამოცემებში "ქართლის ცხოვრების" ავტორთა (მემატიანეთა) ცნობების საპირისპირო შინაარსის რუკებია ჩართული. მაგ., ახლახან აკად. რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ "ქართლის ცხოვრების" რუსულ ვარიანტშიც არის რუკა, რომელზეც I-IV საუკუნეების საქართველო დაშლილად - ქართლისა და ეგრისის (/ლაზიკის) ორ სამეფოდ - არის წარმოდგენილი და მათ შორის საზღვრად ჩათვლილია ლიხის ქედი (რ. მეტრეველი, 2008, გვ. 104-105)<sup>16</sup> არადა, ქართველ მემატიანეთა მიხედვით, ამ დროს ეგრისი ქართლის სამეფოს ორგანული ნაწილია.



ნათელია, რომ ამ რუკის საფუძველია არა "ქართლის ცხოვრების" ხედვა, არამედ ნაკლებარგუმენტირებული თვალსაზრისი ეგრისისა და ქართლის დამოუკიდებელი სამეფოების არსებობის შესახებ<sup>17</sup>.

<sup>16</sup> შდრ.: ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი (დ. მუსხელიშვილი, თ. ბერაძე, მ. სანაძე...) სამართლიანად თვლის, რომ საქართველო ერთიანი იყო ვახტანგ გორგასლის დროს; თუმცა, მათი აზრით, ვახტანგმა შემოიერთა ეგრისი, სინამდვილეში ვახტანგმა უკან დაიბრუნა ბერძნებისგან დაპყრობილი ტერიტორია ციხე-გოჯიდან დალიძგამდე და შემოიმატა ქართული მიწა-წყალი დალიძგოდან - კლისურამდე.  
<sup>17</sup> წესით, "ქართლის ცხოვრების" ტექსტში ჩართული უნდა იყოს ამ ისტორიული ძეგლის მიხედვით შექმნილი რუკა.



შდრ.: დამოწმებული რუკებისგან რადიკალურად განსხვავდება ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წელს დახატული "ქართლის, ანუ საქართველოს, იბერიის გეორგიანის" რუკები (ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ატლასი, თბ., 1997, გვ. 2, 23-25), მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის 1996 წელს, ხოლო მანანა შეყილაძის მიერ 2004 წელს შექმნილი რუკები, რომლებიც ასახავენ "ქართლის ცხოვრების" ხედვას (რამდენიმე ასპექტი აქაც დასაზუსტებელია). გთავაზობთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძისა და მანანა შეყილაძის რუკებს:

მიტროპოლიტი ანანია: (დაბეჭდილია 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", შიდა ყდა):



- ქვემო ქართლი
- სამცხე-ჯავახეთი
- საბურთელო
- სამეგრელო-ზემო ქართლი



## იბერიის ანუ ქართლის სახელმწიფო I-V საუკუნეებში ("ქართლის ცხოვრების" მიხედვით)

მ. შევილაძე ("საქართველოს ისტორიული ატლასი, თბ., 2004, გვ. 5; IV-VI საუკუნეების ქართლის (აქ ერთიანი საქართველოს სამეფოში დაუსაბუთებლად) შეტანილი კლისურა-ბიჭვინთის მხარეც და აკლია ტერიტორია გონიოდან ათინამდე):



მიუხედავად "ქართლის ცხოვრების" მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა, თანამედროვე (XXI საუკუნის) ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობაც რატომღაც ბრმად იზიარებს მოსაზრებას საუკუნეების მანძილზე **ეგრისისა** და **ქართლის** სამეფოების სხვადასხვაობების შესახებ<sup>18</sup>. არაიშვიათად, მცდარი დასკვნების საფუძველია **გაუმართლებელი ტერმინოლოგიური აღრევები**; მაგ., მე-20 საუკუნეში რატომღაც სინონიმებად გამოცხადდა, ერთი მხრივ, ტერმინები: "კოლხეთი", "ლაზიკა", "ეგრისი", მეორე მხრივ კი: "ქართლი", "იბერია"; თანაც, სხვადასხვა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის აღმნიშვნელ ამ ტერმინთაგან უპირატესობა მიენიჭა ბერძნულ-რომაულ გააზრებებს; შდრ.:

<sup>18</sup> კერძოდ, რუსეთის იმპერიის ზეწოლისგან თავისუფალი ზოგი ქართველი მეცნიერიც უფრო ენდობა წინააღმდეგობრივ იმპერიულ ცნობებს (ვიდრე "ქართლის ცხოვრების" ავტორებს) და ბრმად იზიარებს მოსაზრებას საუკუნეების მანძილზე ეგრისისა და ქართლის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ; იხ., მაგ., გ. გრიგოლია, 1994; ეგრისის დამოუკიდებლობის სამტკიცებლად დღესაც იწერება სადოქტორო ნაშრომები; იხ., მაგ., დოქტორანტ მერაბ ჭუმბურიძის სადისერტაციო ნაშრომი: "ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. I-III საუკუნეებში)", ქუთაისი, 2009.



"ქართლის ცხოვრებისეული" ქორონიმი **ქართლი** აღმოსავლეთ საქართველოს გარდა მოიცავს: ეგრისს, მარგვეტს, ტაოს, კლარჯეთს, აფხაზეთს; ბერძნული წარმოშობის ქორონიმი **იბერია** კი სტრაბონის მიხედვით მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოა. შდრ., ზოგ ევროპულ წყაროში იბერია სრულიად საქართველოსაც გულისხმობს (მასალის ანალიზისათვის ვრცლად იხ., ა. ჯაფარიძე, 1996, გვ. 86-92; ტ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 93-96, 103-108, 186-200).

აუცილებელია პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინება: შდრ., მაგ., დღეს, 2009 წელს, შეუძლებელია სინონიმებად გამოვაცხადოთ რუსეთის პოლიტიკური ელიტისგან გამოყენებული ტერმინი: **გრუზია** და ამერიკელებისა თუ ქართველებისგან გამოყენებული ტერმინები: **გეორგია** და **საქართველო**: რუსები "გრუზიაში" აღარ მოიაზრებენ აფხაზეთს.

**ორი ტერმინის სინონიმად მიჩნევა** მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მოცემული სიტყვაფორმებით (აღმნიშვნელით) ერთი და იგივე ობიექტი (აღსანიშნი) არის აღნიშნული. მოცემულ შემთხვევაში საფუძველი არა გვაქვს სინონიმებად გამოვაცხადოთ ტერმინები: **ეგრისი** და **ლაზიკა**, რამდენადაც მათი სემანტიკური პლანი სხვადასხვაა; შდრ.:



- უცხოური წარმოშობის სიტყვაფორმა **ლაზიკა** აღნიშნავს ბიზანტიისგან დაპყრობილ ტერიტორიას (ქართველთა საცხოვრისს, რომელსაც ბიზანტიის იმპერიის მორჩილი მოხელე მართავს).

- სამწიგნობრო ქართულის ყალიბით წარმოქმნილი სიტყვაფორმა (**ეგრისი**) აღნიშნავს ქართლის მეფის "საუხუცესო ტერიტორიას" - სამეფო გვარის უხუცესის პირად საკუთრებას.

წარმოდგენილი ტერმინოლოგიური ძიებისას ჩვენთვის მთავარია კითხვა: **დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი (ბედია-ნოქალაქევი-ქუთაისი) IV-VI საუკუნეში ვისი სამფლობელო იყო?** მეტი სიცხადისთვის, ერთმანეთს შევუპირისპირეთ I-VI საუკუნეების შესახებ არსებული ქართული და უცხოური ცნობები თუ ბოლო პერიოდის მეცნიერთა არგუმენტები. წარმოდგენილ ნაშრომში გავაანალიზებთ IV-V საუკუნეების შესახებ არსებულ მასალას:



"ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ფარსმან ქველის შვილიშვილის (ფარსმან ადამის ძის) შვილი ამაზასპი თავდაპირველად ქართლის წარმატებული მეფე იყო (სავარაუდოდ, 230-265 წწ.); იგი ფარსმან ქველის მსგავსად სრულიად ქართლს მართავდა, მაგრამ მოგვიანებით მან დაიწყო "მესისხლეობა", რის გამოც "მოიძულეს იგი ერმან ქართლისმან", კერძოდ, ამაზასპს განუდგნენ "ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: **ორნი ერისთავნი ეგრისისანი**, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა"<sup>19</sup> (გვ. 57). აშკარაა, რომ ეგრისის ორ საერისთავოში ნაგულისხმევია **მცირე ეგრისი** და **მარგვეთი**.

ბოლო ფარნავაზიანის - ასფაგურის - ჩრდილო კავკასიაში (ოსებთან ყოფნისას) სიკვდილის შემდეგ (ქ.ც. გვ. 62) ქართლის ერისთავებმა დამპყრობლად მოსულ სპარსეთის მეფეს - ქასრეს - სთხოვეს ქართლის მეფედ მისი შვილი დაესვა. მართლაც, შვიდი წლის მირიან ქასრეს ძე (ხოსროიანი) გახდა ქართლის მეფე. "და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და **ეგრს/ეგრისს/ეგრის**" (გვ. 65).

შდრ., იქვე: "ქართლის ცხოვრების" ავტორთა რწმუნებით, მირიანის ძმამ ბარტამმა - სპარსეთის მეფემ - მირიანს მეფობა არ დაუთმო (მხევალის ნაშობი ხარო). უხუცესთა სასამართლომ მეფედ ბარტამი დატოვა, მაგრამ ქართლის მეფეს - მირიანს - სამართავად გადასცა ახალი ტერიტორიები: "ჯაზირეთი (მესოპოტამია - ტ.ფ.), შამის (/სირიის) ნახევარი, ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს" (გვ. 67) - ამ შემთხვევაში უკვე **ეგრისი ქართლშია ნაგულისხმევი**.

შდრ., აგრეთვე, იქვე (გვ. 70) მემატინე გვიამბობს, რომ კონსტანტინე დიდმა დაამარცხა სპარსეთისა და საქართველოს გაერთიანებული ჯარი, რის შემდეგაც **მირიანს** ჩამოართვა სამხრეთის მიწები და სომხითის მეფეს გადასცა; კერძოდ: "განუჩინა საზღვარი მირიანსა და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რახსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა... და **მეფობდა მირიან** ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და **აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე**".

მირიანის მეფობისას **ქართლის სამეფოში** სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა. **რამდენადაც**, მირიანის სამეფოში შედიოდა ეგრისიც (დალიძემდე), **ლოგიკურია დავასკენათ: ეგრისშიც**, სადაც ქრისტიანული თემები არსებობდა მოციქულთა დროიდან, **ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად** იქცა სწორედ მირიანის დროს<sup>20</sup>.

<sup>24</sup> წუნდის საერისთავო (ჯავახეთი, კოლა, არტაანი) ერთადერთია ე.წ. **დასავლეთის საერისთავოებს** შორის, რომლის საზღვრები შავ ზღვამდე არ მიდის. "ქართლის დასავლეთი ნაწილის ერისთავები" ("სამი ერისთავი დასავლეთი ქართლისა") დაჩის მეფობის დასაწყისშიც მოიხსენიება (ქ.ც. 1955, გვ. 204).  
<sup>25</sup> "ქართლის ცხოვრების" ამ პოზიციას ვრცელი მსჯელობითა და ლოგიკური არგუმენტებით ამყარებს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე (1996, გვ. 127-144).



"ქართლის ცხოვრების" მიხედვით, არა მხოლოდ მირიანის წინა მეფეები, არამედ მომდევნონიც ფლობდნენ **ეგრისს**.

მეფეებიც: არჩილ თრდატის ძე, მირდატ არჩილისძე და ვახტანგ გორგასალი.

ამკარაა, "ქართლის ცხოვრების" დაწვრილებითი და თანამიმდევრული ცნობების მიხედვით, გორგასალამდეც, გორგასალის დროსაც და შემდეგაც (V-VI საუკუნეებში) **ეგრის-მარგვეთი იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც** რომის იმპერიის გარეთაა; ეგრის-მარგვეთი ქართლის ნაწილია და არსებით როლს ასრულებს ქართლის ისტორიაში<sup>21</sup>. ამ დროს ქართლი, შესაბამისად, მისი დასავლური საერისთავოებიც უფრო ირანის გავლენის ველშია. ამ მოსაზრებას ამყარებს IV საუკუნის რომის იმპერიის საზღვრების ამსახველი აკადემიური რუკაც (რომელიც შექმნილია ინგლისში)<sup>22</sup>:



<sup>21</sup> შესაბამისად, მხოლოდ გაუგებრობას ეფუძნება ზოგი მკვლევრის მიერ "ქართლოცენტრიზმის" დაბრალება "ქართლის ცხოვრების" ავტორებისადმი.

<sup>22</sup> [http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/5/5b/Roman\\_empire\\_395.jpg](http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/5/5b/Roman_empire_395.jpg)



შდრ., საპირისპირო დასკვნას აკეთებს ნ. ლომოური წიგნში: "ეგრისის სამეფოს ისტორია" (თბ., 1968, გვ. 75), სადაც იგი წერს, რომ **ეგრისის სამეფო რომის ვასალია.**

შეგნიშნავთ, რომ **IV საუკუნის** "ეგრისის სამეფოს ისტორიის" აღსადგენად (თუ შესაქმნელად) ნ. ლომოურის მიერ მოყვანილი მეტად ფრაგმენტული ბერძნული ცნობები ან **VI საუკუნის** ვითარებას ასახავს, ან ავსებს (არ ეწინააღმდეგება!) "ქართლის ცხოვრებაში" წარმოდგენილ თვალსაზრისს; მაგ., V საუკუნის ისტორიკოსის **პრისკე პანიონელის** ცნობები ლაზიკის მეფის - გუბაზის - აჯანყების შესახებ თანხმობაში მოვა ჯუანშერის, (ზოგადად, "ქართლის ცხოვრების") თვალსაზრისთან, თუკი დავუშვებთ, რომ **გუბაზი ბასილევსია ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე** (ღალიძგიდან ბიჭვინთამდე) და არა, მთლიანად შიდა ეგრისში. შდრ., ქართველი მემკვიდრის ცნობით, გორგასალი თავდაპირველად ამ მიწასაც იპყრობს და შემდეგ კი უკან უბრუნებს ბიზანტიას.

შდრ., "ქართლის ცხოვრების" ინფორმაცია გორგასალის ეპოქის ქართლის საზღვრები შესახებ (1955, გვ. 145-146):

"მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათის, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურუცხვნი მოტყუენეს ქართლი ავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრნეს ველნიარამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყენეს და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ, სამი წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუევნელად **ხევი ქართლისანი:** კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვით გუა სცეს დარუბანდელთა, და ევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი".

კონტექსტის მიხედვით ქართლის სამფოს სამი ხევი გადაურჩა დარბევას: **კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი;** ამგვარ გაგებას ადასტურებს სხვა ეპიზოდიც: "ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოხრებულ იყვნეს **ყოველნი ხევი ქართლისანი,** თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და **ეგრისისა.** და განასრულა ზღუდენი თბილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 205)<sup>23</sup>.

ე.ი. ყველა ამ ეპიზოდით ჩანს, რომ ე.წ. ძნელბედობის ჟამსაც კი ღიხიდან **ეგრისწყლამდე ეგრისის** ტერიტორია ქართლის სამეფოს ნაწილია. ხოლო საქართველოს მომძლავრების შემდეგ ქართლში მოიაზრება ეგრ სის წილი მხარის (დიდი ეგრისის) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის - აფხაზეთის - ნახევარიც (ღალიძგიდან კლისურამდე), რომელიც გორგასალმა ცოლის მზითვად კანონიერად მიიღო<sup>24</sup>.

შდრ.: VII-VIII საუკუნეებშიც - სტეფანოზის, მირისა და არჩილის (705-745) მეფობის ხანაში

<sup>23</sup> ოსთგან ქართლის დარბევის ეპიზოდი განსხვავებულად ესმით სხვა მკვლევრებს; მაგ., მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის აზრით, ამ დროს ქართლის სამეფო დაყოფილი იყო ოთხ ხევაად: 1. ხევი ქართლისა (მტკვრის სათავიდან ხუნანამდე), 2. ხევი კახეთისა, 3. ხევი კლარჯეთისა, 4. ხევი ეგრისისა (ა. ჯაფარიძე, 1996, გვ. 237); რ. მეტრეველის რედაქტორობით განხორციელებულ რუსულ თარგმანში (2008, გვ. 78, 5-8) კი კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი სულაც ქართლის გარეთ განიხილება.

<sup>24</sup> ამ მიწის ისტორიაზე თვალის გადევნება მერეც შეიძლება: ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ დაჩი უშუალოდ მართავდა ქართლის ყველა ხევს (მათ შორის ეგრისს) დასავლეთ საქართველოს სამი საერისთავოს გარდა: ბერძენი ცოლისგან შეძენილ შვილებს - მირდატსა და ლეონს, როგორც ერისთავებს, ვახტანგმა სამართავად მისცა წუნდა, კლარჯეთი და ოძრხე (ქც. 1955, გვ. 204-205); მათ ხვდათ წილად დედის მზითევში მოყოლილი მიწა-წყალიც (**ღალიძგიდან კლისურამდე**); ლეონის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ეს ტერიტორია გაუცვალა დაჩიმ მირდატს (სამაგიეროდ მისცა ტერიტორია ფარავნიდან მტკვარამდე).



- კლარჯეთ-გურია-ეგრის-არგუეთი ისევ ქართლის ნაწილია; იხ., მაგ.: **მირის ანდერძი** (სადაც სახელდება ქართლის სამეფოს მხარეები):

ქართლის "ნახევარი შენ და ნახევარი მათ (ქალიშვილებსა და სიძეებს - ტ.ფ.). ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: **ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი, გურია**. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა..." აქვეა ქართლის მხარეების (ფაქტობრივი საერისთავოების) ჩამონათვალი:

1. კლარჯეთი, ჯავახეთი;
2. თრიალეთი, ტაშირი, აბოცი;
3. და 4. ზენა სოფელი, რომელი არც ქართლი (რომელიც გაიყო ორ საერისთავოდ);
5. კოტმანითგან ქურდისხევამდე;
6. ჯუარი, ხერეკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი, თბილისი;

7. აფხაზეთი - დიდი ეგრისის ნაწილი კლისურიდან ყუბანის შესართავამდე (ძველი ეგრისის ეს ნაწილიც არჩილისადმი ლეონის მორჩილების გამო ქართლის ნაწილად იქცა): "დაემკვიდრა არჩილ **ეგრისს ვიდრე შორაპნამდე**" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 243-244).

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით, VII საუკუნეშიც და VIII საუკუნის პირველ ნახევარშიც იურიდიულად ქართლის მეფის კუთვნილი მიწა-წყლის ცენტრალური ნაწილის - ეგრისის - საზღვრებია: ჩრდილო-დასავლეთით - კლისურა/დალიძგა, დასავლეთით - შავი ზღვა, სამხრეთით - კლარჯეთი, აღმოსავლეთით - შორაპანი. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, რომის იმპერიაში კანონიერად შედიოდა ეგრ სის წილის მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (კლისურიდან ყუბანის შესართავამდე), რომელსაც ბერძნები ძველ ლაზიკას უწოდებენ. სწორედ აქ იჯდა ბერძენი მოხელე თუ ადგილობრივი ვასალი (მაგ., გორგასალისდროინდელი გუბაზი).

შდრ., პროკოპი კესარიელი დაბუჯითებით წერს, რომ მისი მიზანია კოლხეთის შესახებ წინა თაობის ისტორიკოსების არეული ცნობების დალაგება და ზუსტად გადმოცემა, ჭანებისა და ლაზების შესახებ; ამ განცხადების მიუხედავად, მისი ცნობები მაინც წინააღმდეგობრივია; კერძოდ, იგი ერთ კონტექსტში ლაპარაკობს ორ ფაზისზე, რაც ბევრი გაუგებრობის სათავედ იქცა; შდრ., მაგ: "მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად **არმენიელთა** ადგილებში... ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არავისთვის ფონზე გასასვლელად ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც **მარჯვნივ იბერთა საზღვრები** არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზებიც... მას შემდეგ რაც ეს მდინარე მიადწევს იმ ადგილას, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია... ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან **ფაზისად** წოდებული, განაგრძობს მდინარეობას. გარკვეულია, რომ არმენიელთა საზღვრიდან ჭოროხი იწყება. მაგრამ ჭოროხის შუა წელში, სადაც მარჯვენა მხარეს იბერიაა, აბაზები და ალანები არასოდეს ცხოვრობდნენ.

შდრ.: "**არმენიის ადგილებიდან** პერსარმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე, ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ





მანძილზე გაჭიმული გზა არის და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის **მდინარე ფაზისი** და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობს **ჭანების ტომი**, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში **სანებად** წოდებული, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი" (გეორგიკა, 1965, გვ.53).

მაშასადამე, წინააღმდეგობრივი უცხოური წყაროები არ ქმნის მყარ საფუძველს, რომ უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე ახ.წ. X საუკუნემდე **დასავლეთ საქართველო** ქართლის სამეფოსგან დამოუკიდებლად არსებულ ე.წ. კოლხეთ-ეგრის-ლაზიკის სამეფოდ გამოვაცხადოთ; ქართული წყაროების მიხედვით კი ისტორიულ პერიოდში ძველი/დიდი ეგრისი (სიმბოლურად, ეგრისის წილი ეგრისი) ორ ნაწილადაა წარმოსადგენი (ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს უცხოური წყაროებიც)<sup>25</sup>:

**ლაზიკა:** ბიზანტიის იმპერიის გაგლეჩის ველი (ღალიძგას ჩრდილოეთი და რიზედან ტრაპიზონამდე მიწა-წყალი);

**ქართლის სამეფოს საერისთაოები:** ეგრისი (დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი: რიონის მარჯვენა მხარე კლისურამდე და კავკასიონიდან ზღვამდე); კლარჯეთი (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ზღვამდე), ოძრხის ნაწილი - აჭარა (არსიანიდან ზღვამდე) და მარგვეთი (რიონის მარცხენა მხარე კლარჯრთამდე და ლიხიდან ზღვამდე).

ეფიქრობთ:

1. "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში", სახელმძღვანელოებსა თუ ენციკლოპედიურ ცნობარებში **საქართველოს ისტორიის "მთავარ კალაპოტად"** არ უნდა იყოს წარმოდგენილი **პოლიტიზებული თვალსაზრისი**, რომ, თითქოს, უძველესი დროიდან VII საუკუნემდე ცალ-ცალკე არსებობდა ეგრისისა და ქართლის სამეფოები, რომელთაც **ქართულისგან** განსხვავებული პქონდათ სახელმწიფო თუ საეკლესიო ენა, ავტოქთონი მოსახლეობის დედაენა, ზოგადად, კულტურა;

2. "ქართლის ცხოვრების" საფუძველზე დროულად, ახლებურად და პოლიტიზების გარეშე უნდა დაიწეროს **ქართველი ერისა და საქართველოს** აკადემიური ისტორია; ბუნებრივია, იგი უნდა დაზუსტდეს/შეივსოს სხვაენოვანი სარწმუნო ცნობებითა და ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური თუ არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიური თანამედროვე კვლევების შედეგებით.

საქართველოს ისტორიის ორგვარი ხედვა არ არის გამონაკლისი მოვლენა მსოფლიოს მასშტაბით. როგორც წესი, მოცემული ხალხის (თუ სახელმწიფოს) ისტორია რამდენიმეგვარად იწერება: სახელმწიფოს ლიდერის ნების მიხედვით (იხ., მაგ., პროკოპი კესარიელის ორმაგი სტანდარტი); მოცემული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად; მოცემული სახელმწიფოს მეზობლის თუ დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად; იშვიათად, აკადემიურად. რადიკალური

<sup>25</sup> შდრ., დიდ ეგრისში მოიაზრება: **შიდა ეგრისი** (/საგერო/ოდიში), **არგუეთი** (გურიაც აქ იგულისხმება; შდრ., 1080 წელს "დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი ადივსო თურქითა" - ქც. 1955, გვ. 319), **სუანეთი** (ეს ტერმინი ზოგჯერ ფარავს ეგრისს; იხ. გვ.27: **"ეგრისი სუანეთია"**; შდრ., ქუჯი - ეგრისსუანეთის ერისთავი), **სამოქალაქო, აფხაზეთი** ("ქვეყანა ეგრის-წყაღსა და კლისურას შუა"), **აფშილეთი, თაკუერი** (ღენხუმი), **ჭყონდიდი, ნიგალი** (აქ მეგრის ცხოვრობენ - გვ.377), **კლარჯეთი** და სხვ. შდრ., "სომხური გეოგრაფიის" (გვ.92-93) მიხედვით, კოლხეთი (დასავლეთ საქართველოს გაგებით), შეიცავს ოთხ ქვეყანას: **მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი და ჭანეთი** (ხალდეების ქვეყანა).



სუბიექტურობით გააზრებული ისტორია მუდამ იქნება **მღვრიე წყალი** სერიოზული კონფლიქტების პროვოცირებისათვის.

გლობალური საინფორმაციო ქსელის მქონე თანამედროვე მსოფლიოში უფრო იოლია, დაიწეროს ამა თუ იმ რეგიონის/სახელმწიფოს დაბალანსებული და მაქსიმალურად ობიექტური ისტორია, რომელიც სტაბილურობის ერთ-ერთ ბერკეტად უნდა იქცეს. ვფიქრობ, დღეს უკვე შესაძლებელია კავკასიური სახელმწიფოების აკადემიური წრეების ისეთი **ერთობლივი კომისიების** ამოქმედება, რომლებიც ისტორიულ წყაროთა და დოკუმენტთა შეჯერებით შექმნიან რეგიონის ენობრივი, ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორიის შესახებ **აკადემიურ სამეცნიერო გამოკვლევებსა თუ სახელმძღვანელოებს.**

პარალელურად, რამდენადაც, თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს შესახებ გაბატონებულია ძირითადად იმპერიული ან მეზობლების "ათელის სისტემებიდან" დანახული ისტორიოგრაფიული ხედვები, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების მიერ აკადემიურად განისაზღვროს **ქართველოლოგიის პრიორიტეტები**<sup>26</sup> და სერიოზულად დაფინანსდეს დეპოლიტიზებული (არასაბჭოური) ქართველოლოგიური კვლევების თუ აკადემიური ისტორიული რუკების შექმნა. ასეთი სამეცნიერო პროდუქცია დროულად უნდა განთავსდეს საერთაშორისო ქსელში.

ასევე, რამდენადაც გამოქვეყნებულ რუკათა უმრავლესობა ან იმპერიულ "ხედვას" ასახავს, მეორე უკიდურესობას წარმოადგენს, სასწრაფოდ უნდა დამზადდეს საქართველოს ისტორიული რეალობის ადეკვატური რუკები; ისინი დროულად უნდა მიეწოდოს აკადემიურ სამეცნიერო წრეებსა და საერთაშორისო ექსპერტებს. უნდა შეიქმნას აგრეთვე ძველი ქართველი მემკვიდრეობის ცნობების შესაბამისი ისტორიული რუკებიც; მაგ., "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ძვ.წ. IV და ახ. წ. VI საუკუნეების საქართველოს (ქართლის) რუკა დაახლოებით ასე უნდა გამოიყურებოდეს:



<sup>26</sup> ჯერჯერობით კრიტიკას ვერ უძლებს რუსთაველის (ქართველოლოგიის) ფონდის მიერ შერჩეული პრიორიტეტები; როგორც წესი, ჯერჯერობით ამ ფონდისგან ფინანსდება არააქტუალური ან სხვა ფონდებისგან უკვე დაფინანსებული პროექტები (!); არაიშვიათად, ხელი ისევ ეწყობა ქართველი ერის დანაწევრების მასტიმულირებელ პროექტებსაც.





**SUMMARY**

**Tariel Putkaradze**

**"Double" Linguistic-Ethnical-Political History of Georgia and Problem of Adequate Maps**

**(The text of Kartlis Tskhovreba (Georgian Chronicles) should include a map developed based on this literary monument)**

"Sakartvelos Istoriis Narkvevebi" (Books of the History of Georgia), textbooks or encyclopedia should not promote a politicized viewpoint, as a "foundation" of the history of Georgia, that as if Egrisi Kingdom and Kartli Kingdom existed separately from ancient times until the VII century, and had a state or church language, mother tongue of autochthonous population and culture in general that were different from Georgian. Academic history of the Georgian nation and that of Georgia should be written on time and in a new way on the grounds of Georgian Chronicles without politization. Obviously, it should be complemented and verified with reliable information existed in other languages and with the results of contemporary linguistic-ethnology-culturology or archaeology-anthropology researches. Besides, adequate maps reflecting the historical reality of Georgia should be developed.

**შავი**

**შავი იოსებოვიჩი**

**"ქართული" ენობრივი-ეთნო-პოლიტიკური ისტორიის და საკარტო პრობლემა**

**(საქართველოს ქრონიკის ტექსტში უნდა შეყვანილი იქნას კარტა, რომელიც დაამუშავდა ამ ძეგლის საფუძველზე)**

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტექსტები ან ენციკლოპედია არ უნდა უწყობდეს პოლიტიკურ მოსაზრებას, როგორც საქართველოს ისტორიის „ფუძვალს“, როგორც თუ ეგრისის სამეფო და კახეთის სამეფო არსებობდა ცალკეადა ანტიკური ხანებიდან VII საუკუნემდე, და რომელიც ჰქონდა სახელმწიფო ან ეკლესიური ენა, მშობლიური ენა ან კულტურა, რომელიც განსხვავებული იქნებოდა ქართულიდან. აკადემიური საქართველოს ისტორია და საქართველოს ისტორია უნდა იქნას დაწერილი დროულად და ახალი გზით საქართველოს ქრონიკის საფუძველზე პოლიტიკიზაციის გარეშე. აშკარაა, რომ ის უნდა იქნას შევსებული და დადასტურებული სხვა ენებისა და თანამედროვე ენობრივი-ეთნოლოგიური-კულტოლოგიური ან არქეოლოგიური-ანთროპოლოგიური კვლევების შედეგებით. გარდა ამისა, ისტორიის რეალობას ასახელებს კარტები, რომლებიც უნდა იქნას დაამუშავებული საქართველოს ისტორიის რეალობის მიხედვით.



**როზაბა გუჯუჯიანი**

**ტრადიციული ქართული მენტალობის ისტორიიდან  
 (“მეფე”, “სამშობლო” და “სარწმუნოება” ქართულ ტრადიციაში)**

ექვანება დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, გამორჩენილ ხელოვნებათმცოდნეს – ქალბატონ რუსუდან ყენიას

*“წმიდაო მთავარანგელოზო მხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატიონიანი...  
 ერთობილი საქართველო და ერთობილი სვანნი”  
 XIII–XIV საუკუნეების ხატის წარწერა სვანეთში*

ტრადიციული მენტალობის ელემენტები ყველაზე ხანგრძლივად ტრადიციულ საზოგადოებაში ფუნქციონირებს. ქართული ტრადიციით, **“მეფე”, “სამშობლო” და “სარწმუნოება” უმნიშვნელოვანესი მენტალური ფასეულობებია და ეს ღირებულებები ბოლო დრომდე ფიქსირდება მთიელთა ყოფაში.**

ქართველმა მთიელებმა ლეგენდა-გადმოცემების, ანდრეზებისა და ჰარაკების მეშვეობით დღემდე მთელი ფერადოვნებით შემოგვინახეს ტრადიციული მენტალური მარკერები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მენტალური ღირებულება, ქართველ მთიელთა ტრადიციით, **“მეფეა”. ხსოვნა, ღვთით მოვლენილი და ქვეყნისათვის თავდადებული მეფეებისა, კრავდა და ადულაბებდა მთიელთა ტრადიციული მენტალიტეტის მთავარ ნიშანს – ერთგულებას სამშობლოსადმი, ხოლო “სამშობლო”, “ქართველობა” და “სარწმუნოება” იდენტურ ცნებებად მოჩანს ქართულ ტრადიციაში.**

მენტალობის ეს მახასიათებლები ერთგვარად ფოკუსირებულია დიდი და წმიდანად შერაცხული მეფის – **ვახტანგ გორგასალის შესახებ არსებულ ლეგენდა-გადმოცემებში: “ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა”.**

ამ სიუჟეტურ ქარგაში თავმოყრილია ქართული ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი მენტალური ფასეულობები: **მეფე ღვთისგან ნაკურთხია, მირონცხებულია, შესაბამისად, კი ზებუნებრივი ძალის მქონეა, და რაც მთავარია, მეფე ერისათვის, ქვეყნისათვის თავდადებულია.** ცხადია, ამგვარი მენტალური პასაჟები ოდინდელია, **ბიბლიური მოტივებიდან მომდინარე და საისტორიო ტრადიციით განმტკიცებულია** (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დედაღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა, თბ., 2008.; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თბ., 2009; კარბელაშვილი მ. ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია, – ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ., 96-128.), რადგან **საისტორიო ტრადიციით (ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე და სხვა), საქართველოს სამეფო დინასტია – ბაგრატიონთა სახლი – დავით წინასწარმეტყველის, ებრაელთა მეფის შთამომავლადაა მიჩნეული** (ქართლის ცხოვრება 1955: გვ. 243, 372-386).



ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული ლეგენდები საქართველოს ბევრ მხარეშია შემონახული. **სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასალსვე უკავშირდება სვანეთის საერისთავო დროშა “ლემი”**, რომელიც ამ მხარის ერთ-ერთი დიდი სიწმინდეა და დღემდე ადგილობრივ ქართველთა სიამაყის საგანს წარმოადგენს. დროშას ქართული ენის სვანურ დიალექტებზე “ლემ”-ს უწოდებენ, რაც სალიტერატურო ქართულით “ლომ”-ს ნიშნავს. ვიზუალურად კი დროშა **მგელს** გამოსახავს (ბარდაველიძე 1963; თოფჩიშვილი 2002; გვ. 79).

დროშა, მკვლევართა დაკვირვებით, ურჩხულისნაირი შტანდარტების ტიპს მიეკუთვნება. მსგავსი დროშები დამოწმებულია პართელებთან, სკვითებთან, სარმატებთან და დაკებთან (II ს.), რომაელებთან (III ს.) და სასანიანთა მეფეებთან (IV ს.). ამგვარი შტანდარტები არსებობდა შუა საუკუნეების ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში (ბარდაველიძე 1963; გვ. 142; ბარნაველი 1953; 28-29). სვანეთში დროშის ნაჭერს პერიოდულად ცვლიდნენ, ახალ დროშას კერავდნენ, ძველს კი სათუთად ინახავდნენ სეტის წმიდა გიორგის მონასტერში. დროშა და მასთან დაკავშირებული **სახელმწიფო მოხელე – “მელომე”** – იხსენიება წერილობით წყაროებშიც (ინგოროყვა 1941) და იგი გულისხმობს XIV–XV საუკუნეების სვანეთის ერთობილი ხევის ხელისუფალს, რომელსაც ევალებოდა ლაშქრის შეკრება და მეფისათვის დახმარების აღმოჩენა.

ჩვენი დროისათვის დროშას წელიწადში ორჯერ, დღესასწაულებზე გამოასვენებენ ეკლესიიდან. ამ დროს ერთი რჩეული მხედარი მადლა აღმართული, გაშლილი დროშით შემოუვლის სეტის მოედანს, მლოცველები კი ლოცულობენ მთელი საქართველოს მშვიდობიანობისა და გამარჯვებისათვის. გადმოცემით, დროშა თამარ მეფეს შეუკერავს და სვანეთის ხევისათვის უბოძებია (გუჯეჯიანი 2006). თავისთავად, ეს გადმოცემაც მეტად ფასეულია, იგი გამოხატავს მოწიწებას დიდი მეფისადმი. ფაქტია, ისტორიულმა მეხსიერებამ ყველაზე მკაფიოდ სწორედ თამარ მეფის სახელი შემოინახა და ქართველი ერის უდიდესი კულტურული მონაპოვრები მას დაუკავშირა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დროშა, სავარაუდოდ, ბევრად ადრეულია და იგი ვახტანგ გორგასალსა და მის ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს.

ცნობილია, **მგლისა და ლომის გამოსახულებები ამკობდა ვახტანგ გორგასალის ჩაბალახს**, მემატინის თქმით, “ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ **მგელი და უკანათ ლომი**; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართოს და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერთგან ვერდარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქუან; “დურ აზ გორგასალ”, რომელ არს ესე “მირიდეთ თავსა მგლისასა”. და მის მიერ სახელედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ” (ქართლის ცხოვრება, იქვე, გვ., 180). **ამ გამოსახულების გამო შეარქვეს სპარსელებმა ვახტანგს “გორგასალი” – “მგელთავა”**.

ამავე დროს, წერილობითი წყაროებით, **ვახტანგ გორგასალის დროის სვანეთი აქტიურ პოლიტიკურ ერთეულად, მეფის მხარში მდგომ საერისთავოდ მოჩანს**: V საუკუნეში სპარსეთი და ბიზანტია იბრძოდნენ საქართველოში გაბატონებისათვის. წყაროების თანახმად, სვანეთის საერისთავო დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიას. ამ ეტაპზე ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ სპარსელების მოკავშირე იყო და მათი დახმარებით ცდილობდა დასავლეთ



საქართველოდან ბიზანტიელების განდევნას. სვანებმა დახმარებისთვის “იბერებს”, ანუ ვახტანგ გორგასალს მიმართეს და როგორც ჩანს, საქართველოს ამ დიდმა მეფემ სვანეთი და თაკვერი უშუალოდ იბერიას შემოუერთა, რაც დასტურდება იმდროინდელ ერისთავთა ნუსხითაც: “სამნადირ ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა”, “ბაკურ, ერისთავი მარგვისა და თაკუერისა” (ქართლის ცხოვრება 1955).

საყურადღებოა, რომ ისტორიულმა მეხსიერებამ თვით XVIII საუკუნემდე შემონახა ვახტანგ გორგასლის სვანეთში მობრძანების სიუჟეტი. აღწერს რა სვანეთის სეტის მონასტერს, ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს ამ გადმოცემაზეც: “აქა არს ... სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყ ან სუეტის-ცხოველის კანკლის ყოფასა დღესაცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდან, წითლის იაგუნდისა ქმნილი” (ქართლის ცხოვრება 1973: 788-789).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ დროშა “ღემი” სწორედ ვახტანგ გორგასალმა უბოძა სვანეთის საერისთავოს ქვეყნის გაერთიანებისათვის გამართულ ბრძოლებში გამოვლენილი გმირობისათვის. ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეულმა მხარემ კი ეს დროშა დღემდე დაიცვა და შემონახა.

მკვლევართა აზრით, გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის დროშათაგან ვიცნობთ მხოლოდ ამ დროშას. ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის საერისთავოს დროშაც ძალაუფლების ნიშანსა<sup>1</sup> და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა (ბარნაველი 1953: 27; ბარდაველიძე 1963).

მეორე დიდი მეფე, რომლის სახელიც შემოუნახავს ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემს და აგრეთვე, ქართული სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური მფარველობის ქვეშ მყოფ სხვა კავკასიელ ხალხს წმიდა თამარია.

**თამარ მეფეს ეთაყვანება ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველი.** თამარ მეფესთან დაკავშირებული გადმოცემები – ისტორიული ხსოვნის გასოცარი ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია.

ეთნოგრაფიული მასალით, თამარ მეფის აგებულად ითვლება თითქმის ყოველი ეკლესია, ციხე, ძველებური თაღოვანი ხიდი და ა. შ. ამ გადმოცემებში ასახულია საისტორიო წყაროებიდან და საეკლესიო ტრადიციებიდან მომდინარე სიუჟეტები: თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სიდიადე, ძლიერება და სოციალური ყოფის სტაბილურობა, სამხედრო გამარჯვებები, კულტურული აღმშენებლობა, თამარ მეფის წმიდანობასთან დაკავშირებული უმშვენიერესი ლეგენდა-თქმულებები და სხვა.

ცალკე გამოიყოფა ლეგენდა-გადმოცემათა ის ნაწილი, რომელიც ლოკალური ნიშნებითაა აღჭურვილი: ყოველი კუთხის ქართველი ხაზგასმით საუბრობს წმიდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მის კონკრეტულ მხარესთან, მაგალითად, სვანებს მტკიცედ სწამთ, რომ სწორედ სვანეთი უყვარდა მეფეს გამორჩევით, მაგრამ ასევე სჯერათ ხევსურებს, აჭარლებს, კლარჯებს, ტაოელებს, ჭანებს//ლაზებს... ამავე დროს, საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მიგვითითებენ წმიდა მეფის უკანასკნელ განსასვენებელზე და ა. შ.

<sup>1</sup> ძალაუფლების ნიშანი – ინსიგნია, ძველ ირანულ ცივილიზაციაში ყვავილის სახეს ატარებდა



მაგალითად, ფშაური მასალით, “თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა... ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვევებზე ანაფორა დაუგავ ისე დავაღა ზღვაზე და ჰაერში. მაშინ თამარს ზღვაში სამანად ისარ ჩაუგავ და ხმელეთი ჩვენკე დაუგლიაო” (ბარდაველიძე 1941–2003: 61).

თამარ მეფის ჯვარი ფშაველთა მნიშვნელოვანი სალოცავია. ხატის დღეობისადმი მიძღვნილი “ფერ ისული” შემდეგი ტექსტისაა:

“პირველად ღმერთი ვახსენოთ,  
ეგ უფრო დიდებულია.  
**მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ,**  
**ეგ ღმერთთან წილდებულია.**  
ლაშარის ჯვარიც ვახსენოთ,  
ეგ ყმაზე თავდებულია...”  
**(ბარდაველიძე 1941-2003: 63).**

ვაჟას პოეტური გენიაც კი კრთის წმიდა თამარის სახელის ხსენებაზე და მაინც საოცარ შედეგს გვიტოვებს “ქართველთა დედის” სხივმოსილებით გენერირებულს:

### დიდი თამარი

ქალო, ქართველთა სულის დგმავე,  
ქალო, ქართველთა დედაო!  
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,  
თამარს ცოცხალსა გხედაო.

რუსთველის ქებას ჩვეულო,  
მეც ქებას ვაგებდაო.  
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ ვმღერო,  
რად არ ვჩუმიდები ნეტაო?!

არ მოგეწონოს, იქნება,  
სთქვა: “რისთვის ითავხედაო,  
მონად აღზრდილმა მოლექსემ  
საღამი გამიბედაო?!”

შენ თვალთ სხივებმა ამაგ ზნო,  
დამათრო, ამაყბედაო.  
საუნჯევ სათნოებისა,  
ჩემიც მიიღე ქებაო,  
ვინმე საწყალის ფშაველისა!  
ცრემლი აღარა მშრებაო.





თამარის სალოცავშია  
 მოხანს ფშავლების კრებაო,  
 შენთვის მსხვერპლისა შეწირვით  
 ქალ-ვაჟი ვერა ძღებაო,  
 შენთვის დაკლულის ცხვარ-ძროხის  
 დიდი ჩახტები დგებაო.

გულში გვინთიხარ ლამპრადა,  
 ნათობს და არა ჰქრებაო.  
 შენს და შოთაის მარჯვენას  
 ვემთხვიე ზედი-ზედაო.  
 შენა ხარ ერის სიცოცხლე,  
 თავი არ მომიკვდებაო!  
 მოწყალედ გვექმენ ქართველთა,  
 ჩვენო ლამაზო დედაო!

**ვაჟა-ფშაველა 1915 წ.**

სვანური ეთნოგრაფიული მასალაც **თამარ მეფეს წმიდანად** მიიჩნევს. დღესაც, თამარ მეფეზე საუბრისას სვანი მთხრობელები ფეხზე დგებიან, ისევე როგორც ღვთისა და სალოცავების სხენებისას და ამჟამადაც ადავლენენ ჰიმნს წმიდა მეფისადმი:

“ჰოი, სიხარულო, თამარ დედოფალო,  
 ყველაზე ლამაზო, თამარ დედოფალო!  
 კბილი – მარგალიტი, თვალ-წარბი – გიშერი,  
 შავი დალალები აბრეშუმისა;  
 თავზე მუზარადი, წელზე ჯავარდენი,  
 ატლასის კაბაზე – რკინის აბჯარი;  
 ცხენი – ქვიშისფერი, ლაგამი – ოქროსი,  
 ლაგამი – ოქროსი, ტახტი – ვერცხლისა  
 ეცერს მობრძანდები, თამარ დედოფალო,  
 თამარ დედოფალო, თამარალი”.

ცნობილია, რომ, “როცა სვანები ძველს დროზე ლაპარაკს ჩამოაგდებენ, თამარ დედოფალზე მსჯელობა ერთადერთს საყვარელს და საინტერესო თემას წარმოადგენს” (ნიჟარაძე 973: 86).

სვანეთში შემონახულია **თამარ მეფის რეზიდენცია** უშგულის თემში და მრავალი ეკლესიისა და ციხის მაშენებლადაც წმიდა მეფეა მიჩნეული.

**ფშავსა და სვანეთში თამარ მეფე სასწაულმოქმედ მკურნალადაც ითვლება.**



სვანეთში სწამთ, რომ **თამარ დედოფალი ხელის შეხებით კურნავდა მძიმე ავადმყოფებს**. ფშაური მასალით, **თამარ მეფე “აქიმ დედოფალია”**: “შენამც იდიდები, დიდებულ თამარ ნეფეო, დელეს აქიმ-დედოფალო... მკურნალთად წამალთა გამამწერელო”. მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ნ. მინდაძე ვარაუდობს, რომ ფშავში თამარ მეფის “აქიმ დედოფლად” მიჩნევას რეალური საფუძველი ჰქონდა, ფშავში, ივრის ხეობაში, არტანსა და ყვარას შუა თამარ-დელის სალოცავში მოქმედებდა თამარ მეფის აგებული დედათა მონასტერი, სადაც, ბუნებრივია, სასწრაფო იქნებოდა, რადგან მონასტრების ერთ-ერთ ფუნქციას სწეულთა მფარველობა და დახმარება წარმოადგენდა (მინდაძე 2008: 76-85).

ხევსურული მასალით, “ხევსური ხევისბერი, როგორც ფშაველი, თავის “დიდებაში” არ დაივიწყებს თამარს არა დროს და სხვათა შორის ასე მოიხსენიებს: – **დიდო თამარო, დედოფალო, საქართველოს დამრიგებელო**, შენ მიეც წყალობაო” (ვაჟა-ფშაველა 1986: 600).

თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სახელებს გადაეჯახვა ფშავის უმთავრესი რელიგიური სიწმიდე ლაშარის ჯვარი. “ლაშარი წმინდა გიორგის მთავარი ხატის ადგილის სახელია არაგვის ფშავში. ამიტომ წმინდა გიორგი ლაშარობით მოიხსენიებო. **წმინდა გიორგი ლაშარისა თამარ ნეფის დროსა ცხოვრობდა და ის სულ ურჯულოებზე ლაშქრობდა**, ქისტსა, ლეკსა და სხვა მტრებსა სტყებდაო. ამისათვის საფშაველო იმედოვანი იყო საქართველოზე” (ბარდაველიძე 1941-2003: 61).

ლაშარის ჯვრის წმიდა მუხის წაქცევა ქართველ მთიელებს საქართველოს ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალების მომასწავებლად მიუჩნევიათ: “მას შემდეგ გასტყვია საქართველოს იღბალი და ფშავის ბედიც უკან და უკან წასულა” (ვაჟა-ფშაველა 1986: 574). ამ გადმოცემითაც თვალნათლივ მოჩანს **ქართველი მთიელის (ფშაველის) ფიქრისა და ზრუნვის მთავარი ობიექტი – საქართველო**. საქართველოს ბედნიერებასა თუ უბედობას კი, მთიელთა ცნობიერებით, აპირობებს **ქართველთა დამოკიდებულება სარწმუნოებისა და მეფისადმი**, – წმიდა მეფის მიერ დაარსებული რელიგიური კულტის ობიექტის (თამარ მეფისა და ლაშა-გიორგისაგან დაფუძნებული ლაშარის ჯვარი და ლაშარის ჯვრის მუხა) დამსობის შედეგი მათთვის ქვეყანას შემდგომში თავს დატყვილ ისტორიულ ქარტეხილებში ცნაურდება. **ამ შემთხვევაში თვალნათელია ქართველი მთიელის რელიგიური ცნობიერების შედეგი – ისტორიის პროვიდენციულური ხედვა**.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან მენტალურ მახასიათებელზე ყურადღება გაამახვილეს ვ. ბარდაველიძემ, მ. კანდელაკმა და რ. თოფჩიშვილმა. საქმე ეხება **ქართველი მეფეებისა (სამეფო ხელისუფლების) და ლაშარისა და გუდანის ჯვრების (ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური ჯვარ-სალოცავების) ე.წ. “ძმადნაფიცობის”** შესახებ არსებულ გადმოცემებს.

ცნობილია, “სამეფო ხელისუფლების მესვეურნი არაერთგზის ეფიცებოდნენ ძმად ლაშარს, გუდანს, იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძველესი ტრადიციით მომდინარე მოდუ-მოძმეობის ინსტიტუტის მყარ ნორმებს... მთის სინამდვილეში ქართველი მეფე “უნათესავდებოდა” თემის მფარველ ღვთაებას, როგორც ტოლი ტოლს... ამ აქტით სამეფო ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებდა... მთის სოციალურ-რელიგიურ წყობას. მთიელთა მოხსენიება “უნჯ ყმებად” (გიორგი XII სიგელი) ხომ მათი დაცვა იყო ბარის თვითნებობისაგან”



(კანდელაკი 1987: 189-190).

რ. თოფჩიშვილი ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით გამოკვეთს სხვა მნიშვნელოვან მომენტსაც: “მთაში ამოსული მეფეები თავიანთ მოძმე ჯვარ-ხატებს ესაუბრებოდნენ და შემდეგ სალოცავის სურვილს, დანაბარებს ხალხს გადასცემდნენ. ასე უსაუბრია ხევსურეთში მეფე ერეკლეს გუდანის ჯვართან. მთიელებთან ურთიერთობის ეს ფორმა, როგორც ჩანს, ერთნაირად მისაღები იყო როგორც სამეფო ხელისუფლებისათვის, ისე თვითმმართველობით მცხოვრები მთიელთა თემებისათვის. მეფის ხელისუფლებას მოძმეობის ინსტიტუტის საშუალებით ისინი ჩართული ჰყავდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში” (რ. თოფჩიშვილი: 44). **შედეგად კი ქართველი მთიელი ერთგულად ემსახურებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, იცავდა საქართველოს საზღვრებს და ინახავდა უმთავრეს ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს.**

მენტალობის ეს მნიშვნელოვანი მახასიათებლები თავმოყრილია ცხავატის თემის ცეცხლიჯვრის დეკანოზის ლოცვაშიც: **“ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ქრისტიან კაცს, ჩვენს ხელმწიფეს; დიდებულო ცეცხლისჯორო, მტერს ნუ მორევ ჩვენს საქართველოს და ჩვენ მეფეს”** (თოფჩიშვილი 2005: 44).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **თამარ მეფის ხსოვნა დღესაც დაცულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში: იმერხევის, ტაოს, ჭანეთის//ლაზეთის, ლიგანისა და ზედა მაჭახლის ხეობების ქართველ მთიელებში.**

ამ მხარეების ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ თამარ მეფის ხატებასთან დაკავშირებულ ლოკალურ ნიუანსებს ერთგვარი კეთილი ტონალობები შემოაქვს ზოგადქართულ მასალაში. ეთნოგრაფიული მასალით თამარ მეფეს უკავშირდება ტაო-კლარჯეთის თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი: (ეფრატისა და ხერთვისის ნაეკლესიარები, ეკლესიათა და ციხეთა დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბები მაჭახელში, გოგნარის ციხე მურღულში, დიობნის, სათლელისა და წყეთის ციხეები იმერხევსა და შავშეთში და სხვა (ჭიჭინაძე 1911; თაყაიშვილი 1991; ფუტკარაძე 1993; ფუტკარაძე 2007; მალაყმაძე 2008; გუჯეჯიანი 2009). მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტური ქარგა თითქმის ერთგვაროვანია, სხვადასხვა ლეგენდით, წმიდა მეფეს ეკლესიების მშენებლობის დროს მერცხლები და წეროებიც კი ეხმარებოდნენ: ფრინველებს ნისკარტით ქვა და ქვიშა მიჰქონდათ (არაბული 2002: 513). “თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოეველო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის<sup>2</sup> მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო” (თაყაიშვილი 1991: 220-221). პარხლისწყლის ხეობის ზემო სოფლებში “დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი... გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე... ამას მიაწერენ თამარ მეფეს” (თაყაიშვილი 1991: 221); ხოფასთან, ბუჯაღში – “მეფა წკარია” (ჭანეთი/ლაზეთი), ოთინგოს აბანოა – ლიგანის ხეობაში და სხვა (ყიფშიძე 1939; მალაყმაძე 2008).

ზედა მაჭახლის მასალით, **“სანამ თამარა აქ იყო, მაჭახელს ზამთარი არ სცოდნია, ჩვენს დიდ დედებს კარჩხალზეც პური უთესიათ”** (რ. გუჯეჯიანი, 2008). საგულისხმოა, რომ

<sup>2</sup> კობაკი იგივე ქობა -ა. ამ და პარხლისწყლის ხეობის კიდევ რამდენიმე სოფელში დღემდე ცხოვრობენ ქართველები და თამარ მეფის შესახებ გადმოცემები ამუშავდაც ფიქსირდება ამ მხარეში.



ტოპოკლარჯეთისაგან გეოგრაფიულად და ისტორიული ბედ-იღბლით ესოდენ დაშორებულ ქართულ მხარეში – სვანეთში, ზუსტად იდენტური მასალაა ჩაწერილი: **“თამარ მეფის დროს სვანეთში ზამთარიც არ ყოფილა, მუდამ გაზაფხული იყო”**. სხვა ლეგენდით, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული, თამარ მეფეს შუქურვარსკვლავი დაუტყვევებია, ვისი ნებართვითაც მოდიოდა საქართველოში ზამთარი. შედეგად კი თამარის მეფობისას, ღვთის წყალობით, საქართველოში ზამთარი არ დგებოდა, ბუნება მწვანედ ხასხასებდა და იშვებდა ყოველი სულდგმული (არაბული 2002: 513). იმერხეული ლეგენდით, “თამარაი ჩვენი დიდია; თამარაი აქ ყოფილა, ეს ციხე იმან ააშენა, აქ ქილისაი ყოფილა, სკოლის თავზე და **იმ ციხიდან აქ გადმოფრენილა**” (ფუტკარაძე 2007: 60).

ცხადია, ქართველებში, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში (აღმსარებლობით მუსლიმებში) დღემდე შემონახული რწმენა თამარის სასწაულთმოქმედობის შესახებ, უნივერსალური ხასიათისაა, თამარ მეფე ხომ საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი, შესაბამისდ, სასწაულთმოქმედი იყო და იგი სალოცავ ხატს წარმოადგენდა ქართველებისათვის. ზ. ჭიჭინაძე აფიქსირებს მენტალური კუთხით მეტად საყურადღებო ინფორმაციას: “ქართველ მაჰმადიანებს... თამარ მეფის ღოცვა სცოდნიათ, ღოცვაში გამოსატული ყოფილა, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის ღმერთთან ზის, წმინდანებთან იმყოფება; ის კიდევ მოვა ოდესმე, და ჩვენს თხოვნას შეისმენს, აჭარას ნახავს, თავის ბეციებს დაემდურება... აჭარაში ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა-მოლები ბრძანებენ, რომ თამარ მეფე თათარი (მაჰმადიანი) იყოვო” (ჭიჭინაძე 1911: 36-37). როგორც ვხედავთ, სამასწლოვანი ოსმალური რეჟიმის მიუხედავად, აჭარლებმა, მათ შორის, თვით მუსულმანური რელიგიის მსახურებმაც კი შემონახეს დიდი მეფის ხსოვნა და ეს ხსოვნა, დროთა განმავლობაში, **მათი ქართველობის ნიშნულად//მარკერად ჩამოყალიბდა**. გაუსაძლისი სოციალურ-პოლიტიკური წნეხის შედეგად გამუსლიმებული ქართველები, სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, **მაინც ქართველებად დარჩენნ და ქართულ ეთნიკურ კულტურას – წარმოდგენილს თამარ მეფის ხატებით – საკუთარ კულტურად მიიჩნევენ**.

ბუნებრივია, თამარ მეფის დროინდელი ძლევა მოსილი სამხედრო ასპარეზობები წარუშლელად დარჩა ქართველთა ისტორიაში. **ქართული სახელმწიფოს დიდი გამარჯვებები ლაიტმოტივად მოსდევს მთელ ჩვენს შემდგომ ისტორიულ მეხსიერებას და ეს მოტივი ამჟამადაც ქვეყნის აღმშენებლობის სტიმულად გვეკლინება**. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტი ფოლკლორში დასტურდება: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცნობილი ხალხური ლექს-სიმღერა **“თამარ მეფე და ხონთქარი”**, რომელშიც ხატოვნადაა ასახული თამარ მეფის საბრძოლო გამარჯვებები, აჭარაშია შექმნილი:

### **“თამარ მეფე და ხონთქარი**

*მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,  
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,  
ზედ აღმასები დაჰკიდა.  
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,  
მრავალ წყალობას დაჰპირდა”*

(სიხარულიძე 1949: 72).



ეს სიუჟეტიც უნივერსალურია და მთელ საქართველოშია გავრცელებული, მაგალითად, მისი სვანური ვარიანტი ასეთია:

“თამარ მეფე, თამარე, სად ყოფილხარ, თამარე?  
 ვის ეომე, ვინ დარისხე, ვინ დაამხე, თამარე?  
 მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ თამარე,  
 სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძღვეით მოხვალ, თამარე”  
 (ლექსო... 1985: 25).

მაგრამ აჭარულ ვარიანტში საყურადღებო სხვა რამაა: ოსმალთაგან დაპყრობილ და იძულებით გამუსლიმებულ ქართველთა შთამომავლები – **სამხრეთ-დასავლეთ ქართველები თავიანთ მეფედ თამარს მიიჩნევენ და არა ხონთქარს, თამარის ძღვეამოსილებას შეჰხარიან და არა ხონთქარისას.**

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ფასეულია ჭანურ//ლაზურ საისტორიო ფოლკლორში გამოძკრთალი თამარ მეფის სახეობა, რომელსაც ზ. თანდილაგამ მიაკვლია. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ ლაზეთში ჩაწერილ (XVII ს.) ლექსზე. ეს ლექსი პირველი ლაზური ფოლკლორული ჩანაწერია და არაბული ტრანსკრიპციით ჩაწერილი ქართული (ლაზური) მასალა, ბუნებრივია, უამრავი ხარვეზისა და უზუსტობის შემცველია. რთული ლინგვისტური კვლევა-ძიების შედეგად, ზ. თანდილაგამ აღადგინა ლექსის თავდაპირველი ფორმა:

“თუნას არ უღუნ თაბანჩარუ,  
 თამარ პანდა ფალიკარუ,  
 აფხაინკა ღურატუ-ნა,  
 გებლაფეის დოხვამუ (ან: გებლაფეის–თი ხვამუ).

სალიტერატურო ქართულზე გადმოტანის შემდეგ ლექსი ამგვარად ჟღერს:

“ქვეყნად ერთია დამბაჩიანი,  
 თამარ მუდამ გმირი,  
 ამხანაგი რომ მომკვდარიყო,  
 დამარხული დალოცა (ან: დამარხულსაც ლოცავდა)  
 (თანდილაგა 1972: 151-163).

თამარ მეფის სახელი ქართველთა (ჭანთა//ლაზთა) ამ ნაწილის მეხსიერებაში XX საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ დაცული ყოფილა (ტოპონიმები, გადმოცემები). ჭანური//ლაზური მასალით, **თამარ მეფეს ლაზები განსაკუთრებულად დაულოცავს და მათი ხელოვნება უკურთხებია, ამიტომაც ვართ ლაზები განთქმულ ხელოსნები-ო** (თანდილაგა 1972: 161). მ. ლაბაძის მასალით, თამარ მეფის რჩევით დამკვიდრებულა ლაზებში ტრადიციულად ქცეული



მოკლევკალთებიანი ჩოხები (ლაბაძე 2005: 222-223)

საქართველოს ისტორიული ძნელბედობიდან გამომდინარე, სამსრეთ-დასავლური ერთ-ერთი ქართული თემი – ჭანეთი (ლაზეთი) – დღეს ფაქტიურად მოწყვეტილია ქართულ კულტურულ სამყაროს და ქართველობასთან იდენტობაც მხოლოდ ერთეულ ლაზებს თუ აქვთ გააზრებული, მაგრამ მათი ქართველობის და ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში ოდითგან არსებობის დამადასტურებელი ფაქტები საისტორიოსთან ერთად, ეთნოგრაფიულ მასალაშიცაა დაფიქსირებული, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ თამარ მეფის ხანასთან დაკავშირებით მოჩანს – **ლაზთა ისტორიულ მესხიერებას ეს ხანა და თვით თამარ მეფე დღემდე შემორჩა.**

ცხადია, თამარ მეფის დროინდელი ძლევამოსილი საქართველო ყველა შემდგომი დროის ქართველის სიამაყის საგანია და განსაკუთრებით სასიხარულოა ამ მასალის არსებობა ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა დარჩენილ ეთნიკურ ქართველებში. ბუნებრივია, კონკრეტული ქრისტიანული რელიგიური ცოდნა (თამარ მეფის წმინდანობის შესახებ) აქ დაკარგულია, მაგრამ ტოპონიმები, ლეგენდები და ძველი დიდების მატერიალური ნაშთები (ციხეები, ხიდები, ნაეკლესიარები), ქართველობასთან იდენტობის მასულდგმულებელი მომენტებია და ეს საგულისხმო მენტალური პასაჟები თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი ეთნოგრაფიულ მასალაში.

ცნობილია, ძლიერი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდებში ქართული ქრისტიანული კულტურა ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში. საისტორიო გადმოცემით შემონახულია ცნობა ძირძველ კავკასიელთა მონათესავეობის შესახებ (ქართლის ცხოვრება 1955). **ერთიანობის გრძნობა კავკასიელ ხალხთა შორის ხშირად იჩენდა თავს და ასეთ დროს კულტურულ-პოლიტიკურ მფარველობას მეზობელ ხალხებს სწორედ საქართველო უწევდა.** დაღესტანში, ინგუშეთსა და ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული (თოფჩიშვილი 2007), ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდოს მთიანეთში კი მათი რაოდენობა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია, ვინაიდან ქართველები (სვანები) XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ცხოვრობდნენ ამ მხარეებში და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე. წ. ბალსხემო თემები) 1834-1835 წლებამდე ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენას ყუბანისა და თერგის სათავეებში მდებარე ქართველთა ისტორიულ მიწებზე. შესაბამისად, ამ მხარეებში ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი XX საუკუნის შუახანებამდე ჯერ კიდევ ფიქსირდებოდა. საყურადღებოა, რომ ჩრდილო კავკასიაშიც შემონახა ხსოვნა **საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ.** ყარაჩაიში ჩაწერილი გადმოცემით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში: ხუმარაში შემონახულია ტოპონიმი **‘თამარის მთა’**. მთაზე ციხე მდგარა (**‘თამარის ციხე’**). ‘თამარის მთის’ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. გადმოცემით, ამ სენაკებში თამარ მეფის ჯარი ბანაკდებოდა. მთხრობლებს თამარის საფლავი იქვე, ყუბანის ხეობის სათავეში ეგულებათ. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული, მას **‘თამარის ჯვარს’** უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა, მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი.



სუმარშივე თ. მიბზუნმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი დააფიქსირა, ე. წ. ‘თამარის ქვა’. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს, იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს (მიბზუნი 1977: 29-31) და სსვ.

დიდი მეფის ხატებაში ფოკუსირებულია ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან. წმიდა მეფის ხსოვნაში საქართველოს დიადი წარსულით გამოწვეული სიამაყე, ნაკლებ სახარბიელო თანამედროვე მდგომარეობა და უთუო ნათელი მომავლის რწმენა ურთიერთგადაჯაჭვულია და შეიძლება ითქვას, თამარ მეფის ხსოვნა ქართველთა ქართული მენტალობის მასაზრდოებელი წყაროა, რომელიც, ამავე დროს, ჩვენი ეროვნული კულტურისა და დღევანდელი ქართველის მიერ ძველ, ტრადიციულ ქართველთან, ტრადიციულ მენტალობასთან (ცნობიერებასთან) გადებული ხიდის სიმბოლოსაც წარმოადგენს.

**ამგვარი მენტალური მომენტები უძლიერესი ნიშაა ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარებისათვის და იგი ერთგვარი მონაცემთა ბაზაა საქართველოს საზღვრებს მიღმა მოქცეული ეთნიკური ქართველების თანამედროვე ქართულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრირებისა და ადაპტაციისათვის. ისტორიულ მეხსიერებაში დავანებული დიადი მეფეებისა და XII საუკუნის ძლიერი საქართველოს, რომელსაც სვანები “ხეებედნიერ ქვეყანა”-ს ეძახიან, ხსოვნის მიზეზი და მიზანი სწორედაც რომ ქართული სახელმწიფოს შემდგომი აღორძინება და განვითარებაა.**

ეთნოგრაფიული მასალით ცხადია, რომ ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული თემები/ჯგუფები დღემდე ინახავენ ტრადიციული ყოფის ისეთ ნიუანსებს, ისეთ ეროვნულ მენტალურ მახასიათებლებს, თვითმყოფადი ქართული კულტურის გასაოცარი მობილობის კიდევ ერთ დასტურად რომ გვევლინება.

**ერთგულება სამშობლოს, რელიგიისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი (მეფისადმი) მთიელთა ტრადიციული მენტალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანი ღირებულებაა და იგი ერთგვარი რეზიუმირებული, დაწნეხილი სახით განსაკუთრებით მკაფიოდ სვანური მასალით მოჩანს: უმძიმეს პერიოდში, როდესაც საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას ეყრებოდა საფუძველი, სვანეთის ერთ-ერთი თემი – ლატალი ასეთი სულისკვეთებისა და შინაარსის – საოცარი მუხტით ანთებულ ლოცვას ადავლენდა: “წმიდაო მთავარანგელოზო მხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატიონიანნი... ერთობილი საქართველო და ერთობილნი სვანნი” (XIII–XIV საუკუნეების ხატის წარწერა).**



## ბიბლიოგრაფია

1. არაბული 2002 – არაბული ა. ბაგრატიონთა საგვარეულოს “ღვთისნებითობის” თეორია და ხალხური სიტყვიერება; კრ., ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბ., 2002.
2. ბარდაველიძე 1941-2003 – ბარდაველიძე ვ. ივრის ფშავლებში დღიური, თბ., 1941 – 2003.
3. ბარდაველიძე 1963 – ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან დროშა “ღემ”, მგელი-ძაღლი, – მსე, XII–XIII, თბ., 1963.
4. ბარნაველი 1953 – ბარნაველი ს. ქართული დროშები, თბ., 1953.
5. გუჯეჯიანი 2006 – გუჯეჯიანი რ. ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (თამარ მეფის ხატება სვანეთის ტრადიციულ ყოფაში), – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XII, თბ., 2006.
6. ვაჟა-ფშაველა 1986 – ვაჟა-ფშაველა, ლაშარობა, თხზულებანი, თბ., 1986.
7. თანდილავა 1972 – თანდილავა ზ. ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972.
8. თაყაიშვილი 1991 – თაყაიშვილი ე. სამუსულმანო საქართველო, – ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, ტ. I, თბ., 1991,
9. თოფჩიშვილი 2005 – თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005.
10. თოფჩიშვილი 2007 – თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია, თბ., 2007.
11. თოფჩიშვილი 2002 – თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.
12. ინგოროყვა 1941 – ინგოროყვა პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
13. კანდელაკი 1987 – კანდელაკი მ. ლაშარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში, – მსე, XXIII, თბ., 1987.
14. კარბელაშვილი 1999 – კარბელაშვილი მ. ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია, – ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ., 96-128.
15. ლაბაძე 2005 – ლაბაძე მ. ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, – ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005.
16. ლექსო... 1985 – ლექსო, არ დაიკარგები, თბ., 1985.
17. მაღაყმაძე 2008 – მაღაყმაძე რ. ლიგანის ხეობა, თბ., 2008.
18. მიბჩუანი 1977 – მიბჩუანი თ. თამარ მეფის ნაკვალევზე, – ჟ. რიწა, სოხუმი, 1977.
19. მინდაძე 2008 – მინდაძე ნ. ქალი და ძველი სამედიცინო კულტურა, წიგნი, – ნ. ხაზარაძე, მინდაძე, ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბ., 2008.
20. მიტროპოლიტი ანანია... 2008 – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დედაღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა, თბ., 2008.
21. მიტროპოლიტი ანანია... 2009 – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თბ., 2009.
22. ნიჟარაძე 1973 – ნიჟარაძე ბ. თამარ დედოფლის ხსოვნა თავისუფალ სვანეთში, – კრ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.
23. სიხარულიძე 1949 – სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
24. ფუტკარაძე 2007 – ფუტკარაძე ტ. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.





25. ფუტკარაძე 1993 – ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული, თბ., 1993.
26. ქართლის ცხოვრება 1955 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
27. ქართლის ცხოვრება 1973 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
28. ყიფშიძე 1939 – ყიფშიძე ი. ჭანური ტექსტები, ტფ., 1939;
29. ჭიჭინაძე 1911 – ჭიჭინაძე ზ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, ტფ., 1911.

## Summary

**Rozeta Gujejiani**

### **"The king", "the religious" and "the motherland" essences in Georgian traditions from the tradition Georgian mentality**

Traditional elements of Georgian mentality stay alive in Georgian traditional society and traditions. According Georgian customs the "king", the "religious" and the "motherland" are the most important value that saves in mountainous and hilly traditions and mode of life.

The mountain peoples the most important characteristic point is devotion which one consolidation was by the Memory of devout, pious and devoted kings of Georgia, to whom belongs saving and keeping Georgian main values. Such essentials elements are preserves in stories and legends about great and saint Kings Tamar and Vakhtang I "Gorgasali".

According Georgian traditions and mentality the king is sanctified by the God. The king is unnatural exclusively and wholly person. The stories and legends about Georgian kings - The Bagrationi dynasty nasty comes from Bible and ancient myths, precisely from The Davidic line - King of all Israel and Judah.

The ethnographic materials are saving not only traditional Georgian stories and existence, also in the reality and legends of the ethnic Georgians from the modern Turkish republic. Tamar of the Bagrationi dynasty was Queen Regnant of Georgia. The first woman to rule Georgia in her owns right and also she was well-known as a named king Tamar. The name of her authority was well-known not only for Georgians but also recognized by the hall Caucasian people and ethnic groups. Foreside affirmation is possible by the materials saving through all stories and legends keeping in the course of the people.

The stories correspond with king Tamar is distinguished from other historical and ethnographical notice. They are important and through then we can find out the topics about Georgian Gold Age, about Georgian successful and victorious. Under name of king Tamar amalgamated all the kindness, holiness, power, stability and culture of the country.

Though the political and cultural exploits of Tamar's epoch was without precedent in the history of Georgia, they were nevertheless rooted in a long and complex past. In popular memory, Tamar's image has acquired a legendary and romantic façade. A diverse set of folk songs, poems and tales illustrate her as an ideal ruler, a holy woman onto whom certain attributes of pagan deities and Christian saints were sometimes projected. Such importance





## “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”

ქართული ასომთავრული ანბანი შეიცავს ენციკლოპედიური ხასიათის ასტრონომიულ-კალენდარულ და მათემატიკურ მონაცემებს. 37 ასოიან ანბანური რიცხვითი სისტემის საშუალებით დაფიქსირებულია მთვარე-მზის კალენდრით მეტონის 19 წლიანი ციკლი, მზის უძრავი 365 დღიანი წელიწადი და მზის ზოდიაქური მუდმივა  $37 \times 31 = 1147 = 365,25$ . ძველ საქართველოში შემოდებული იყო 684 წლიანი ქრონოლოგია ( $19 \times 36 = 684$ ), რაც ასახულია წარმართულ და ადრექრისტიანულ ძეგლებზე.

### რეალ გვიტაქე, დავით გვიტაქე

#### ასომთავრული ანბანთწყობა და ქართული ქრონოლოგიის სათავეები

#### სტატიის რეცენზენტი: პროფესორი რამაზ პატარიძე

ძველთაგან დროის შუალედის საანგარიშოდ გამოიყენებოდა დღე-ღამე, თვე და წელიწადი. ათასწლეულის მანძილზე თვე განისაზღვრებოდა მთვარის ფაზათა მიხედვით ახალმთვარეობიდან ახალმთვარეობამდე ან სავსემთვარეობიდან სავსემთვარეობამდე. ამით აიხსნება, რომ დღემდე მრავალ ენაში თვის და მთვარის აღსანიშნავად ერთიდაიგივე სიტყვა გამოიყენებოდა. მეგრულში და ჭანურში მთვარეს და თვეს ეწოდებოდა თუთა. მთვარის ფაზათა ცვლის ინტერვალს სინოდური თვე ეწოდებოდა და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 29,53 დღე-ღამეს.

მთვარის კალენდარული სისტემით, რომელიც დღემდე გამოიყენება ისლამურ სახელმწიფოებში, თვის საშუალო ხანგრძლივობა განისაზღვრება 29,5 დღით, ამიტომ მთვარის წელიწადის 12 თვე ხან 29, ხან 30 დღეს ითვლის და მთვარის არანაკიანი წელიწადი უდრის 354 დღე-ღამის ( $6 \times 29 + 6 \times 30 = 354$ ). სეზონის და ბუნებრივი ცვალებადობა აისახება მზის წელიწადით, რომელიც 11 დღით აღემატებოდა მთვარის წელიწადს. იმისთვის, რომ მთვარის წელიწადის დასაწყისში დაეახლოვებინათ მზის წელიწადის დასაწყისთან, შემოიღეს მთვარის 13 თვიანი ნაკიანი 384 დღიანი წელიწადი, რომლის საშუალებით ხდებოდა მზის და მთვარის კალენდარული სისტემების სინქრონიზაცია.

ამ მიზნით დასაწყისში გამოიყენებოდა 3-წლიანი, ან 8-წლიანი ციკლები, რომელშიც მზის და მთვარის წლების ცოლობისათვის სათანადოდ 1 ან 3 მთვარის ნაკიანი წელიწადი იყო ჩართული.

ბაბილონელი ასტრონომები მთვარე-მზის კალენდარული სისტემის სინქრონიზაციისათვის იყენებდნენ უფრო ზუსტ 19 წლიან ციკლს, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩინა ბერძენმა ასტრონომმა მეტონმა და ატარებს მის სახელს.



მეტონის ციკლის თანახმად, მზის 19 წლიანი წელიწადი მოიცავს 235 მთვარის სინოდურ თვეს ხანგრძლივობით 29,530. იმისათვის რომ 19 მზის წელიწადს გაუტოლდეს 19 მთვარის წელიწადი, 7 მთვარის წელიწადი უნდა იყოს ნაკიანი, ხოლო 12 უნაკო.

ძველქართული მონუმენტური ანბანი ასომთავრული, (იხ. ტაბულა) წარმოადგენს ელინიური ეპოქის კულტურის შედეგს. ძველ ცივილიზაციას არ მოიპოვა ქართული ანბანის ბადალი [1]. როგორც სახელოვანი მეცნიერი რ. პატარიძე აღნიშნავს, მასში ფინიკური კონსანანტური და ბერძნული ვოკალიზირებული ანბანების ბაზაზე, ასოთა დასახელების სპეციფიკური სილაბიური პრინციპის შერჩევის და ასოთა რიცხვული მახასიათებლის გამოყენების საშუალებით სისტემატიზირებულია ასტრონომიული, კალენდარული და ქრონოლოგიური ძველადმოსავლური ინფორმაცია [1].

ასომთავრული ანბანის რიცხვ-ნიშნის სისტემა

ანბანის რიცხვული სისტემის თანრიგები				
წარედლები	აიფედლები	ბედლები	ასბედლები	ასთასბედლები
1. Ⴀ ან ა=1	10. Ⴁ ინ ი=10	19. Ⴃ რაე რ=100	28. Ⴄ სინ ს=1000	37. Ⴅ კიე კ=10000
2. Ⴇ ბან ბ=2	11. Ⴆ კან კ=20	20. Ⴈ ხან ხ=200	29. Ⴉ ცინ ც=2000	
3. Ⴋ ვან ვ=3	12. Ⴊ ღას ღ=30	21. Ⴋ ტარ ტ=300	30. Ⴌ ძიდ ძ=3000	
4. Ⴍ ფონ ფ=4	13. Ⴍ მან მ=40	22. Ⴎ ეე ე=400	31. Ⴏ წიდ წ=4000	
5. Ⴑ ენ ენ=5	14. Ⴐ ნარ ნ=50	23. Ⴑ ფარ ფ=500	32. Ⴒ კარ კ=5000	
6. Ⴓ ეინ ეინ=6	15. Ⴑ იე ი=60	24. Ⴔ ქან ქ=600	33. Ⴓ ხან ხ=6000	
7. Ⴕ ზენ ზ=7	16. Ⴒ ონ ო=70	25. Ⴓ ღან ღ=700	34. Ⴔ ჯარ ჯ=7000	
8. Ⴗ კე კე=8	17. Ⴓ პარ პ=80	26. Ⴕ ეარ ე=800	35. Ⴕ ჯან ჯ=8000	
9. Ⴙ თინ თ=9	18. Ⴔ ეან ე=90	27. Ⴖ შინ შ=900	36. Ⴖ კაე კ=9000	

არსებითად ეს ანბანი წარმოადგენს მეცნიერულ ტრაქტატს, რომელიც შეიცავს ენციკლოპედიური ხასიათის ასტრონომიულ და მათემატიკურ მონაცემებს, რომელთა პრაქტიკული გამოყენება დასტურდება წარმართული და ადრექრისტიანული ეპოქის მატერიალური კულტურის ქართული ძეგლებით.

ანბანის ასოთა დასახასიათებლად შემოვიღოთ ინდექსაცია. მაგალითად,  $\mathbb{P}_{13}$ -მან, ხოლო



რიცხვითი მნიშვნელობების აღსანიშნავად გამოიყენება ასოთა ძველქართული ასომთავრული ან თანამედროვე ქართული სიმბოლოები სათანადო ინდექსაციით  $\overline{\text{ქ}}_{13}=40$  ან  $\overline{\text{ქ}}_{13}=40$ . “მან” წარმოადგენს ძველსპარსული მთვარის სახელ „მანგი“-ს ფუძეს. ძველქართულ ლიტერატურაშიც იგივე სახელი გამოიყენება მთვარის აღსანიშნავად. ტოპონიმი “მანგლისი” ასევე სიტყვა მანგიდან არის წარმოქმნილი.

ასოთა ჯგუფს ვუწოდებთ, ერთსახელას, თუ ასოს ფონემას ერთვის ერთნაირი სილაბური მარცვალი. მაგალითად ან, ბ-ან, გ-გან, მ-ან.

ანბანში დაფიქსირებულია მეტონის რიცხვი. ნატურალურ რიცხვთა ჯამი 1-დან 37-ის ჩათვლით უდრის 703. ამ სიდიდის საშუალო არითმეტიკული ემთხვევა მეტონის რიცხვთა ციკლს და უდრის  $M_{37} = \frac{703}{37} = 19$ .

ძველქართული ისტორიული მონაცემებით, ასომთავრული ანბანს ეწოდება მრგლოვანი. ამავე დროს არსებობს მე-4 საუკუნის თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელშიც აღინიშნება „ყოველი საიდუმლო ამას ენისა შინა დამარხული არის“ და მინიშნებაა ასოზე რომლის სახელია „წილი“ და რიცხვითი მნიშვნელობა 4000. ასეთია ანბანის 31 -ე ასო. ანბანთწყობაში საკრალური რიცხვი 31 გამოყოფილია რეპერებით  $\text{ჩ}_{14}$ -ნარ და  $\text{შ}_{17}$ -პარ, მათ შორის მოქცეულია მე-15 და მე-16 ასოები, რომელთა რიგითი მნიშვნელობის ჯამი უტოლდება 31

მრგლოვანების პრობლემის ამოხსნის საშუალებას იძლევა 31-ე და 37-ე ასოთა პოზიციური მოდულები  $M_{31} = \frac{496}{31} = 16$  და  $M_{37} = \frac{703}{37} = 19$ . ერთის პოზიციური მოდული მზის წრიულ იდეოგრამაზე მიგვითითებს, ხოლო მეორის მზის კალენდარულ წელიწადის საანგარიშო სიმბოლოსთან არის კავშირში

ეს იმას მიგვანიშნებს, რომ ჩატარდეს ამ ორი ასოს რიგითი მანვენებლების ნამრავლის ანალიზი:  $31 \times 37 = 1147$ .

სიტყვა „წილ“-ი წილადის სინონიმა. განვსაზღვროთ 1147 რიცხვში მზის მოძრავი და უძრავი კალენდარული წელიწადის ( $S_{\kappa}$ ) წილი.

$$1147 : 365 = 3,14247,$$

$$1147 : 365,25 = 3,1403148$$

ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული უდრის 3,1413902. მიღებული სიდიდეები წარმოადგენს წრეხაზის სიგრძესთან თანაფარდობას დიამეტრთან ( $\pi$ ), რომელიც მესამე და მეოთხე ნიშნის ფარგლებში ზუსტად ემთხვევა თანამედროვე მეთოდებით განსაზღვრულ რიცხვს.

ამრიგად, ქართულ ანბანთწყობაში დადასტურდა ზოდიაქო წრეზე მზის ხილული გარემოქცევის მათემატიკური დამოკიდებულება 104

$$\pi S_{\kappa} = 1147, \text{ რომელსაც ვუწოდებთ ზოდიაქურ ან ეკლიპტიკურ მუდმივას.}$$

მათემატიკისა და ასტრონომიის ისტორიის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი ბ. ვან-დერ-ვარდენი ახალბაბილონური ეპოქის ასტროლოგიური ტექსტების ანალიზისას აღნიშნავს, რომ რამოდენიმე ადგილზე მოხსენიებულია იდუმალი 684 წლიანი „მთვარის გრძელი პერიოდი“ [2].



„მთვარის გრძელი პერიოდის” ასტრონომიული და ქრონოლოგიური არსის გარკვევა საშუალებას იძლევა ძველქართული წარმართული ეპოქის წერილობითი და არქეოლოგიური ძეგლები.

ქართულ ანბანში საიდუმლოდ ასახული ინფორმაციის ფუნდამენტალური კვლევები ჩაატარეს მათემატიკოსებმა ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ [3,4]. მათ კერძოდ შენიშნეს რომ მე-19 ასო „რე” სახელდებით შეწყვილებულია 36-ე ასოსთან „ჰაე” - ორივე სახელი მთავრდება მარცვლით „აე”. ეს იძლევა საფუძველს ჩავთვალოთ, რომ სახელის შერჩევის გზით ძველქართულ ანბანში დაფიქსირებულია „დიდი მთვარის პერიოდი”.


$$19 \times 36 = 684$$

მთავრე-მზის კალენდარული სისტემის რეგულირება გაცილებით უკეთესად ხდება “მთვარის გრძელი პერიოდის” გამოყენებით. ამ შემთხვევაში მზის 684 წელს უტოლდება მთვარის 705 თორმეტოვანი წელიწადს. უფრო მეტიც, 684 წლიანი პერიოდის მესამედი - 228 მზის წელიწადი უტოლდება მთვარის 235 წელიწადს.

საინტერესოა ის, რომ 37-ასლიან მწკრივში მზის სიმბოლო 19 რე ცენტრალურ პოზიციაზეა. ეს კარგად ჩანს თუ დავაწყვილებთ 19 მიმართ სიმეტრიულად განლაგებულ ასოებს რიგითი ნომრების მიხედვით.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
37	36	35	34	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	
I						II						III						

მივიღეთ ასოთა 18 წყვილი. წყვილის შემადგენელი ასოთა რიგითი ნომრების ჯამია  $38=19 \times 2$ . გამოვეყენოთ პირველი ექვსი წყვილი, რომლის სათავეშია მთვარის სიმბოლო  $\tau_1$ -ან, ხოლო ბოლოში სრულყოფილი რიცხვი მნიშვნელობით 6. განვთავსოთ პირველი ექვსი წყვილის ციფრები წრეხაზზე, ისე, რომ დიამეტრის ბოლოებში დავსვათ შეწყვილებული სიმბოლოების რიგითი მნიშვნელობები, ხოლო წრეხაზის ცენტრში მოვაქციოთ მზის სიმბოლო  $\rho_{19}$ -აე. წრეზე განთავსებული 12 ასოს რიგითი მნიშვნელობების ჯამი უდრის 228. II და III წყვილთა ექვსეულები მოვაქციოთ დამატებით კიდევ ორ კონცენტრირებულ წრეზე. სამივე კონცენტრირებულ რგოლზე განთავსებულ ასოთა რიგითი ნომრების ჯამი უდრის 684. ამრიგად მთვარე-მზის კალენდარულ ტოლობაზე დაფუძნებული „მთვარის დიდი პერიოდის” 684 წლიანი ქრონოლოგიური ინტერვალის გამოსახულებამ მიიღო მაგიური წრის სახე. დისკოს დიამეტრებზე ჩაწერილი 6-6 ციფრის ჯამი უტოლდება ერთმანეთს და უდრის 114. დისკოს სამი რგოლი მთვარე-მზის 684 წლიანი პერიოდის სამი შემადგენელი ციკლია, გაირკვა „მთვარის დიდი პერიოდის” ქრონოლოგიურ-კალენდარული არსი.



684 წლიანი პერიოდის ამსახველი დისკოს სტრუქტურა, როგორც ჩანს აგებული იყო მრგვალი „ასტროლაბიების“ მოდელის მიხედვით, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ახლო აღმოსავლეთში ვარსკვლავების შესახებ ცოდნის სისტემატიზაციისათვის. ასტროლოგები ზოდიაქოს თვითეულ ნიშანს ყოფდნ სამ ნაწილად, რომლებსაც დეკანებს უწოდებდნ და 36 დეკანი აღიქმებოდა როგორც დვთაებრივი ძალები. ყველაზე ძველი - ასირიული „ასტროლაბი“ თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. 1100 წ. არსებობს მრავალრიცხოვანი ნიმუშები აშურიდან, ნინევიიდან, ურუკიდან და ბაბილონიდან, რომლებიც თითქმის 1000 წლიან პერიოდს მოიცავენ [2]. როგორც ჩანს, იბერიულმა ქურუმებმა არა მარტო  $\pi$ -ს მნიშვნელობა იცოდნენ, არამედ „ასტროლაბიურ“ სქემებსაც ფლობდნენ სრულყოფილად.

ასეთი იდეა ბუნებრივად იბადება, როდესაც უძველეს ასტროლაბიებზე აღნიშნული მნათობების - ვარსკვლავების და პლანეტების სახელები ემთხვევა ქართულ ასოთა სახელებს სრულად ან ასოთა სახელი მნათობის შემოკლებული ფორმით. „ასტროლაბია B“-ში მოხსენიებულია ეა თანავარსკვლავედის ვარსკვლავი ბან (Ban), რომელიც ემთხვევა  $\rho_2$ -ბან ასოს სახელს. ამავე ასტროლაბიაში ანუს თანავარსკვლავედის სახელის პირველი მარცვალი „ან“  $\tau_1=1$  ასოს სახელია და „ან“ მარცვლის მეშვეობით კიდევ სხვა 12 ასოს სახელია წარმოებული.



არსებობს 12 ელამის, 12 აკადის და 12 ამურუს სია, რომელიც მოიცავს E<sub>21</sub>-ტარ ასოს დასახელებას.

“ტარ” - გაშიფრულია როგორც „იუპიტერი“. აღსანიშნავია, რომ ხეთურ ხანის ანატოლიაში ფართოდ იყო გავრცელებული ტაროსის ღვთაების კულტი.

საქართველოში დღემდე შემორჩენილია ტარემის ეკლესია და აკლდამა, რომელიც მდინარე ცხენისწყლის ხეობაზე გამავალი ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირეთის სვანეთთან დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს [5, გვ. 92-95].

“მთვარის გრძელი პერიოდით” ქრონოლოგიური აღრიცხვა მოქნილი სისტემაა და მოგვიანებით იულიუსის კალენდარის შემოღებას ხელი არ შეუშლია მისი ფუნქციონირებისათვის.

ქრონოლოგიაში 684 წლიანი „მთვარის დიდი პერიოდის“ გამოყენების პრაქტიკა დადასტურდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებით.

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნეკრესის და რუსთავის ნაქალაქარების ტერიტორიებზე გამოვლენილი უძველესი ქართული წარწერები [6].

ნეკრესის და რუსთავის ნაქალაქარში მოპოვებულ ძეგლებზე ქვაზე შესრულებული რამოდენიმე წარწერა მთავრდება ასოებით h(h), ან ასოთა წყვილით ႏ (იი), hႏ (ჩი) რომლებიც განმხოლოებულად არის დასმული ტექსტის ბოლოში. ასევე აღმოჩენილია კერამიკული ნიმუშები, რომლებზეც გამოწვამდე სველ თიხაზე ამოკაწრულია წარწერები. ასეთია ნეკრესში მოძიებული ქვევრის პირის ფრაგმენტი. ჩვენი აზრით ამ ნიმუშებზე დატანებულია თარიღის აღმნიშვნელი სიმბოლოები (სურათები 1), რომლებიც შეესაბამება 684 წლიან ქრონოლოგიურ წელთაღრიცხვას.

განვიხილოთ ძეგლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესაბამისად.

1. უძველესია რუსთავის წარწერიანი ქვა №1. მასზე ამოკაწრულია ორი ასო ႏ(იი) თარიღის პირველი რიცხვ-ნიშანი მეტონის დამთავრებული 19 წლიანი ციკლის რაოდენობა, ხოლო მეორე მიმდინარე ციკლის მზის წელიწადის რიგის ნომერი

$$\text{ႏ}_{10}\text{ႏ}_{10} = (10 \times 19) + 10 = 200$$

2. ნეკრესში ნაპოვნი ქვევრის პირის ნატეხზე დაქარაგმებული  $\text{ႏ}_{13}\text{ႏ}_2$  წარწერა აფიქსირებს თარიღს

$$\text{ႏ}_{13}\text{ႏ}_2 = (13 \times 19) + 2 = 249$$


3. ნეკრესის №1 და რუსთავის №3 ქვებზე აღნიშნულია ასო h<sub>28</sub>, რომელიც აღნიშნავს

$$h_{28} = 28 \times 19 = 532$$

4. რუსთავის №3 ქვის ტექსტის ბოლოს ორი დაქარაგმებული ასო ႏ

$$h_{28}\text{ႏ}_{10} = (28 \times 19) + 10 = 542$$





სურათი. 1. ნეკრესის და რუსთავის წარწერიანი ძეგლები:

1 - რუსთავის წარწერიანი ქვა №1; №2 - წარწერა ქვევრის პირზე ნეკრესიდან (გრაფიკული ასლი) №3 - ნეკრესის №1 წარწერიანი ქვა (გრაფიკული ასლი);

4 - რუსთავის №2 წარწერიანი ქვა (გრაფიკული ასლი);

5 - რუსთავის წარწერიანი ქვა №3 (გრაფიკული ასლი).

გამოსარკვევია ქართული წარმართული ქრონოლოგიის ათვლის საწყისი წერტილი. ძველად ქრონოლოგია ეფუძნებოდა ეპონომიურ ათვლას ე.ი. ნათესავმთავარის ან დიდი მოხელის აღზევებასთან დაკავშირებულ თარიღს. ქართული მწიგნობრობის და ქრონოლოგიური აღრიცხვის დასაწყისს უკავშირებენ იბერიის მეფის ფარნავაზის ზეობას და ამ თარიღად მიღებულია ძვ. წ. 284 წელი. ამ შემთხვევაში ძეგლებზე ასახული რიცხვ-ნიშნებით ქრონოლოგიური ჯაჭვი მიიღებს ასეთ სახეს:



ძვ. წ. 84 წ-ძვ. წ. 37 წ. - ახ. წ. 249 წ. - ახ. წ. 259 წ.

აღსანიშნავია, არა მარტო წარმართული, არამედ ქართული ქრისტიანული დასაბამთაგანი აგრეთვე უკავშირდება ძვ. წ. 284 წელს.

ძველი ქართული მწერლობის უბრწყინვალესი თხზულება “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”, არა მარტო ქართული ენის განდიდების ჰიმნია, არამედ ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია, რადან ის წარმოადგენს ადრექრისტიანულ ნაწარმოებს და მასში გადმოცემული აზრის ჭეშმარიტი ამოხსნა ნათელს მოჰყენს ქართველოლოგიის მთელ რიგ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს.

სწორედ ამით აიხსნება ქართული მეცნიერების უაღრესად დიდი ყურადღება “ქებაის” ტექსტის დაზუსტებისა და მისი სწორად განმარტებისადმი.

ქართული “დასაბამთაგანის” გარკვევასთან დაკავშირებით “ქებაის” მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფრაგმენტს: “და სასწაულად ესე აქუს ოთხმოცე და ათოთხმეტი (94) წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე”.

94 წელი, რომელიც “ქებაი“-ში უმეტესობის რიცხვად არის მიჩნეული მკვლევარებს სხვადასხვანაირად აქვს ახსნილი. ზოგს ეს ციფრი გადამწერლის მიერ დაშვებულ შეცდომად მიაჩნია, რადგან ქართული “დასაბამთაგანი”, რომელიც 5604წ. ითვლის აღემატება ბიზანტიურ წელთაღრიცხვას 96 წლით, აღექსანდრულს 104 წლით და იერუსალიმურს 112 წლით.

„ქებაი“ გნოსოლოგიური ხასიათის თხზულებაა და ამიტომ მასში დასახელებული რიცხვების მნიშვნელობები ნაწარმოების დედააზრს წარმოადგენს. ახ.წ. 325 წელს ჩატარდა ნიკეას საეკლესიო კრება, რომელმაც პასქალური დღესასწაულის გამოსათვლელად მიიღო 532 წლისნი “დიდი ინდიქტიონი”.

532 წლიანმა ციკლმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ციკლის 10 მოქცევის 5320 წელი საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქრისტიანული ერის წელთაღრიცხვას, მათ შორის ქართულს.

ქართული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემაა 4X9=36 და მოიცავს “ერთეულების”, “ათეულების”, “ასეულების” და “ათასეულების” თანრიგებს. თანრიგთა სათავეში დგას I ა, X ი, XIX რ და XXVIII ჩ ასოები, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობებია 1; 10; 100; და 1000. მათი რიგითი ნომრების გადამრავლებით მიიღება 1X10X19X28=5320. ამ მდგენელების ფონეტიკური უღერადობით იკითხება “აირჩ”, რომელიც სიტყვა “არჩევან“-თან ასოცირებს, ამიტომ ქართული დასაბამთგნის გამოთვლისას ბუნებრივია ყურადღება მიაქციეს ამ მინიშნებას და გამოიყენეს რიცხვი 5320.

ნიკეას საეკლესიო კრება იბერიული წელთაღრიცხვით ჩატარდა 608 წ., რომლითაც დამთავრდა მეტონის ციკლის 32-ე მოქცევა (608=19 X32), ამრიგად ნიკეას საეკლესიო კრება იბერიული წელთაღრიცხვით ჩატარდა

$$5320+708=5928 \text{ წ.}$$

გამოვაკლოთ 5928წ. ნიკეას კრების თარიღის რიცხვი ახალი წელთაღრიცხვით



5928-325=5603 წ.

5603წ. ქართული დასაბამთაგანის რიცხვია, მომდევნო 5604 წელი, რომელიც შეესაბამება ახ.წ. 326წ წარმოადგენს საქართველოს გაქრისტიანების თარიღს. მეტონის ციკლის 33-ე მოქცევის დასაწყისში საქართველოს ისტორიაში დამყარდა ქრისტიანული ხანა.

ახ.წ. 353წ. ბიზანტიური ქრისტიანული წელთაღრიცხვის ერთად შემოიღეს 5509წ. 1 სექტემბერი, რომლის დადგენას დასჭირდა რთული მათემატიკური კვლევები.

თუ ქართული წარმართული წელთაღრიცხვა დაიწყო ძვ.წ. 284 წელს, იგი ქრისტიანულს უსწრებს 283 წლით, მაშინ “ქებაი“-ს ავტორის გამოთვლილი დასაბამთაგანი უდრიდა:

$$5320+283=5603$$

მაშასადამე, ქართული ქრისტიანული დასაბამთაგანი ზუსტად 94 წლით უსწრებდა ბიზანტიურს:

$$5603-5509 = 94, \text{ რაც მითითებულია “ქებაი“-ში.}$$

“სასწაული” მდგომარეობს იმაში, რომ 94 წლიანი სხვაობის ამოხსნით, მტკიცდება, რომ არსებობდა, თვითმყოფადი, დახვეწილი ძველქართული ქრონოლოგია, რაც ადასტურებს ძვ.წ. 284 წ. ისტორიული თარიღის ჭეშარიტებას.

ახ.წ. 353 წ. ქართული წარმართული წელთაღრიცხვის სისტემით ანუ იბერიული წელთაღრიცხვით, იყო 636 წელი, ხოლო იმპერატორ დიოკლეტიანეს ერთ 69 წელი.

“ქებაი“-ს დაწერის თარიღი უნდა ვივარაუდოთ მე-4 საუკუნეში არაუადრეს ახ. წ. 353 წლისა, ხოლო ყველაზე გვიანდელი ვადის შესახებქვემოთ.

არსებობს ბიზანტიური ერის ათელის მეორე ვარიანტი, რომელიც მოგვიანებით შემოიღეს და იწყება 5508 წლის 1 მარტს.


ბიზანტიელებმა სექტემბრის მარტით შესაცვლელად თავის ერთს 1 წელი დააკლეს, ხოლო ქართველებმა, როგორც ჩანს 1 წლით წინ გადასწიეს და 5603 წლიანი დასაბამთაგანი შეცვალეს 5604 წლით, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ქრონიკულ წელთაღრიცხვას.

ამ შემთხვევაში ვღებულობთ საყოველთაოდ ცნობილ 96 წლიან სხვაობას ქართულ და ბიზანტიურ წელთაღრიცხვას შორის

$$5604 - 5508 = 96$$

ასეთია ის ვითარება, რამაც გამოიწვია 94 და 96 წლიანი სხვაობები ქართულ და ბიზანტიურ წელთაღრიცხვებს შორის. ორივე შემთხვევაში ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის სათავეები წარმართულ ქრონოლოგიას უკავშირდება

გამოჩენილმა ქართველმა არქეოლოგმა რ. რამიშვილმა აღმოაჩინა დავათის სტელა, რომელიც წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის კულტურულ ძეგლს. ძეგლზე გამოსახულია საკმაოდ რთული რელიგიური შინაარსის კომპოზიცია [7], სურათი 2. დავათის სტელაზე



ჩამოწერილი ანბანი (1) და ასოთა 2 რეესტრად განაწილების სქემა და მათი ინდექსაცია (2)

რომელზეც ჩამოწერილია ასომთავრული ანბანის 37-ივე ასო, ხოლო მათ შორის 3 ასო დაქარაგმებულია S32-5000, E21-300 და ხ11-20, (სურათი 2) რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აღბეჭდილია ციფრები, რომელთა ჯამი უდრის 5320. ვინაიდან ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაბამი უდრის 5604 წელს, ქართველმა მეცნიერებმა გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ სამართლიანად ჩათვალეს, რომ სტელაზე მითითებულია ძვ. წ. 284/5 წ., რაც ქართული მწიგნობრობის და ქართული წარმართული ეპოქის წელთაღრიცხვის დასაწყისია [8].

დავითის სტელას უადრესად დიდი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასზე ანბანთწეობის რიცხვული სისტემის საშუალებით აღიბეჭდა “ქებაი“-ში საკრალურად დაფიქსირებული მოსაზრებები.

ამისათვის ანბანის 36 ფონემა განაწილებულია ორ იდენტურ რეესტრად. თითოეული რეესტრის 18 ასო განთავისუფლებულია 3 სტრიქონად. როგორც ზედა, ასევე ქვედა რეესტრში პირველ სტრიქონში განაწილებულია 7, მეორეში 6 და მესამეში 5 ასო. ბოლოში განმხოლოებულად ზის 37-ე გრაფემა.

“ქებაი“-ში წერია: “და ახალმა ნინო მოაქცია და ელენე დედოფალმან ესა არიან ორნი დანი ვითარცა მარიამი და მართაი და მეგობრობაი ამისთვის თქუა ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს”. მეორე რეესტრში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი უდრის 49500, ხოლო პირველ რეესტრის 495. მათი თანაფარდობაა 100. ასეთივე თანაფარდობითი



დამოკიდებულებაა აგრეთვე 7-ივე სვეტის ასოთა რიცხვითი მნიშვნელობებს შორის (სურათი 3). ამრიგად დაფიქსირებულია ორი მეგობრული რიცხვთა რეესტრის 100-ჯერადი თანაფარდობა. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ თხზულების დამამთავრებელი ფრაზის ორი ვარიანტი. ერთში წერია: “და ესე ყოველი რომელ წერილი არს მოწამელ წარმოგვითხრას ასი ესე წელი ანბანისაი”, ხოლო მეორეში წინადადება დაბოლოებულია სიტყვებით “...ესე წილი ანბანისაი”.

საჭიროა გაირკვეს რა იგულისხმება სიტყვების “წელი” და “წილი”-ს ქვეშ. სიტყვა წელი ორნაირად განიმარტება, ერთ შემთხვევაში ნიშნავს წელიწადს, მეორე შემთხვევაში სულხან საბა ორბელიანის მიხედვით “წელი” არის სიბა -სარტყელის ადგილი. “ქებაი”-ის შინაარსიდან გამომდინარე “წელი” მიგვითითებს იმაზე რომ ასოები გაყოფილი ორ ურთიერთშერწყმულ ნაწილად და აზრობრივად იგივეა.

1-ლი რეესტრი	მწკრივების რაოდენობა	ქართული ანბანის რაოდენობა							
		1-ბ	2-ბ	3-ბ	4-ბ	5-ბ	6-ბ	7-ბ	
1-1	I	1-ბ	2-ბ	3-ბ	4-ბ	5-ბ	6-ბ	7-ბ	
80-8	II	8-ბ	9-ბ	10-ბ	11-ბ	12-ბ	13-ბ		
140-50	III	14-ბ	15-ბ	16-ბ	17-ბ	18-ბ			
18-ბ=100	2-ლი რეესტრი	I-ბ	19-ბ	20-ბ	21-ბ	22-ბ	23-ბ	24-ბ	25-ბ
36-ბ=800		II-ბ	26-ბ	27-ბ	28-ბ	29-ბ	30-ბ	31-ბ	
72-ბ=5000		III-ბ	32-ბ	33-ბ	34-ბ	35-ბ	36-ბ		
5958	ჯამი	100						32	

100+800+5000	=	5900	=	100
1+8+50	=	59	=	100

ესე - ენი ქრისტე  
 დღეობისა

**სურათი 3. დაგათის სვეტზე ანბანის ასოების რიგითი ნომრების რეესტრებად და მწკრივებად განაწილების სქემა (ა) და პირველი სვეტის ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი (ბ)**

რაც “წილი” ანბანისა. ამრიგად “ქებაი”-ის შინაარსის თანახმად “ყველა საიდუმლო ამას ენისა” მოწმდება ანბანის 100 რიცხობრივი “წელით” ანუ “წილით”

განვიხილოთ “ქებაი”-ს კიდევ ერთი ფრაგმენტი: “და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა.” თხზულების ავტორი თვლის რომ ჩვენი ენა, მაშასადამე ანბანი, რომელიც ფუძეა ენისა, “შემკულია და კურთხეულია” უფლის სახელით.

დმერთის სახელთან არის დამოკიდებული 100-ის პროპორციული დამოკიდებულებით შეწყვილებული რამოდენიმე ასო.

ეს იდეა განსაკუთრებულად არის აქცენტირებული დაგათის სტელაზე. 1-ლი რეესტრის I მწკრივის კიდურ თვალსაჩინო პოზიციაზე განთავსებულია მე-7 ასო ზ-ზან (ზ). რიცხვი 7



ბაბილონელთათვის წმინდა რიცხვი იყო და შემდეგშიც ღმერთის რიცხვთან ასოცირებდა. მე-2 რეესტრის პოზიციაზეა Ia მწკრივში 25-ე ასოა ღ-ღანი, რიცხვითი მნიშვნელობით 700.  $ღ/ზ=700/7=100$ . ღ-ღმერთის აკროფონია, ასო “ზ” სახელით “ზენ”, რომელიც სიტყვა “ზენაარის”-ზეციერი ღვთაებრივი არსებისა, ზეციერი ძალის ფუძეა. ასეთნაირად 100-ით შემკული ღმერთის სახელი მისაღებია, როგორც ქრისტიანული, ასევე წარმართული რელიგიისთვის. უფრო მეტიც, ამ ორი ასოს რიგითი მნიშვნელობის ჯამი  $7+25=32$ , გვიჩვენებს, რომ დამთავრდა წარმართული საქართველოს ისტორიის 19 წლიანი ციკლის 32 მოქცევა, რომელსაც მოჰყვა საქართველოს გაქრისტიანება. ამის დასტურად სტელაზე დატანებულია სამი კ, ქ, ღ, ასოების ლიგატურა (გადაბმა). რომელიც აბრევიატურაა ფრაზისა “უამი ქრისტე ღმერთისა” (სურათი 2).

განვიხილოთ მეორე ღვთაებრივი წყვილის ამსახველი ასოები “რაე” და “ან”.  $რ/ა=100/1=100$ . მზე (რაე) და მთვარე (ან) ასტრალური რელიგიის მთავარი ღვთაებრივი ობიექტები იყო. მესამე შემთხვევაში  $ფარ/ენ=ფ/ე=500/5=100$ . “ფარ” ღმერთად აღიარებული ფარნავაზ მეფის სახელის ფუძეა, “ენ”-შუმერული სიტყვაა უფალი. ამრიგად ასომთავრული ანბანის სტრუქტურული ერთეულები ძველადმოსავლურ აღმსარებლობის ელემენტებით არის შემკული.

რიცხვნიშანთა ასეთი განაწილებით დამატებითი ქრონოლოგიური ინფორმაცია არის თავმოყრილი სტრიქონების ბოლოში და პირველ სვეტში მოქცეულ სიმბოლოთა რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობების გათვალისწინებით.

ასოთა ორ რეესტრად წარმოდგენით არის დაფიქსირებულია 532 წლიანი ციკლი. პირველი რეესტრში განთავსებულ ასოთა რიგითი მნიშვნელობების ჯამი უდრის 171, ხოლო ნატურალურ რიცხვთა ჯამი 1 -ან 37 -ის ჩათვლით უდრის 703.

$$703-171=532$$

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ დავითის სტელას პირველ სვეტში განთავსებულ ასოების რიცხვით მნიშვნელობების ჯამი აღნიშნავს ძეგლის შექმნის თარიღს 639წ. იბერიული წელთაღრიცხვით (ი.წ.); რომელიც ეთანადება ახ.წ. 356წ.:

$$1+8+50+100+800+5000=5959$$

$$5959-5320=639 \text{ ი.წ.}$$

$$5959-5603=356 \text{ ახ.წ.}$$

ახ.წ. 356წ. არა მარტო დავითის სტელას შექმნის თარიღია, არამედ “ქებაი”-ს დაწერის ყველაზე გვიანდელი ვადაც. არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების საფუძველზე “ქებაი” დაწერილია ახ.წ. 353-356 წლების შუალედში.

რადგან გაერკვა “ქებაი”-ს დაწერის და დავათის სვეტის აგების თარიღი, დაუბრუნდეთ ნეკრესის 1 წარწერიანი ქვის ქრონოლოგიური ანალიზს.

ნეკრესის სტელაზე ოთხრიგად ჩამოწერილი რიცხვ-ნიშნები შედგება 2 ორეულისგან ( $C_1L_2$  და  $ხ_7C_1$ ), სამეულისა ( $L_3L_{10}H_6$ ) და განმხოლოებული გრაფემისგან ( $h_{28}$ ) უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს სამეულის ჯამური რიცხვთა მნიშვნელობა.  $L_{3+}L_{10+}H_6=19$ , რაც მზე-მთვარის ცხრამეტწლეულის მეტონის ციკლზე მიუთითებს.

მეორე სტრიქონის სიმბოლოთა ჯამია  $ხ_7C_1=8$  ხოლო მეორე და ბოლო სტრიქონების



28+8=36. ეს იმას ნიშნავს, რომ სტელაზე დაფიქსირებულია ორი ქრონოლოგიური ციკლი 532=28X19 და 684=36X19. ამიტომ არ არის გამორიცხული ამ სტელის შექმნის თარიღიც იყოს ასახული.

ვინაიდან პირველი და მეორე სტრიქონის ორეული წერითი ელემენტების განთავსების სქემა იდენტურია, შევაჯამოთ ცალკე მათი რიცხვითი მნიშვნელობები.

$$C_{1+} \cdot 9_{2+} \cdot 7_{7+} \cdot C_{1-} = 11$$

გავამრავლოთ მიღებული რიცხვი მესამე სტრიქონის სამეულის ჯამზე 19-ზე და მეოთხე სტრიქონის აოს რიგით მნიშვნელობაზე 28.

$$11 \times 19 \times 28 = 5852$$

დავაკლოთ ამ რიცხვს ქართული ქრისტიანული დასაბამის მნიშვნელობა:

$$5852 - 5603 = 249 \text{ წ.ახ.წ.}$$

დათარიღების ორივე მეთოდის თანახმად, ნეკრესის კალენდარული სტელა აგებული იყო ახ.წ. 249წ.

წარმოდგენილი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების ანალიზი მოწმობს წარმართული ქართული წელთაღრიცხვის არსებობას, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ქრისტიანულ ქრონოლოგიას.

ლიტერატურა

1. პატარიძე რ. ქართული ასომთავრული, თბილისი, ნაკადული, 1980
2. ႁႃႉ-ႁႃႉ-ႁႃႉႁႃႉ ႁႃႉ. ႁႃႉႁႃႉႁႃႉႁႃႉ ႁႃႉႁႃႉ. II ႁႃႉႁႃႉႁႃႉ ႁႃႉႁႃႉႁႃႉ. ႁႃႉႁႃႉ, ႁႃႉႁႃႉ, 1991.
3. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ., ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი. თბილისი, 2005.
4. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ. ქართული დამწერლობის თარიღის დადგენისათვის. "მნათობი", 1993 წ. №5, გვ. 180-191.
5. ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენცია. თბილისი 2002
6. ჭილაშვილი ლ. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიული საკითხები. თბილისი. 2004.
7. რამიშვილი რ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავთში. თბილისი 2008.
8. Abramishvili G, Alexidze Z, A national motif in the iconographic programme depicted on the iconographic programe depicted on the Davati stela, Le museum revue d'etudes orientales, Tom 103. Fasc, 1990 pg 283-292.



**SUMMARY**

**R. Gvetadze, D. Gvetadze**

**The old Georgia script Asomtavruli and origins of the Georgian chronology**

The old-Georgian Asomtavruli alphabet contains astronomical, calendar and mathematical information of encyclopedic character. With the help of 37 alphanumeric system, the nineteen-year cycle of meton of linusolar calendar, non-leap solar year with duration of 365 1/4 days and also the zodiac constanta  $37 \times 31 = 1147 = \delta 365,25$  are fixed. In the ancient Georgia 684-year chronology was used ( $19 \times 36 = 684$ ) and with its help pagan and early Christian archeological monuments are dated.

**შავი**

**რაიონი, დ. გვეტაძე**

**ძველი ქართული ასომთავრული და ქართული ქრონოლოგიის წარმოშობა**

**შავი და დ. გვეტაძე**

ძველი ქართული ასომთავრული ალფაბეტი შეიცავს ასტრონომიულ, კალენდარულ და მათემატიკურ ინფორმაციას ენციკლოპედიური ხასიათისა. 37 ალფანუმერიკული სისტემის დახმარებით, მეტონის 19-წლიანი ციკლის, არაბრუნადი წელიწადის ხანგრძლივობის 365 1/4 დღის და ასევე ჯოდიაკის მუდმივი მნიშვნელობის  $37 \times 31 = 1147 = \delta 365,25$  დადგენა შესაძლებელი გახდა. ძველ საქართველოში გამოიყენებოდა 684-წლიანი ქრონოლოგია ( $19 \times 36 = 684$ ), რომლის დახმარებითაც პაგანური და ადრეული ქრისტიანული ძეგლები დათარიღდა.







## საქართველოში აღმოჩენილი ფარული ნიშნების (კრიპტობრამების) კვლევები

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი კრიპტოგრაფიული (ფარული) ნიშნების საერთო ხასიათია: მონუმენტალურობა, სისტემურობა, სრული სახეები. მათი კოსმოგონიური ხასიათი წააგავს ქართული დედაბოძის ორნამენტების სიმბოლოებს და ქართულ ენაში შემონახულ მითოლოგიას. საკულტო მსახურების დროს გამოსაყენებელი საბეჭდავის „საჭვრეთი“ სიმბოლოები და ფარული ნიშნები ურთიერთკავშირში ჩანან.

თემა „ფარული ნიშნები (კრიპტები) და ასომთავრული“ აყენებს საკითხს ძვ. ქართული დამწერლობის შესახებ, რომ ფარული ნიშნები იყო დამწერლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. ხალხურ მითოლოგიურ გადმოცემებში და გამომსახველობაში იყო „ღვთაებრივი“ ასტრალურ-კოსმოგონიური სიმბოლოები, რომელთა მსგავსი იეროგლიფების შესაძლო დამოკიდებულება ასომთავრულის ასოებთან გამოსარკვევია.

### ფარული ნიშნების - კრიპტობრამების შესახებ

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მატერიალური კულტურის ძეგლებზე შემორჩენილია ქვებზე ამოკვეთილი ნიშნები. 2009 წლის მონაცემებით ფიქსირებულია 160 ასეთი ამოუცნობი ნიშნების შემცველი ქვა. აქედან ხევსურეთის 11 სოფლის ტერიტორიაზე -60 ცალი ნიშნიანი ქვა, 74-ქვა თუშეთის ტერიტორიაზე, თრუსოს ხეობაში -25 ქვა, 4-ქვა ფშავში. ნიშნების საერთო რაოდენობა 500 ერთეულამდეა. ნიშნები გეომეტრიული ხაზოვანია. გეომეტრიულ ფიგურებში ჩართულია პეტროგლიფების და ასომთავრული ასოების მსგავსი ნიშნები. ფარული ნიშნები მონუმენტური, ჩამოყალიბებულია. ნიშნიანი ქვების ზომები მერყეობს 100-30 სმ. ფარგლებში. ნიშნების ზომები ძირითადად 8 სმ- დან 20 სმ-ია. ნიშნები ქვაზე ამოჭრით, ამოტვიფრითაა შესრულებული. ჩანს რომ ქვები მეორადი მოხმარებისაა. ისინი ჩაყოლებულია ჯვარ-სალოცავებისა და ციხე-კოშკების კედლებში. ნიშნების ამოჭრის დრო დაუდგენელია (ციხე-კოშკები თარიღდება მე-16-17 საუკუნეებით).

ფარული ნიშნების შეკრების და დახარისხების შედეგად ჩანს სისტემის არსებობა. ნიშნები მეორდება სხვადასხვა ხელწერით და სხვადასხვა სოფელში. ძირითად ჯგუფში 40 ნიშანია. ამ ნიშნებიდან 17-18 მეორდება. თვითოეულ ქვაზე მაქსიმუმ 20 ნიშანია გაფანტულად ამოტვიფრული. ნიშნებში ჭარბობს კოსმოგონიური ხასიათის სიმბოლოები. ფარული ნიშნები მოიპოვება იმ რეგიონში, სადაც შემორჩენილია ზოგად ქართული ხასიათის გეომეტრიული ორნამენტიკა. ანალოგიური ფარული ნიშნების ერთეულები გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში და კახეთში; საქართველოს მოსაზღვრე მაღალმთიან ინგუშეთში და არღუნის ხეობის მოსაზღვრე რეგიონში (სოფლებში: ბერკინო, ფახიე, ოშნი), მათ ადგილობრივები „ჯვრიან ქვებს“ უწოდებენ. აღნიშნულთან ზოგადი მსგავსება შეიმჩნევა შუამდინარეთულ წინაღურსმულ, კრეტულ, იბერიულ და ეგვიპტის გაუშიფრავ ხაზოვან ნიშნებთან. ქ. კახუნის (ძვ.წ. 25-ე საუკ.) და ქ. გურობას (ძვ.წ. მე-12 საუკ.) ფარულ ნიშნებთან. ნიშნები ლოკალურია



და სავარაუდოდ, საკრალური, საინფორმაციო ხასიათისაა. კრიპტოგრამები, რომლებიც საქართველოს მთამ შემოინახა, ტრადიციათა უწყვეტობის გამო, ატარებს ქართულ გადმოცემებში აღწერილ წარმოდგენათა ნაკვალევს. მათი კოსმოგონიური მახასიათებლები წააგავს ქართული დედაბობის გეომეტრიული ორნამენტების სიმბოლოებს.

•••

საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი ფარული ნიშნების (კრიპტების) მნიშვნელობის გარკვევა, მათი მიმართება ძვ. აღმოსავლეთის და კრეტა-მიკენის კულტურის მატარებელი ხალხების მსგავს ნიშნებთან და აგრეთვე ძველი ქართული დამწერლობის (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური) ასო ნიშნებთან. აღსანიშნავია რომ მსგავსი ნიშნები შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, მცირე რაოდენობით ხელნაწერებსა და ხატებზე, საცხოვრებელ სახლებზე, გეომეტრიული ფიგურებისა და ორნამენტების სახით.

აღსანიშნავია რომ კრიპტოგრამების კვლევას საქართველოში პრაქტიკულად არავითარი ტრადიცია არ გააჩნია.

•••

აშკარად ჩანს მსგავსება კრეტულ და იბერიულ და საქართველოს მთიანეთში დაფიქსირებულ ფარულ ნიშნებს შორის. მართალია საკამათოა თვალსაზრისი ქართულ ანბანის წარმოშობასთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც თვალსაჩინოა რომ ძვ. ქართული ზოგიერთი გრაფემა მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს კრეტულ „ა“ და „ბ“ ხაზოვან და იბერიულ ნიშნებთან.

როგორც ცნობილია მთა ბევრად უფრო მყარად ინახავს ტრადიციებს და ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, სწორედ საქართველოს მთიანეთში ამ უძველესი ნიშნების შემორჩენა.

ჩემი აზრით საქართველოს მთიან რეგიონში მიკვლეული „წერაქული“ ფარული ნიშნები კიდევ ერთი დადასტურებაა, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისი ჩვენი წინაპრების და ძველი აღმოსავლეთის ხალხების ნათესაური კავშირის შესახებ.

•••

წარმოდგენილი მასალა, არის ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიპტოგრაფიული დამწერლობის შესწავლის პირველი მცდელობა. მის შესწავლას შეუძლია ბევრ საკამათო თუ გაურკვეველ საკითხს მოჰფინოს ნათელი.





## გიორგი გიგაური

# ფარული ნიშნები (კრიპტები) და ასომთავრული

სტატიის რეზიუმე: პროფესორი გიორგი მოსხაუზარი

“ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება რამდენადაც აწმყოსთვის”

ვაჟა ფშაველა

მსოფლიოს ხალხთა დამწერლობის შესახებ ბევრი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს. ყველაზე ძველი დამწერლობის ტექსტი შუამდინარეთულია - ლურსმული დამწერლობის ნიმუში, რომელიც იკითხება. ი. გელბის განმარტებით „დამწერლობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით წარმოადგენს ვიზუალურ ინტერკომუნიკაციურ სისტემას, ზოგჯერ ნიშნების გამოსახულებით საგნებზე, ზოგჯერ კი ფორმების ან საგნების ფერებით პირობითი გამოყენებით” [I. Gelb. “Hittete hierogluphic Monuments Chteago’’. 1936, p. 37.]


არქაული დამწერლობა შეიქმნა მესოპოტამიაში, ინდოეთში, ეგვიპტეში და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში. ჯ. მაიერის აზრით კრეტული და ადრეშუმერული ნიშნები იხენენ საოცარ მსგავსებას, მათვე ემსგავსებიან პროტოელამური ნიშნები. დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს ეგოსური და ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებიც. ი. გელბი წერდა: “ყველგან ძველ მსოფლიოში დამწერლობის შექმნა თან სდევს ცივილიზაციის გაჩენას. დამწერლობის შემოღება ქრონოლოგიურად ემთხვევა სახელმწიფოს შექმნას, დიდ ძვრებს ხელოსნობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში, მეტალურგიაში, სატრანსპორტო გზების და საშუალებების განვითარებასთან ერთად. გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიური, ფაქტორების ერთობა, რომელსაც მიყვავართ ცივილიზაციის შექმნისკენ” [ I. Gelb. “Hittete hierogluphic Monuments Chteago’’. 1936, p. 29.]. ე.ი. ცივილიზაცია ვერ იარსებებს დამწერლობის გარეშე. შუამდინარეთში დამწერლობა შეიქმნა სატაძრო მეურნეობის და მმართველობის განვითარებასთან ერთად. დამწერლობის შემქმნელი იყო კულტურული იდეის მატარებელი ქურუმობა. დამწერლობის წარმოშობის სხვადასხვა თეორიები მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შეიქმნა შედარებითი ენათმეცნიერება. დამწერლობის თავდაპირველ დედნად ლურსმული დამწერლობის მიჩნევა ჯერ კიდევ XX საუკუნის დაწყების დასაწყისში დელიხის, გომელის და უედელის კვლევების მიხედვით. ასირიული შტოდან ა. დეეკის მიხედვით. კვიპროსული სილაბური შტოდან ა. სეისის მიხედვით და სხვა. დამწერლობის წარმოშობის სხვა თეორია არაინდოევროპული ენების მხრიდან სხვადასხვა მკვლევარების მიერ იქნა მიჩნეული. ფინიკიური მარცვლოვანი დამწერლობის წარმომშობ დედნად მიჩნეულ იქნა კრეტული და იბერიული ნიშნები. არტურ ევანსის და მის კვალზე რამდენიმე მკვლევარის: რეინაკის, დიუსოს მიერ განვითარებულ იქნა თეორია, რომ კრეტიდან დამწერლობის ნიშნები გატანილ იქნა ფილისტიმელების და სემიტური ენების მიერ. კრეტულმა თეორიამ მოიპოვა აღიარება ასევე სხვა მკვლევარების მხრიდანაც: ა. დეიეტი, ი. სუნდვალი, შაპუტეს და ბულგარელი მეცნიერის ვ. გიორგიევის ჩათვლით. ეგვიპტურ-კრეტულ- ჩრდილოსემიტური ნიშნების სახელით თეორია დაუკავშირეს დამწერლობის წარმოშობას. თუმცა დ. დირინგერის



ნაშრომში, მსოფლიოს დამწერლობის შესახებ [Ä.Äðñî ãð. Äèòàèð. Ì . 1963] ზემოთაღნიშნული თეორია მიხნეულია საეჭვოდ, მას მოჰყავს საბუთი, რომ ისტორიაში მოცემული ცნობებით, ფილისტიმელებმა პალესტინის ნაპირების დაპყრობა მოახდინეს ძვ.წ. 1220 წ. როცა რამდენიმე საუკუნით ადრე, ისტორია დამწერლობის შესახებ უკვე არსებობდა. თვლიან, რომ დ. დირინგერის მოსაზრება არადაძაჯერებლად გამოიყურება, რადგან ფინიკიური ნიშნების და კრეტული ნიშნების მოხაზულობა და დასახელება ემთხვევა ერთმანეთს.

ე. ფეტერი დამწერლობის სისტემურ ნიშნებთან დაკავშირებით ბევრ თამამ და საინტერესო აზრს გამოთქვამს. აპენინის ნახევარკუნძულზე წერტილოვანი ნიშნებით მონიშნულ 3000 წლიან კრიპტებს ეტყობათ: “უფრო ძველი უცნობი ნიშნების გავლენა ანუ წინარე ეტრუსკულის” ე. ფეტერი, “მაგის გარდა გვხვდება სიტყვა ორი გვერდითი წერტილით. გამომდინარე აქედან ფეტერი გამოთქვამს აზრს, რომ სიტყვა წერტილის გარეშე ნიშნავს ღია მარცვალს, ხოლო – წერტილი კი დახურულ მარცვალს. ასეთ შემთხვევაში წერტილი ისმებოდა ან ნიშნის შიგნით თანხმოვნისთვის, რომლითაც მთავრდებოდა მარცვალი, ან ნიშნის შიგნით ხმოვნისთვის, რომლითაც იწყებოდა მარცვალი. ასეთი წერტილები გვხვდება იშვიათად ჩრდილო ეტრუსკულში და პიცენურ წარწერებში. აქედან შეიძლება ითქვას, რომ წერტილოვანი სისტემა მიმდინარეობს მარცვლოვანი დამწერლობის მოთხოვნილებისაგან, ჯერ კიდევ სანამ ფინიკიური და ძველბერძნული დამწერლობა შემოვიდოდა. ძველი ადრეეტრუსკული ხალხი სარგებლობდა მარცვლოვანი დამწერლობით, თუმცა ამის დამამტკიცებელ სხვა საბუთს არ ვფლობთ, რომელიც დაამტკიცებდა უფრო ძველი დამწერლობის სისტემის არსებობას” [G.GBionamichi. Study Etrusk 1941].

ჩრდილო ეტრუსკული დამწერლობის შესახებ ფეტერის თეორია და საქართველოს მთიანეთში მოპოვებული ნიშნების კვლევა ერთნაირ აზრს ანვითარებს. საქართველოს მთაში შემორჩენილი ნიშნები, რომ ადრევე მისულიყო ევროპელი კრიპტოგრაფების და პალეოგრაფების ყურამდე, წერის ნიშნების წარმოშობა – განვითარების შესახებ, დღეს ალბათ სხვა თეორია იქნებოდა დამკვიდრებული საზოგადოებაში. წერტილოვანი სისტემა რომელიც მთელი არქაულობით არის ფარულ ნიშნებში (წერაქველ დამწერლობაში) ქართულ ენასთან ახლობლობას ამტკიცებს: წერტილი, წერა, ჭრა, ნაჭრელა, ამოწერვა, წერაქვი, ბედისწერა, წერამწერელი, სერნაწრიანი, ნიში და ნიშანი და სხვა [“ქართული წერაქვის სახელწოდების გამო”. გაზეთი ლიტ. საქ. 16 მარტი 2007 წ. 6გვ].



ერთგვარი წერაქვი ნაპოვნია ხევსურეთში სოფ. ლეგაისკარში.  
იხ. „ქართული წერაქვის სახელწოდების გამო“



ძველებურ ხაზოვან ნიშნებში წერტილოვანი სისტემა ქმნის შთაბეჭდილებას რომ ფინიკიურ დამწერლობამდე ამ ნიშნების მფლობელებს ბგერითი დამწერლობის მოთხოვნილება უკვე ქონდათ. დამწერლობის განვითარება რამოდენიმე სტადიას ითვლის: პიქტოგრაფიული-იეროგლიფურ, იდეოგრაფულ-ლოგოგრაფულ, სილაბურ-მარცლოვან და მარცლოვან ასო ბგერით ნიშნების. მიხნეულია რომ პიქტოგრაფიული (ხატოვანი) იეროგლიფური არქაული ნიშნები საკულტო მსახურთა და ქურუმთა იდეოლოგიას ემსახურებოდა, ჯგუფს რომელსაც ფარული ნიშნები უნდა სცოდნოდა საპატიოდ თვლიდნენ, რადგან: "საკრალური ნიშნების ამოჭრა ღვთაებრივ სამსახურად მიიხნეოდა" [ი. სულგულაძე „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ 1986].


ნიშანდობლივია რომ არქაული ნიშნები გამოირჩევიან რთული გრაფიკული მოხაზულობით, როცა საერო დამწერლობაში გადადის იგი იწყებს გამარტივებას, ხდება სადა, ადვილად დასაწერი: "ეს თეორია ერთადერთია და დღესაც ინარჩუნებს მართებულობას". [ჯ. ჩეღვიძი. "მიკენური სა არო"].

ქართულ იბერიული ხალხთა საცხოვრებელი ტერიტორია ბევრ საინტერესო არქეოლოგიურ მონაპოვარს მოიცავს. აქ მოპოვებულ კულტურულ ნივთიერ საგნებს ეტყობა განვითარების თავისებური ხასიათი. ჯერ კიდევ მტკვარ-არა ქსული III-ათას. ძვ. წ. კერამიკა და მათზე გეომეტრიული ნიშნები აჩვენებს რომ არსებობდა ამ რეგიონში ინფორმაციის გადაცემის მცდელობა. გეომეტრიული ორნამენტიკა რომელიც ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე და ხატების მორთულობაში გვხვდება უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მიბაძვა ხდებოდა გეომეტრიული, კუთხოვანი ხასიათის არქაული ნიშნებიდან. მრგლოვანი ასომთავრულის დამკვიდრების თანდათან იცვლება მორთულობის ხასიათიც - მკაცრი სტატიური ხაზებიდან გადადის მრგლოვან პლასტიკურ ხაზებში. დამწერლობის ნიშნების გავლენა მორთულობაზე საყოველთაოდ ცნობილი და დამტკიცებული აზრია. ტრადიციის უწყვეტობის მიხედვით ფარული ნიშნები (კრიპტები) რომელიც ხევისურეთში და თუშეთში შემორჩა მსგავსებას იჩენს ასომთავრულ ასოებთან: მონუმენტური მოხაზულობით, კოსმოგონიური წარმოშობის ბიძგით, კუთხოვან წინამრგლოვან ნიშნებთან მსგავსებით. "ასომთავრულის არქაულ მოხაზულობად მიხნეულია სწორედ კუთხოვანი ნიშნები" [ივ. ჯავახიშვილი "ქართული პალეოგრაფია" 1949.]. დიდი მეცნიერი და ქართული პალეოგრაფიის მამამთავარი ივ. ჯავახიშვილი როცა იწყებს ქართულ პალეოგრაფიაში კვლევას მართებულ მითითებებს იძლევა. მთვარის და მზის კალენდრის მონაცვლეობა ძველ ქართულ - იბერიულ - კოლხურ წარსულში დადასტურებულია. ეტიმოლოგიური, პალეოგრაფიული, ეთნოგრაფიული კვლევები ბევრ მინიშნებებს იძლევა. აკ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს "ასომთავრულში არსებობს არქაული ნიშნები, რომლებიც გამომდინარეა მთვარის ფაზების სიმბოლოებიდან". თავდაპირველ საწერ მასალასაც ასე განიხილავს: "მაგარ მასალაზე გამოყვანილი წარწერები ორნაირად იყვნენ ასრულებულნი ან შთაწერილნი ამოჭრილი ასოებით, როდესაც ასოთა მოხაზულობა ჩაღრმავებითა და ამოჭრით იყო გამოყვანილი" ივ. ჯავახიშვილი "ქართული პალეოგრაფია" გვ. 40. იქვე " აღსანიშნავია, რომ ყველა ერის დამწერლობის უძველეს საფუძვლად კუთხოვანი დამწერლობა იყო" გვ. 121. თვით ასოთა მოყვანილობას ასე ახასიათებს " ქართული დამწერლობის ხუცურ - ასომთავრულ




„ფ“ და „ქ“ მოხაზულობას უძველესი სახე აქვს დაცული. ქან – ის შემდეგ ქართულ ანბანში ისეთი ბგერათწობა იწვება, რომელთა მსგავსი დან – ის გარდა, არც სემიანთ (სემიტურს) და არც ბერძნებს ჰქონდათ და მარტო ქართული ენის დამახასიათებელია” გვ. 226. საინტერესო შედარებაა ასევე: “ქართული სან – ის და დარიელთა ამავე ასოს თავდაპირველი სახელის იგივეობა ცხადი ხდება”. “ქართველებმა ამ ასოს სახელი სან დორიელებისგან შეითვისეს, ცხადია ამგვარი შეთვისება ისეთ დროს უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც თვით დორიელნი ხმარობდნენ: წიგნებში ხომ არ დაუწყებდნენ ძებნას ქართველები იმ ასოსთვის სახელის მონახვას? ეს გარემოებაც ქართული ანბანის სიძველის მჩვენებელი უნდა იყოს”. გვ. 232. დასკვნის აზრიც ასეთია: “ქართული უძველესი ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად გვეჩვენება”. გვ. 233. “ქართულ დამწერლობას მახლობლობა აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მსგავსებით ნათესაობის ან დედნობის გამომამჟღავნებელი არ მოეპოვება” იმავე გამოკვლევის გვ. 233.

დღევანდელი გადასახედიდან ანბანის მწკრივთა რიგს ფინიკიურსა და არამეულს როცა ამსგავსებენ სწორი შენიშვნაა, თუმცა ჩვენ არ ვიცით ფინიკიურმა თვითონ მოიგონა ასეთი მწკრივი თუ მათაც აღებული აქვთ წინარე დამწერლობიდან. “წერის ნიშნების წლოვანებას ქიმიკოსი ან ფიზიკოსი კი არ ადგენს სინამდვილეში, არამედ პალეოგრაფი, რომელსაც ცოდნა და თვალი აქვს გამახვილებული მოხაზულობის ხელოვნებაზე” მ. ვენტრისი [I. A. I. 1976. I]. შესაძლოა ასომთავრულის ნიშნებმა სხვა გზა გაიარა გამარტივება მოქნილობის მისაღწევად, ხოლო ფინიკიურ - ბერძნულმა ხაზმა სხვა გზა.



უკანა ფშავი. სოფელი ხოშარა. ნასახლარის ქვა  
ზომა 50X26 სმ



ჩანახატი

"წერაქული" ფარული ნიშნების მოხაზულობა აშკარად ფინიკიურსა და კრეტულზეც ძველებურ იერს ამჟღავნებს. ნიშნები რელიგიური იდეის გამომხატველად სჩანან და ინახავენ თავდაპირველი ინფორმაციის ნაკვალევს, ამ თვალსაზრისით ისინი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ უძველესი შეხედულებების შესწავლისათვის. მათი იდეური სამყარო მსგავს კულტურულ – ისტორიულ გარემოში ნაკლებად იცვლებოდა, რაც ერთგვარად ხელშემწყობ პირობებს იქმნიდა: ორნამენტებით მკვიდრი გარემო და ჯვართმსახურების კონსერვატიულობა.



ხევსურეთი. სოფ. გუდანი. ხალოცაჲში დატული ქვა.  
 ვ. ბარდაველიძე. „აღ. საქ. მთიან. გრაფიკ. საზოგ. საკულტო ძეგლები“




გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, "ქართული პალეოგრაფია" [ივ. ჯავახიშვილი "ქართული პალეოგრაფია" 1949.] როცა იწერებოდა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კრეტულ და იბერიულ ნიშნებზე სამეცნიერო ნაშრომები. ძირითადი კვლევები XX საუკუნის 40-50-იან წლებში ჩატარდა. არამეულის და ფინიკიურის ძირი დამწერლობების მოძიება შუამდინარეთულ, კრეტულ და იბერიულ ხაზოვან ნიშნებში გვიან დაიწყო. ამ დამწერლობიდან სამეცნიერო დონეზე დამუშავებული და წაკითხულია მხოლოდ კრეტული „A“ ხაზოვანი დამწერლობა. (ძვ. წ. XIV ს.). დანარჩენის წაკითხვა ვერსიების დონეზე რჩება. კრეტის ძველ მოსახლეობაზე „კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები არც თუ იშვიათად იხსენებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს მაგალითად პელაზგებს და ამასთანავე ძვ.წ. IV საუკუნეშიც კი კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე." [ჯ. ჩედევი "მიკენური სამყარო" გვ. 42], რაც შეეხება იბერიულ დამწერლობას იგი აღმოაჩინეს XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს. თავდაპირველად მიიჩნიეს რომ ფინიკიურიდან გამომდინარეობდა, მაგრამ კრეტული იდეოგრაფების ამოცნობის შემდეგ გააერთიანეს კრეტულ და იბერიულ ნიშნების (დაახლოებითი მსგავსების) ჯგუფში. იბერიული დამწერლობის წაკითხვას შეეცადნენ მ. გომეს მორენო და პ. ვილაგრესი. 1942 წ.

როდესაც მთაში ნაპოვნი კრიპტები შეიკრიბა გარკვეული რაოდენობით, აღმოჩნდა, რომ გეომეტრიული ორნამენტები საერთო გენეზისისას გვანან. ხევსურული გეომეტრიული ორნამენტების თავისებურებების შესახებ ბევრი ნაშრომებია, მათ შორის არიან ცნობილი ავტორები გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ი. სურგულაძე. ყველა მკვლევარი აღიარებს ერთს, რომ "ეს ორნამენტები საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული".



ხევსურეთი. სოფელი ზემო კისტანი.  
ნასახლარში შემორჩენილი ქვა.  
(ამჟამად ინახება დაბა კინვალში გიორგი ჭინჭარაულის სახლში)  
ზომა 100X40 სმ.





ჩანახაზი

ჩვენ შევადარეთ გეომეტრიული ორნამენტების მოხაზულობა და დასახელება ხმელთაშუაზღვისპირეთის ცნობილ ხაზოვან ნიშნებს, კრეტა – იბერიულ – კვიპროსულ ნიშნებს. უნდა ითქვას, რომ მსგავსება არამარტო მოხაზულობაში, არამედ დასახელების მხრივაცაა. აღნიშნულის გამო, უპრიანია აზრი, რომ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია. გეომეტრიულ კუთხოვან ორნამენტებს შემორჩენილი აქვს დასახელება. მსგავსებაა მათ შორის, როგორცაა: “კეხა” და “კე”, “ბორჯღაღა” და “ბო”, “ქისტურა” და “კი”, “მარტუღელა” და “მ”, “უღელა” და “უ”. მიახლოებითი მსგავსებაა “კიმხა” და “კო”, “რქაგირგოლა” და “გი”, “მგზავრა” და “გე”, “უნაგირა” და “გი”, “კუერანი” და “კუ”.




სვეტიცხოველი. შავილი შუა სოფელი.  
 “მუღოური” ციხის კარის თაღი



ამ მსგავსებაზე რაიმეს თქმა ძნელია. ვინც კი შეუდგება ფარული ნიშნების საშუალებით სიუჟეტურ წაკითხვას ყველაფერი გასათვალისწინებელია. კრეტული და იბერიული ნიშნების დასახელებები შედარებით უფრო გასაგებად აღწერილი აქვს დ. დირინგერს მსოფლიოს ხალხთა დამწერლობების შესახებ (Àěđââèè) ქვესათაურებში; კრეტა – კვიპროსულ – იბერიული ნიშნები. გვ. 96. სურ. 42, 101, 118, 201.



ხევსურეთი. შაგილი  
“ბულოურთ” ციხე-კოშკის სარკმლის ქვა-თალი



ჩანახაზი

გეომეტრიული ორნამენტები აღწერილია ს. მაკალათიას “ხევსურეთი” გვ.70, ი. სურგულაძის “ქართული გეომეტრიული ორნამენტის სიმბოლიკა”, ვ. ბარდაველიძის „ხევსურული ორნამენტის სიმბოლიკა“ და სხვ. ამ შემთხვევაში ორნამენტებს და ფარულ ნიშნებს დიფერენცირებულად უნდა მივსვამო ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ ერთი აზრი ჩამოყალიბდება და გაირკვევა. წერის ნიშნების განვითარება შუამდინარეთულ, კავკასიურ, მცირეაზიურ, ეგეოსურ არეალში უკვე ახლებურად გააზრებას მოითხოვს. ასომთავრულის დალაგებული მწკრივი და მოხაზულობანი მიანიშნებს სხვა წარმომავლობის ძირს შედარებით სომხურ-ალბანურ დამწერლობით ასონიშნებთან. სამართლიანად შენიშნავს აკ. ივ. ჯავახიშვილი. ფარული ნიშნების გამოჩენის შემდეგ ასომთავრულის ისტორია მთლიანად შეიძლება შეიცვალოს. ამჯერად მთავარია გაირკვეს თუ რა კავშირია ასომთავრულს და ფარულ ნიშნებს შორის. საქმეს ართულებს მწირი ინფორმაცია. რელიგიაში განვითარების საფეხურზე გადასვლამ ძველებური დამწერლობის ნიმუშები ამოიღო ცხოვრებიდან, როგორც არა სასურველი სხვა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. ჯერის მდგრადი გამოსახულებებიდან ჩანს, რომ კრიპტები ჯვართმსახურების საკულტო იდეოლოგიას ემსახურებოდა. რამდენიმე მეცნიერის მოსაზრებით ასომთავრულზე წინა დროის ფარული ნიშნები საქართველოს ბარში გაანადგურა არაქართული წარმართული სარწმუნოებების მოძრაობამ. (ქრისტიანობის წინა პერიოდი, ზოროასტრიზმი, გაცი-გაიმი, ზადენი და სხვა).

ისტორიის უკუდმართობამ მრავალი ძველი გაანადგურა, მაგრამ შემორჩა შუა საუკუნეების დროინდელი ისეთი ასომთავრული წყობა და უცხო ნიშნები, რომელთა ახსნა რთულია. ძველი ნიშნები თვით მკაცრმა შუა საუკუნეებმაც ვერ ამოშალა ხალხის მესიერებიდან. ძველი კრიპტების გამოსახვა უცდიათ სხვადასხვა სტილის ბაზისებზე და ასომთავრულთანაც. დავით გარეჯი; სოფ. წებელდის ეკლესიის საამშენებლო წარწერა და სხვა. ხევსურეთში და თუშეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებთან მსგავსებას პოულობს VIII-IX-ს ქრისტიანულ ხატებში და წიგნებში დაფიქსირებული უცნობი სიმბოლოები. მაგ: IX საუკუნის ადიშის ოთხთავის ერთ-ერთ გვერდზე ორ სვეტად ჩამოწერილი ნიშნები ე.წ. "სიმბოლოები" [რ. შმრელინგი. "ქართულ



**ხელნაწერთა წიგნების მხატვრული გაფორმება" IX–XI ს. ტაბ. 3 სურ. 2],** ასევე XI საუკუნის წმინდა გიორგის ჭედური ხატი "ხიდისთავის წმინდა გიორგი" ფეხზე მდგომი ფიგურა ხელში მახვილით. ტრადიციული ხატწერისთვის მოსახსამით და ორნამენტებით. ამ ორნამენტებს შორის კერძოდ მოსახსამის კალთის არშიაზე შემოვლებულ გაფორმებასა და ზედა ასეთივე ორნამენტებს შორის დატოვებულია ადგილი, სადაც სიმბოლოებია ჩატრეთილი. სიმბოლო ნიშნები წარმოშობით ორნამენტებს ნამდვილად არ გავს, იგი გაკეთებულია გავლენით და რადგან ოქრომქანდაკებელმა წმინდა გიორგის მოსახსამზე ამოჭედა ფაქტია, რომ ისინი საკრალურად მიიჩნია. კვადრატი დიაგონალებზე ჩახატული ჯვრით. ჯვრის მხრებს შორის წერტილებია ჩატრეთილი. ასევე სამკუთხედები წერტილებით. წერტილები ნიშნების გარეთაც არის გაკეთებული. მსგავსი ნიშნებია საქართველოს მთაში დაფიქსირებული. მკაცრ სისტემურ ქრისტიანულ გამომსახველობაში რახან სიმბოლოები დეკორად მაინც შემორჩენილია ეს უთუოდ მიმანიშნებელია ასომთავრულის წინარე კუთხოვანი ნიშნების გამოძახილის.

წერაქულ დამწერლობაში, "კრიპტებში", შეიმჩნევა განმეორადობა რის გამოც შეიძლება კანონზომიერებაზე (სისტემა) საუბარი. ნიშნები ადგილობრივი წარმოშობისაა თუ შემოტანილია მცირე აზიიდან ან შუამდინარეთიდან, სადაც ასევე ისტორიაში პროქართველურ ენებზე მოსაუბრე ხალხი მოიაზრებოდა. უმეტესი ფარული ნიშნები თავდაპირველი მოხაზულობით უფრო მეტად შუამდინარეთულ იეროგლიფურ სიმბოლოებს გავს მაგრამ განსხვავდება საინტერესო კუთხით. როგორც ცნობილ შუამდინარეთულ, ეგოსურ და ეგვიპტურ ნიშნებში გვხვდება ეკონომიურად განვითარებული რეგიონის ატრიბუტები: გუთანი, საზიდარი, ჭურჭელი, თევზი, თასი, ცული, დანა, და სხვა. როგორც ჩანს, ყოველდღიური ყოფის საგნები დამწერლობით სისტემაში სტილიზებულ სიმბოლოებად გადასულა. საქართველოს მთაში შემორჩენილ ნიშნებში მსგავსი არაფერია. სამაგიეროდ ჩანან: ბორჯღალი, მნათობები სხივებით, მზე, წრე, წერტილები, ხაზები, ჯვრიანი წრეები, კლაკნილი, კომეტის ტიპები, სპირალები, ორმაგი წრეები, სამკუთხედი და ზევიდან დანახული დასახლებული ადგილის სიმბოლოები უჯრიანი კვადრატები და სხვა. იქმნება აზრი რომ კრიპტები კოსმოგონიური წარმოდგენების საფუძველზე წარმოიშვა. დაუშვათ რომ ადგილობრივი წარმოშობისაა, მაგრამ აუხსნელია საიდან გვანან ერთმანეთს საქართველოს მთიანეთის ფარული ნიშნები შუამდინარეთის წინა ლურსმული და შედარებით გამარტივებული მოხაზულობის კრეტული და იბერიული ხაზოვანი ნიშნები. დამწერლობით ნიშნებში ცნობილია რომ ისტორიის დიდ მონაკვეთზე სტილისტური მსგავსება შეიმჩნევა მაგ: ინგლისელი ორიენტალისტის ა. ვაისმენის მოსაზრებით სიმბოლიკა „გუთანი" რომელიც შუამდინარეთში ძვ. წ. 3500 წლით თარიღდება, წარსულიდან მოჰყვება დამწერლობის ნიშნებს და ფინიკიურ თუ ბერძნულ ანბანშიც აირეკლება. ჩვენთან სიმბოლო გუთანის (ქართულად ერქვანის) არარსებობა გაურკვეველია. სავარაუდოა, რომ ჩვენ წინაპრებს სასიცოცხლო მოხმარების საგნები მეორე ხარისხოვნად მიუჩნევიათ. კოსმოგონიურ წარმოდგენებთან შედარებით, რაც ინტერესს აღძრავს და ღრმა შესწავლას მოითხოვს. ჩვენამდე მოღწეული საქართველოს მთიანეთის წერაქული დამწერლობა უცნაურ გამოცანას გავს. გაურკვეველია ერთი ნივთმტკიცება რომელიც ხევსურეთში სოფელ ხახმატშია. ერთ-ერთ ოჯახში (შ. აღუდაური) შემორჩენილია ძველებური მასიური ხის კიდობანი ზედ ამოჭრილია შვიდი ხაზოვანი ნიშანი. 7 ნიშნიდან სამი სიმბოლო



გაფუჭებულია ხოლო 4 ნიშანი კიდევ გაირჩევა. კიდობანი საშუალო ზომისაა და ადგილობრივი ნახელავია. საინტერესოა: რა ინფორმაცია დაიტანეს ზედ და როგორ მოაღწია შუასაუკუნეებამდე ძველებური ნიშნების ცოდნამ? ნაკლებ სავარაუდოა მიბაძვით იყოს მხოლოდ გაკეთებული. როგორც ჩანს ამ რეგიონში მთელი რიგი ფაქტორების ურთიერთდამთხვევამ ფარულ ნიშნებს იდეალური გარემო შეუქმნა და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა უზრუნველყო. ვფიქრობთ ნიშნიანი ხის ნაკეთობა ცალკე შესასწავლია. სამწუხაროდ ადრევე არ დაიწყო ამ ნიშნიანი ქვების მოძიება და ფიქსირება, ამიტომ ბევრი დაკარგულად ჩაითვლება. ხალხური მეხსიერება შეიძლება წარმოდგენილი ძველ დროს იმასხოვრებდეს. რაღაც მნიშვნელოვანმა მოვლენამ რომელიც უხსოვარ დროს ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, დაიღწა მეხსიერებაში და საყოველთაო კუთნილება გახდა. ასეთი ზეგავლენის კვალს შეიძლება მიეწეროს გეომეტრიული პირამიდული ფორმაც. ამ ფორმამ დვთაებრივი საკრალური დატვირთვა შემოინახა მსოფლიოს ხალხებში. შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ცენტრალურ ამერიკაში, ჩინეთში და კავკასიაში. თუშეთში და ფშავ ხევსურეთში შემორჩენილი პირამიდულ სახურავიანი ნიშები ამის დასტურია. "პრაქტიკული მოსაზრებით ახსნილი ეს ფორმა არ გამოირიცხავს საკრალურ დატვირთვასაც" (ვ. ბარდაველიძე "აღმოს. საქართველოს მთიან. თრად. საკულტო ძეგლები. თუშეთი 1983 წელი"), მათი ფორმა აკლდამებზე და კოშკებზეც გადავიდა. იგივე ფორმა თავისი გვირგვინული წყობით ახლობელია ქართული დარბაზის არქიტექტურასთანაც. მეხსიერებას შემოუნახავს ძველებური სახით ფარული ნიშნებიც. ერთი ნიშანი რომელიც სავარაუდოდ სალოცავს ანუ ჯვარს მიანიშნებს მეორდება ისეთ კონტექსტში და ისეთ გარემოში რითაც იმსახურებს განსაკუთრებულ შინაარსს. ადგილობრივ ხალხში შემორჩენილი ქვების დასახელებისა და მოხაზულობის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება რამდენიმე ნიშნის ამოცნობა. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ნიშნის რაობა ემთხვევა ასომთავრულის მოხაზულობას გამარტივებამდელს, ასეთი ნიშნებია: ხარი და ხ, (ხქ). ბორჯღალი და ბ, ფარი ან საფარველი და ფ, ქვეყანა და ქ, ჯვარნი და ჯ, მაგალითად კვადრატი დიგონალზე ჩახატული ჯვრით გვხვდება გუდანის ჯვარში. ეს სიმბოლო ნიშანი ადამიანის ფიგურის წინ არის ამოტვიფრული. ადამიანის ფიგურაზე სამჯერ დიდი მოცულობით, ხაზი აქვს გასშული მის განსაკუთრებულ შინაარსს. ქვაზე ერთ ხაზზე ოთხი ნიშანია ამოჭრილი: კვადრატი ჯვრით, ადამიანის ფიგურა ხმლით ორი წერტილით, მნათობის ნიშანი და ხელის მტევნის (მარცხენა) გამოსახულება. მთლიანი იდეოგრამის გაშიფვრა ძნელია მაგრამ კვადრატი დიაგონალზე ჩახატული ჯვრით მეორდება სხვაგანაც. სოფ. ზენ კისტანის ქვაზე კვეთილობა მრავალ მხრივ საინტერესოა. ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა ზომით ერთი მეტრი სიგრძის, 40 სმ სიგანის, 25 სმ სისქის. სიბრტყეზე ამოჭრილია გაფანტულად ნიშან-სიმბოლოები 19 ერთეული. იქმნება შთაბეჭდილება რომ გვიანდელი პერიოდისაა. ხატოვან-იეროგლიფური ნიშნების საშუალებით ზედ დაპირისპირების ამბავის გადმოცემა უცდიათ. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჯვარი ფიგურირებს. ერთი ჯვარი ქრისტიანული ჯვარია, მეორე ტიპიური ადგილობრივი ფოთლოვანი ჯვარია. გუდანის ჯვართ ქვის მსგავსი ნიშანი აქაც ამოუჭრიათ, ჩანს რომ ეს ნიშანი სალოცავი ჯვართ სიმბოლოა. იგივე ნიშანი სოფ. უკანახოს ჯვართ ფასადზეა ამოჭრილი კვადრატი ჯვრით. თუ კარგად დავაკვირდებით ეს ნიშანი ასომთავრული ჯ-ს არქაულ ნიშანს მოგვაგონებს. ჩარჩოში ჩასშული ფარული ნიშნებია: სხივოსილი ნახევარწრე,



წრე და ჯვარი. ასეთი ფიგურებიდან ანუ რთულიდან გამარტივებისკენ მსვლელობა შესაძლებელია. (ასო ნიშნებთან "ა", "დ", "ჯ") კვადრატი დიაგონალებზე ჩახატული ჯვრით რომ „ჯვართ“ ნიშნავს ამას მოწმობს პირამიდულ სახურავიანი ნიშები. ზედხედიდან დანახული შენობის ფორმა ემთხვევა სიმბოლოს. ქართულ ჯ-სთან დაკავშირებით ამგვარ აზრს გეთავაზობს აკ. ივ. ჯავახიშვილი: „ეგების ასომთავრული „ჯან“-ის მოხაზულობა უძველესი სახის შემნახველი იყოს. მაგრამ აქაც ჯერ ჰიპოთეზის გზით არაფრის თქმა არ შეიძლება და მომავალი იმედია მკვლევარს უფრო მეტ მასალას მისცემს. შესაძლოა ჯ-ს წარმოშობისთვის მექანიკური თეორიაც კი იყოს გამოყენებული, მაგრამ საიდან გაჩნდა ჯ-ს ზე გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალსაზრისი გაუგებარი იქნებოდა“ [ივ. ჯავახიშვილი „ქართული პალეოგრაფია“ 1949, გვ. 231 ].

ხევსურეთის სოფ. ზემო კისტანის ლოკალური ხასიათის ნიშნებში კიდევ სხვაც საინტერესოა. კვადრატი დიაგონალზე ჩახატული ჯვრით გაერთიანებულია ერთად სიმბოლოში, რომელიც ხელსაწყო გონიოს მსგავსია. ამ სიმბოლოს ორნაირი ჯვარი ადგას, ერთი ფოთლოვანი ჯვარია მეორე ჩვეულებრივი მცირე ჯვარი. სიმბოლოების ამ ჯგუფს უპირისპირდება მარჯვნიდან სხვა სიმბოლოების ჯგუფი სადაც წამყვანია ქრისტიანული ბოლოებგაშლილი ჯვარი წრეში. "გონიოს" მსგავსი იეროგლიფი შიდა სივრცით ცნობილია ლუვიურ იეროგლიფების ჯგუფში სახელწოდებით „ნაგებობა“ [„ლუვიური - იეროგლიფების სამყაროში“ ნ. ხაზარაძე 2006 წ. გვ. 32.], მსგავსი ნიშანი არ ჩანს ხმელთაშუაზღვისპირეთის ხაზოვან ნიშნებში და არც წინა აზიურ ნიშნებში. ასევე ცნობილია რომ ლუვიური იეროგლიფური დამწერლობა გამოიყენებოდა თაბალების და მუშქების ქვეყანაშიც მცირე აზიაში ძვ. წ. XVI-XIII ს. ამ დამწერლობის უძველესი ნიმუში ქიცუვანთას მეფე ისფუთასუს საბეჭდავმა შემოგვინახა პ. მერიჯი [„Manuale Di Eteo Geroglifico. 1975.] მომავალში ვინც დაინტერესდება ფარული ნიშნების ისტორიით, ამ იეროგლიფის გრაფიკული მსგავსებაც შეიძლება დაეხმაროს.

ზევიდან დანახული დასახლებული ადგილის სქემატური ნიშანია მეორე ნაირი კვადრატები ჩახატული უჯრედებით, ზოგან ოთხი წერტილია, ზოგან სამი. რვა უჯრიანი, ექვს უჯრიანი, ოთხ უჯრიანი კვადრატები. კრიპტოგრაფების და პალეოგრაფების თვალთახედვის მიღმა დარჩენილი ნიშნისანი ქვები ყურადღებას მოითხოვს. შესაძლოა უძველესმა ნიშნებმა გამარტივება განიცადეს და საერო დამწერლობა ჩამოყალიბდა. როგორც აღვნიშნეთ წერაქულ დამწერლობაში კრიპტებში ფიქსირდება სხვა ნიშნებიც რომლებიც მეორდებიან და ქვეყნის აღნიშვნის შინაარსის მატარებელს გვანან. მსგავსი ნიშანი შუამდინარეთში დასახლებულ მიწას აღნიშნავს. საუბარია ოთხკუთხედში ჩახატულ უჯრედებზე. უჯრიანი კვადრატი (სვასტიკასთან) ბოლოებ შეხრილ ჯვართან გვერდზე არსად ჩანს რითაც ბადებს აზრს, რომ, ეს ორი ნიშანი ერთი და იგივე შინაარსის სახეცვლილებებია, ხოლო უჯრიანი კვადრატი და წრეში ჩამჯდარი ჯვარი გვერდ-გვერდითაა. (შატილის ქვები) ე. ი. სხვადასხვა სახელწოდების ჩანან. ფარული ნიშნები საკულტო მსახურობის ტექსტების ნაკვალევს მოგვაგონებენ მაგ: „ჯვარო ნათელო, ნათლისაო“, [ს. მაკალათია "ხევსურეთი"] „ცეცხლის ბურთვიანო“, „კოპალავ ცეცხლის ლახტიანო“ და გეომეტრიული „ფიგურები“ როგორცაა: ჯვარი წრეში და წრეს ცალმხრივი ხუთი სხივი, ჯვართან წრეები სხივებით. ფარული ნიშნები რომელიც საქართველოს მთამ შემოინახა, ტრადიციის მიხედვით ატარებს, ქართული ენის გადმოცემებში აღწერილ წარმოდგენათა



ნაკვალევს. თავდაპირველი საკრალური, რთული ფიგურების გამარტივებული მოხაზულობა დაფუძნებული ჩანს მსგავსებაზე, ე. ი. აქ საუბარია გრაფიკულიდან გამომდინარე შინაარსზე, ხოლო ეს გრაფიკული მოხაზულობა მსგავსებას იჩენს ობიექტურ ფორმებთან „ჯვართ“ ფორმა, ხის, ფარის გამოსახულება და სხვა. ამ საკითხს თუ კი შორიდან შევხედავთ სირთულე ერთი მხრიდან არაა მარტო. მთელი პრობლემა გახლავთ ის რომ ამ განხრით არავინ არ დაინტერესებულა. კრიპტოგრაფიული კვლევის გამოცდილება ჩვენთან არ მოიძებნება. ჩვენ ვხემათ დღევანდელი ისტორიკოსების, პალეოგრაფების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების, იბეროლოგების, უცხოელი პალეოგრაფების და კრიპტოგრაფების შრომების მიხედვით. კრიპტებსა და ასომთავრულს შორის შეიძლება საერთო მოტივების მონახვა. მხატვრული და გამომსახველობითი ფორმები, როგორც ერთგან ისე მეორეგან საერთო გეომეტრიული ფიგურებია: ჯვარი, წრე, ვერტიკალური ხაზი, კვადრატი. ფარული ნიშნების გამარტივება ასომთავრულისთვის რა პრინციპით მოხდა? რაიმე ისტორიულ მოვლენას ხომ არ ქონდა ადგილი? ამგვარი კითხვების აქტუალობას ქართულ მატიანეში აღწერილი ისტორიული პერიოდი ამტკიცებს. როგორც ვიცით ანბანის შექმნა მიეწერება ფარნავაზ მეფეს "და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული" **["ქართლის ცხოვრება" I ]**. მატიანეში ჩაწერილი ზოგადი ფრაზა ბევრჯერ გამხდარა მსჯელობის საგანი. ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა და სხვა მეცნიერები მიიჩნევენ რომ ფარნავაზ მეფემ ადრე არსებული ძველი დამწერლობის ნიშნები გამოიყენა ქართული ანბანის შესაქმნელად "ლ. მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენლის პიროვნების შესახებ მას ქართული მწიგნობრობა ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიაჩნია **["ქართლის ცხოვრება" I ]**. საყურადღებოა რომ მეთერთმეტე საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ქონია წარმოდგენილი" **["ქართ. პალეოგრაფია" ივ. ჯავახიშვილი 1949, გვ. 194]** იქვე ე.ი "ქართული ანბანის შემომღებელი და მომპოვებელი იყო". მიუხედავად აღნიშნულისა, მოგვიანებით, ზოგიერთებმა მიიჩნიეს რომ ბერძნულიდან აღებული ნიშნებით და მთვარის სიმბოლური ნიშნებით შეიქმნა ანბანი. ისტორიულად ქართველ ხალხს თუ კი ქონდა ფარული ნიშნები (კრიპტები), საეჭვოა სხვა ხალხის დამწერლობიდან აეღოთ ნიშნები. მეფე ფარნავაზის ცხოვრებისეული პერიოდია კავკასიის მთებში შეფარება და მძლევამოსილი მოსვლა "კავკასიას მუნ იზრდებოდა" **["ქართლის ცხოვრება გვ. 55.]** უფლისწული რომელიც იძულებული გახდა გახიზნულიყო მისთვის საიმედო ადგილას, ჩამოდის მთიდან გაძლიერებული და პოლიტიკურად კონსოლიდირებული. პოულობს გამოქვაბულში შენახულ განძს, აერთიანებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველურ თემებს, შემოაქვს საერისთაოებით მოწყობილი სახელმწიფო წყობილება, ატარებს რეფორმას და შემოაქვს დამწერლობა. გამოდის რომ საქართველოს ძველ ისტორიაში მეფე ფარნავაზია პირველი პიროვნება რომელმაც ერთიანობის თესლი ჩააგდო მონათესავე თემების ცნობიერებაში. ფარნავაზთან და ანბანთან დაკავშირებით ერთის თქმა შეიძლება, ანბანისთვის ნიშნების აღება მოხდა ისეთი ჯგუფიდან და ისეთ დროს, რომელიც იყო ცოცხალი და ფუნქციონირებადი. მცირე აზიაში ამნაირი ცოცხალი, მონუმენტური ნიშნები ისტორიულად ფარნავაზის პერიოდში არ ფიქსირდება, მაშინ რჩება ისევ საქართველოს მთიანეთის ძველი საკულტო ყოფის არსებობა **[ი. სულგულაძე „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“**



**1986]. (ღვთაებრივი ასტრალურ-კოსმოგონიური, ნიშან-სიმბოლოები)** საქართველოს ტერიტორიაზე შეკრების და დახარისხების შემდეგ გამოჩნდა ძირითადი 40-მდე ნიშანი, აქედან კრეტულთან და იბერიულთან მსგავსებაშია 30-ზე მეტი ნიშანი. მსგავსებაა ასევე ასომთავრულ ასოებსა და იბერიულ ხაზოვან ნიშნებში. ჩვენ არ ვამბობთ ასომთავრულთან მკვეთრად გამოხატულ გრაფიკაზე, თუმცა ზოგიერთი ნიშნის ზუსტი გამეორებაც შეიმჩნევა, ძირითადად კონსტრუქციული ჩონჩხის მსგავსებებია იბერიულ ხაზოვანთან: ბი და ბ, გი და გ, კე და კ, ტე და თ, ე და ე, გე და იოტა, რი და ფ, დი და ხ, კრეტულ "A" ხაზოვანთან გარეგნულად მსგავსია შემდეგი ასოები: ს, ვ, ქ, პ, ჟ, ღ, შ, ჩ, ჯ, ძ, წ. კრეტული "A" ხაზოვანი გაუშიფრავია, „A“ ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრა მოხდა 1952-1956 წლებში, მ. ვენტრისის, ჯ. ჩედრიკის მიერ.

დაშვება, რომ რაც კრეტულში და იბერიულში ნიშანთა სახელწოდებებია საქართველოშიც ფარული ნიშნები ანალოგიური სახელწოდების იქნებოდა, არ იქნება სწორი. მხოლოდ მიახლოებაზე შეიძლება საუბარი იმ დონემდე რასაც პრობერული ერთნაირი წინაინდოგროპული ენების ფონეტიკური მსგავსება სწვდებოდა [თ. გამყრელიძე. "ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" თბილისი 1984], (აქ გეომეტრიული ორნამენტის სახელწოდებებიც გასათვალისწინებელია).

ზემოთ აღნიშნულიდანაც ჩანს რომ ასომთავრულის დახვეწილი ასოები შექმნილია არა ალაღბედზე ან ფანტაზიით, არამედ ძველი ნიშნების მიხედვით, უფრო საყურადღებოა „ქ“-შემდეგი მწკრივის ასოების მონუმენტური მოხაზულობა, რადგან მსგავსი ფონემის ასოები არც ბერძნულში, არც არამეულში და არც ფინიკურში არ არსებობდა. შემორჩენილ ფარულ ნიშნებში არის კიდევ იდეოგრამები რომლებიც არც შუა მდინარეთში არც კრეტულ და არც იბერიულში არ გვხვდება: მრავალ უჯრიანი კვადრატები წერტილებით, ბორჯღალი წრიანი შუაგულით, ჯვრიანი წრე ცალმხრივი ხუთი სხივით, ორმაგი სპირალი, ჯვარი ორი ჯვრით და წერტილებით. ჩვენი აზრით მეფე ფარნავაზი იცნობდა ამ ნიშნებსაც, იგი შეხვდებოდა იმ საკულტო მსახურთაც რომელთაც იცოდნენ ფარული ნიშნების წაკითხვა "არა უწიგნურნი იყვნენ ქურუმნი" -ქართული მატთანე ["ქართლის ცხოვრება" I].

დასკვნა:

1. ფარული ნიშნები კრიპტები, საკულტო მსახურთა და ქურუმთა ცოდნის ნაკვალეფია, მათი ცოდნა ზოგან მოღწეულია შუა საუკუნეებამდე (ხახმატში ძველებურ ხის კიდობანზე ამოჭრილი ნიშნები) საფიქრებელია, რომ მეფე ფარნავაზის ეპოქაშიც იარსებებდა ფარული ნიშნები;
2. მეფე ფარნავაზის მთაში ყოფნის პერიოდი, საკულტო ფარული ნიშნების ფუნქციონირების პერიოდი და ასომთავრულის შექმნის ისტორიული ცნობა ერთმანეთს ემთხვევა;
3. ასომთავრულის ასოების ძირითადი კონსტრუქციული (ჩონჩხის) აგებულება აღებული ჩანს პრობერული ხაზოვანი ფარული ნიშნებიდან, რომელსაც ფლობდა გამორჩეული ქართველი ქურუმობა, ხუცესობა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ბერძნულის და არამეული ასოების გარკვეული გავლენაც არ გამოირციხება.

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ფარული ნიშნები სერიოზულ კვლევას მოითხოვს.





**ბიბლიოგრაფია:**

1. ი. ჯავახიშვილი ქართული პალეოგრაფია 1949.
2. ქართლის ცხოვრება I
3. თ. გამყრელიძე. ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. თბილისი 1984 აღმოსავლეთის დასწერლობის ძეგლები.
4. თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოს. საქართველოს მთიანეთში. თბ. 1967.
5. ი. გულაძე ქართ ლი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ. 1986.
6. ვ. ბარდაველიძე. გ. ჩიტაია. ქართლი ხალხური ორნამენტი. თბ. 1939.
7. ს. მაკალათია ხევსურეთი. თბილისი 1984.
8. Ἰ. Ἀαἰδῶδῆν. Ἄæ.×âââèè. Ἀâðèððîâèâ èèíâéíîâî ìèñüìà Ἀ. Ἰâðââîâ Ἀ. Ἀâðèíîâîé. Ἰ. (Ἐâíâðèâæ 1956)
9. ნ. ხაზარაძე. ლუვიური იეროგლიფების სამყაროში. 2006
10. რ. პატარაძე. ქართული ასომთავრული. 2006
11. I. Gelb. Hittete hierogluphic Monuments Chteago. 1936
12. p. Meriggi. Manuale Die Eteo Geroglifico. parte II.
13. A. Parrot. Archeo logie mesopotaminne. Paris. 1953
14. E. Laroche. Lashieroglyphes hittetes. 1960
15. Ἀ. Ἐἰἰíðîè. Ἰèíâíèèèâ ââðâââ â èñéóñðââ Ἀðââíââî ââóðâ÷ûð. Ἰ. 1967
16. Ἀ. Ἐóðÿíâñéé. ðàèíû æðâíöíâ, Ἰ 2001.
17. Ἀ. Ἀἰἰîèîø. Ἀðââíé âñðòîè (ó íâ÷âè èñðîðèè ìèñîâíñðè) 1979.
18. Ḳ. Ἐèîâ. Ḳâîèóðèâ ìèñüìâííñðè, 1940
19. Í, Ἀúÿèííîâ. ðàèíè æðââíèð ìèñüìâííñðè, 1952.
20. Ἀ. Ἰἰíâíðâéì. Ἀðââíâèÿ Ἰâñîíîðâìÿ, ἰ 1980
21. Í. Õéóóíâð. Ἐóèóóðâ è èñéóñðââ ââóóðâ÷ÿ è ññââíèð ñððâí. Ἰ 1958
22. Ἀ. Ἐñððèí Ἀíçíèèíââíèâ è ðâçâèðèâ ìèñüìà, ἰ 1965
23. Ἀ. Ἀðâ÷óè Ἰâðîâðñèèâ çíâèè. Ἰ 1974
24. Ἀ. Ἰ. Ἀðâ÷óè Ἰèñðâìû çíâèîâ ñâââðíîâî ìðè÷âðííðÿÿ. Ἰ 1975
25. È. Ἀóíâââñèâÿ. Ἰçûè ðâðñèèð èâðíâèèðîíâ. Ἰ. 1969
26. Ἰ. Ἀðñâíóéíââ. ×â÷âíñèèâ Ἰâððíâèèðè. Ἰ. 2000.
27. Ç. Ἐñðâíâñèèè Ἐíâââ ñíèíðâ àèèí âíâîí. Ἰ 1982
28. Õ. Ἰââíîââíâ. Ἐâçâèíñèîâ íâðíâíâ çíâ÷âñðââ. Ἰ 1969





## გიორგი კოკოშავილი

### კრიპტობრამული ნიშნები და ქართული ასომთავრული

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემორჩენილია ქვაზე ნაკვეთი, გაურკვეველი შინაარსის მქონე ნიშნები, ე.წ. „კრიპტობრამები“, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ ზოგიერთი უძველესი ცივილიზაციის დამწერლობებთან. ეს ნიშნები შედარებით სრულად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია წარმოდგენილი. ამ ნაშრომში თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ამ პრობლემის ზოგიერთ ასპექტზე, კერძოდ შევეცდებით დავადგინოთ, არის თუ არა მსგავსება აღნიშნულ კრიპტობრამებსა და ქართულ ასომთავრულ დამწერლობას შორის. როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოში ფიქსირებული კრიპტობრამების ზოგიერთი ნიშნის მოხაზულობა სრულად იმეორებს ქართული ასომთავრული ასოების სხვადასხვა ნიშანთა ფორმებს. ასეთებია ასომთავრული ასოების: **Ը**ს თანის, **Ի** ჰეს, **Կ** კანის, **Օ** ონის, **Ձ** ჟანის, **Տ** ჭანის, **Կ** ხარის და **Ս** ჯანის მოხაზულობები. ვიმეორებ, ეს ის ნიშნებია, რომელთა ფორმა სრულად ემთხვევა ზოგიერთი კრიპტობრამის მოხაზულობას. თუმცა გვხვდება ისეთი კრიპტობრაფიული ნიშნებიც, რომლებიც მხოლოდ გარკვეულწილად ამჟღავნებენ გარეგნულ მსგავსებას ასომთავრული დამწერლობის ასო-ნიშნებთან. (იხ. ცხრილი 1). რა თქმა უნდა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიპტობრამები ასომთავრულ ასოებს ფონური მნიშვნელობითაც ემთხვევა. ჯერ საერთოდ გასარკვევია თუ რა ტიპის მოვლენასთან გვაქვს საქმე. რა არის ეს? აზრის იეროგლიფური ჩაწერის ნიმუში, დამწერლობის სილაბური ანუ მარცვლოვანი ტიპი თუ ალფაბეტის ნაირსახეობა, ან კიდევ მათი სინთეზი. თუ კრიპტობრამათა ნიმუშების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღვის ფიქსაციის სხვადასხვა მეთოდია სავარაუდო?

აღნიშნული მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს. ერთი რამ კი არის ხაზგასასმელი – კრიპტობრამები არაერთგვაროვანია და გარკვეული ნიშნების მიხედვით დახარისხებას საჭიროებს. თავდაპირველი ზედაპირული შეხედულებით კრიპტობრამები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი – ესაა ანთროპომორფული და ზომომორფული ხასიათის ფიგურები და მეორე – გეომეტრიული ფორმის აბსტრაქტული ნიშნები. ამ უკანასკნელთა შორის ორ ათეულზე მეტი ე.წ.



ძროთაღი ნიშნები  
ხევსურეთში და თუშეთში


განმეორებადი  
ნიშნები



ცხრილი 1. ხევსურეთსა და თუშეთში ნაპოვნი კრიპტოგრაფული ნიშნები.  
(შეადგინა გ. გიგაურმა)

განმეორებადი ნიშნებია, ანუ ნიშნები, რომლებიც ერთი იდეოგრამის შემთხვევაში ორჯერ ან მეტად მეორდებიან. განმეორებადი ნიშნები უმეტესწილად გვხვდება იმ პეტროგლიფებში, სადაც კრიპტოგრაფიული ნიშნები ერთ საზზე არიან განთავსებული. ასეთია მაგ. სოფელ კისტანის საბრძოლო კოშკის სარკმლის თავსა და რაფაზე განთავსებული, წაგრძელებული ფორმის, კრიპტოგრაფიანი ქვები. ხოლო ერთ სტრიქონში განმეორებადი ნიშნების არსებობა კი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ შესაძლებელია საქმე გვაქვს სილაბური ან ალფაბეტური წერის ფენომენთან. ყოველ შემთხვევაში არც ამის გამორიცხვა იქნებოდა მართებული. თუ ეს ასეა, მაშინ ისღა დაგვრჩენია ჩვენთვის საინტერესო კრიპტოგრაფები შევადართოთ ასომთავრული დამწერლობის ასოთა მოხაზულობებს, შევეცადოთ გავერკვეთ კრიპტოგრაფების ფონურ მნიშვნელობებში და მოვუძებნოთ ანალოგიები ასომთავრული ასოების დასახელებებთან.



ხევსურეთი, სოფელი ბისო.  
“გიორგი ნალვარმშენიერის” სალოცავის ნიშნისანი ქვა.  
1982 წელს გადაღებული ფოტო.

ძირითადი ხელნასაჭიდი ამ შემთხვევაში ქართული ასომთავრული დამწერლობის ასონიშანი „ქანი“-ა, რომლის მოხაზულობა აბსოლუტურად იდენტურია კრიპტოგრამული დამწერლობის ერთ-ერთი ნიშნის, ბოლოებშემოზღუდული ჯვრისა.



საერთოდ ჯვარი, როგორც გარკვეული შინაარსის მქონე ფიგურა, ჯერ კიდევ ზედა პალეოლითშია დამოწმებული. ირ. სურგულაძის აზრით, ჯვარი აღმოცენდა როგორც მზის პოზიციებზე ორიენტირებული საკოორდინაციო ნიშანი. [1]. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ჯვარი წარმოადგენს დედამიწაზე მზის პროექციის სიმბოლოს ანუ ზე-ციურის („მ-ზე“-ს) ანტიპოდს – ქვე-ყანას. თუ ქართულ ასობგერა „ქან“-ს განვიხილავთ, როგორც ქარაგმულ ნაწერს, მისი მნიშვნელობა მართლაც შეიძლება „ქვე-ყან“-ის მნიშვნელობით წარმოვიდგინოთ ქნ. ამავე დროს ჯვარი თავიდანვე დამცავი ნიშანიც გახლდათ, რადგან სოლარულ წარმოდგენებში იღებდა სათავეს. გავიხსენოთ ხევსურული ტანსაცმლის შემკულობა, სადაც ე.წ. „ნაჭრელის“



(„ნაჭრელი“ ჰქვია გეომეტრიული ფორმის შემკულობას, რომლითაც საქართველოს მთიანეთში დეკორირებული იყო სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები – ტანსაცმელი, ავეჯი, ჭურჭელი, ფარდაები და ა.შ.) ძირითად ელემენტს სხვადასხვა ფორმის ჯვრები წარმოადგენს – „ტოტიან ჯვარი“, „ჯვრიანთვალი“, „ჯვარიდებულა“, „კანჭულა“, „ჯვარანა“ და სხვა. [2]. (ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ „ჯვრიანთვალზე“, ქვემოთ ვისაუბრებთ).

ჯვარი რომ საქართველოს ყველა კუთხეში საკულტო მსახურებისა და რიტუალების აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ ამას მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს.

მაგალითად ხეში დადასტურებულ საქორწილო რიტუალში, ხის წვერზე, რომელსაც „კარახა“ ერქვა, ჯვრების გაკეთება იცოდნენ, ხოლო მთიულეთში და ფშავში ამდაგვარ რიტუალურ ხესთან „ჯვრის პურები“ მიჰქონდათ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვ. ბარდაველიძის მიერ აღწერილი, სვანური სარიტუალო-საწესო ქმედების ერთ-ერთი ატრიბუტი, ე.წ. „ანგი“: – „ქვემო სვანეთში, უახუნდერში, „ლიმურყვამალის“ დღესასწაულის დროს აგებულ თოვლის კოშკზე დარტყობილი ხის წვერი დროშით ან ჯვრით არის შემკული. „მელია-ტულეფიას“ რიტუალი ერთი ნაწილია ქვემო სვანური ლიმურყვამალისა, რომელიც უძველესი ვარიანტით არის ცნობილი. „აღბა-ლაღრალისა“ და „ლიმურყვამალის“ დღესასწაულებში მთავარია თოვლის კოშკის აგების თემა. კოშკის შუაში გაკეთებულია ნაძვის, ცაცხვის ან სხვა რომელიმე მაღალი საკრალური ხე – „ანგ“ ან სარი, რომელზეც ზემო სვანეთში მანდილიანი დროშა არის მიმაგრებული, ზოგ შემთხვევაში ხის ან სარის წვერზე ადამიანის გამოსახულება – „ლამარია“ მიმაგრებული, რომელსაც ხელში დაშნა უჭირავს, წინ ხის ფალოსი აქვს ჩამოკიდებული, ხოლო სახეს საცრის – „ფარის“ ნაგლეჯი განასახიერებს. საყურადღებოა, რომ „საცერი ნაყოფიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული, და ზეციური წყლის ფრქვევის ობიექტს წარმოადგენს. იგი ცრემლის ანალოგიურია. ქართველთა წარმოდგენით ცრემლი ასოცირდება წვიმასთან და მეტაფორული აზროვნების არსენალს განეკუთვნება. ჩვენთვის ამ მოვლენაში საგულისხმოა ის, რომ საცერი თავისი მომრგვალებული, წრიული ფორმით, ზეციურობის სიმბოლოს წარმოადგენს. [3]. როგორც ჩანს ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ხე, მასზე დამაგრებული ჯვრით, „სიცოცხლის ხის“ იდეასთან უნდა იყოს კავშირში.

თოვლის კოშკზე აღმართული ცაცხვისა თუ ნაძვის ხეს, რომელის წვერზე სხვადასხვა საგნებია დამაგრებული: ჯვარი, დროშა, „ლამარია“ და ა.შ., როგორც აღნიშნული იყო, „ანგს“ ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ სვანური „ანგის“ მსგავსად ANHKH ჰქვია ეგვიპტელთა თავმომრგვალებულ ჯვარს  $\Psi$ , რომელიც ასევე სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული. [4]. ქართული „ანგისა“ და ეგვიპტური „AHNKH“-ის მსგავსებას ყურადღება პირველად ვ. რუხაძემ მიაქცია. როგორც ცნობილია ძველ ეგვიპტურ რელიგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მზის ღმერთს „რა“-ს, რომლის უცვლელი და უწყვეტი აღორძინების ნიშანია „ანხ“-ი – ჯვარი, რომელსაც წრის გამოსახულება აზის.

ამგვარი დასკვნა ეხმაურება ლ. ბოჭორიშვილის მოსაზრებას, რომელიც ფიქრობდა, რომ ეგვიპტურ ღვთაებათა ხელზე გამოსატული ჯვარი და სიცოცხლის აღმნიშვნელი იეროგლიფი




შეიძლება გენეტიკურად უკავშირდებოდეს ერთმანეთს, რადგან ჯვარი სიცოცხლის მიმნიჭებელ ღვთაებათა ატრიბუტიაო. [1].

როგორც ჩანს ხის წვერზე დამაგრებული ჯვარი, რომელზედაც საცრის რგოლია ჩამოცმული, ასახიერებს ქვეყანისა და ზეცის ერთიანობას, სადაც ზეციურის სიმბოლოს – საცრის რგოლი, ანუ წრე გამოხატავს, ხოლო მიწიერის სიმბოლოდ ჯვარი წარმოგვიდგება. ამ ორი საწყისის, ზეციურისა და მიწიერის, ცისა და მიწის, სულიერისა და მატერიალურის დამაკავშირებელ ღერძად „სიცოცხლის ხე“ გვევლინება. მიწის სიმბოლო – ჯვრისა და ცის, ანუ „ცარგვალის“ სიმბოლოს ერთიანობას კი „ანგი“, ეგვიპტურად AHNKH, ჰქვია.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს შუმერული მითოლოგიის ღმერთების, ცის ღმერთის – „ან“-ისა და მიწის ღმერთის „ქი“-ს სახელები. სამყაროს წარმოქმნის შუმერული მითოსის მიხედვით, რომელიც უკიდურესად ლაკონური სახით არის შემონახული, ცა (ან) და მიწა (ქი) თავდაპირველად ერთი მთლიანობა ყოფილა და „ოდესღაც“ განცალკევებულან. მათ კავშირს გამოხატავს ღვთიურობის აღმნიშვნელი დეტერმინატივი, – ღურ-ან ქი, „კავშირი ცისა და მიწისა“. (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976 წ.). ჩვენთვის ასევე საყურადღებოა, რომ აშურულ მითოლოგიაში ცის ნიშანი გამოისახება, როგორც ფრთოსანი წრე და მას „მირგვალა“ ჰქვია. [5].




ხვეწიერული სოფ. კახიანი „აბულეიაური“ ციხე-კოშკის  
 სრ. სარკმლის ქვედა ქვა  
 ზომა 100X25 სმ



ჩანახაზი



ამ ფაქტების შეჯერების შედეგად არ იქნება უმართებულო ვივარაუდოთ, რომ შემერული ან-ქი-ს, ეგვიპტური AHNKH-ისა და ქართული ანგ-ის გამომსახველი სიმბოლო – თაგომრგვალებული ჯვარი  $\oplus$ , წარმოადგენს ლიგატურას, ანუ შეერთებას, ორი დამოუკიდებელი სიმბოლოსი, წრისა და ჯვარისა, სადაც წრე ზეცის სიმბოლოა და მისი ფონური მნიშვნელობა არის „ან“-ი. ხოლო ჯვარი წარმოადგენს ქვეცის, ან მიწის სიმბოლოს და მისი ფონური მნიშვნელობა არის „ქი“ ან „გი“. საინტერესოა, რომ სვანური ენის ჩოლურულ დიალექტზე მიწას ჰქვია „გიმ“ ან „გი“.



ჯვარის ფორმის ნიშნის ამგვარი მნიშვნელობის დასტურს შესაძლოა წარმოადგენდეს სოფელ უკანსადუს სალოცავის ეზოში დაცული ფარულნიშნებიანი ქვა. (იხ. ნახატი 2). ეს ქვა მართკუთხა ფორმისაა, ზომით 60X42 სმ. მის ზედა, მარცხენა კუთხეში ამოკვეთილია ბოლოებშემოსაზღვრული ჯვარი, ე.წ. „ტოტიანჯვარი“, ხოლო მარჯვენა ქვედა კუთხეში ქართული მხედრული დამწერლობის ასონიშანი „ქ“. ჩანს, რომ ორივე ეს სიმბოლო ქვის ცენტრალურ ნაწილში ამოტვიფრულ ანთროპომორფულ გამოსახულებასთან (ხელებგაშლილი კაცის სტილიზებულ ფიგურასთან) არის დაკავშირებული და ერთიდაიმავე მნიშვნელობის მატარებელია. გამოდის, რომ კრიპტოგრაფიული დამწერლობის ჯვრის ფორმის ნიშანი, ამ შემთხვევაში სწორედ ქართული დამწერლობის „ქან“ ასოს შესატყვისია.

როგორც ვხედავთ კრიპტოგრაფიული დამწერლობის ჯვრის ფორმის ნიშანი და მისი ფონური მნიშვნელობა იდენტურია ქართული ასომთავრული დამწერლობის „ქან“ ასონიშნის მნიშვნელობისა. რაც შეეხება წრის ფორმის ნიშანს, ანუ ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოს ზედა ნაწილს, ის შეიძლება, გარკვეული წარმოსახვის მოშველიებით, წარმოვიდგინოთ როგორც ასომთავრული დამწერლობის ორი ასონიშნის ან-ისა და ცან-ის შეერთება – „ან“+„ცან“. თუმცა ამ შემთხვევაში „ან“-ის გრაფიკული გამოსახულება ასომთავრული ასონიშნის ვერტიკალურ სარკისებურ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

წრის ფორმის ნიშანს, O -ს, ფინიკიურ ანბანში (რომელიც ჯერჯერობით ქართული ასომთავრულის წინამორბედად ითვლება), აქვს ორი ფონემური მნიშვნელობა – „ო“ და „ღ“,





თუმცა გამოითქმება როგორც – „აინ“ – რაც ნიშნავს თვალს. ეს გარემოება მხარს უმაგრებს ჩვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წრიული ფორმის ნიშანი  $\bigcirc$ – „ან“ მარცვლის ფონური მნიშვნელობისა უნდა იყოს.


თვალის მოტივი მნიშვნელოვანია ქართულ ყოფაში გამოყენებული ორნამენტისთვისაც. თუშური ნაბდის ნაჭრელის ელემენტებია ე.წ. „თვალი“, „გადაგრეხილ თვალი“, „ჯვრიანთვალი“, „მთვარე“ და ა.შ. (მთვარეს ძველ ქართულში ერქვა – თუე, მეგრულად – თუთა). ყველა ეს ორნამენტი წრის ფორმისაა, თუმცა თითოეულ მათგანში ჩასმულია ან წერტილი, ან კონცენტრირებული ერთი ან რამდენიმე წრე, ან ჯვარი. წრეში ჩასმული ჯვარი  $\oplus$  (თუშური დასახელებით „ჯვრიანთვალი“), შუპერული ანბანის მე-9-ე ასოს აღნიშნავს და მისი სახელწოდებაა – „ტეთ“, რაც ნიშნავს გორგალს. ვ.ბარდაველიძე ამბობს, რომ დასავლურ-ქართული გირგელი, გვერგვი, კალპი და აღმოსავლეთ-ქართული გვირგვინი მზის ღვთაების სიმბოლური ნიშნებია. ქართული ტრადიციით თვალის გამოსახულებაც სწორედ მზის სიმბოლური ნიშანია. ასომთავრული ანბანის მე-9-ე ასო არის „თან“-ი, რომლის ფორმა თვალის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს ( $\Gamma$ ). სიტყვა თვალი – მზის ეპითეტია.

მზისა და თვალის ერთიანობას ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსცემს გენიალური ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ვრცელი ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მზის ხანა ქართველთა“. აქ მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი ოდნავი შემოკლებით:

– მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში.“ თვალით აქ ნაგულისხმევაა მზე... თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს. გავისხენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“; ანათებს. „თვალი ჩასულა მტევანში“ – ეს ნამდვილი პოემაა, პოემასთან ერთად „ირმის ნახტომი“. (გრ. რობაქიძე, „მზის ხანა ქართველთა“, საბჭოთა ხელოვნება, 5. 1989 წ. გვ. 102). [6].



ხევისურეთი, სოფელი უკანხაღუ. ხალოცავის ეზოში დაყული ქვა.  
 ზომა 60X42 სმ.



ჩანახატი

ქართული რწმენით (თუ ცოდნით), მზე ცხრათვალაა. როგორც ცნობილია მზის გარშემო წრიულ (ან უკეთ ელიფსურ) ორბიტებზე ცხრა პლანეტა მოძრაობს. თითოეული მათგანის მოძრაობის მრუდი წარმოადგენს პირობით წრეს, რომლის ცენტრში მზეა მოთავსებული ანუ მათი ფორმა მოძრავი თვალის, ამ შემთხვევაში „ურმის თვალის“ ანალოგიურია. გამოდის, რომ მზეს გარშემო ცხრა თვალი აკრავს და თითოეული მათგანის „თვალი“ არის მზე.

ამ ფაქტების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წრიული ფორმის ნიშანი, რომელშიც რაიმე სიმბოლო – წერტილი, წრე, ჯვარი და ა.შ., არის ჩაწერილი, „თვალს“ აღნიშნავს. სილაბური ან ალფაბეტური დამწერლობის შემთხვევაში მისი ფონური მნიშვნელობა „თ“ ბგერის ან ამ ბგერით დაწყებული მარცვლის გამომხატველი უნდა იყოს. ქართული ასომთავრული ანბანის „თან“ ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობა კი წრეში ჩამჯდარი ჯვრის, ე.წ. „ჯვრიანთვალის“ ვერტიკალური ხაზის გასწვრივ ორ ნაწილად გაყოფის შედეგსაც შეიძლება წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში გაყოფილი ნიშნის მარცხენა ნაწილი ასომთავრული ასონიშნის ზუსტი გამეორება იქნებოდა, ხოლო მარჯვენა ნაწილი კი მისი სიმეტრიული ანარეკლი.

საბოლოო სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეგვიპტური სიცოცხლის სიმბოლოს, მრგვალთავიანი ჯვრის – ☩ -ის, და მისი ქართული და შუმერული ანალოგის, ანგისა და ან-ქის დაშლის შედეგად დავადგინეთ, რომ ქართულ კრიპტოგრამებში დაფიქსირებული წრის ფორმის ნიშანი შესაძლოა „ან“ ბგერას გამოხატავდეს, ჯვარი – ქართული ასომთავრული დამწერლობის „ქან“ ასონიშნის შეესატყვისებოდეს, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, ხოლო წრეში ჩასმული ჯვარი „თ“-ს ან „თ“ ბგერით დაწყებულ მარცვალს აღნიშნავდეს. (ასევე ვიტყვით, რომ კვადრატში დიაგონალურად ჩაწერილი ჯვარი ☒ ძალიან წააგავს ასომთავრული ანბანის ასო „ჯან“-ს, რომელსაც ზედა ნაწილში შემორჩენილი აქვს კვადრატის ხაზის ნაშთი, თუმცა აღნიშნული შემდგომი კვლევის საგანია).

უნდა ითქვას, რომ ყველა აქ გამოთქმული მოსაზრება ძირითადად ვარაუდებისა და ჰიპოთეზების სახით არსებობს და მათი დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ კრიპტოგრამების



გაშიფვრის შემდეგ გახდება შესაძლებელი. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სწორედ კრიპტოგრამათა გრაფიკული სიმბოლოები წარმოადგენენ ასომთავრულ გრაფიკათა პირველწყაროს, ან პირიქით, ასომთავრული ასოების დეკორის სახით გამოყენებამ დაუღო საფუძველი კრიპტოგრაფიული დამწერლობის ჩამოყალიბებას (თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულ მიზეზთა გამო ნაკლებ სავარაუდოა). ერთად-ერთი კრიპტოგრაფიული ნიშანი, რომელსაც მეტ-ნაკლებად დადასტურებული, როგორც გრაფიკული, ასევე ფონური ანალოგი გააჩნია ასომთავრულ დამწერლობის ასოთა შორის, არის ბოლოებშემოზღუდული ჯვარი, ე.წ. „ტოტიანჯვარი“ – მისი შესატყვისი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არის ასომთავრული „ქან“. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ კრიპტოგრამული ნიშნებისა და ქართული ასომთავრული დამწერლობის ასოთა გრაფიკული და შინაარსობრივი თანხვედრის თუნდაც ერთი დადასტურებული პრეცედენტის არსებობა უფლებას გვაძლევს გავაგრძელოთ კვლევები ამ ორ მოვლენას შორის არსებული გენეტიკური კავშირის დასადგენად.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

- 1 – ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, ბერიკაობა-ყვენობა, თბილისი, 1999 წ.
- 2 – გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი, თბილისი, 1993 წ., გვ. 124.
- 3 – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, დროშა „ლეშ“, მგელი-ძაღლი, მსე, ტ. XII- XIII, თბ. 1963 წ. გვ. 149-150.
- 4 – Áíëüøíé Àíäëí-óññèèè ñëíâðü, Åàëüüâðëí È.Đ.Ï., 1972 ä., ñòð. 82.
- 5 – ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976 წ.
- 6 – გრ. რობაქიძე, „მზის ხანა ქართველთა“, საბჭოთა ხელოვნება, 5. 1989 წ., გვ. 102.

### SUMMARY

**Georg Kokoshashvili**

#### **Cryptographical Symbols and Georgian „Asomtavruli“**

Throughout the territory of Georgia are found out characters of unknown ancestry and content, so called cryptograms. After observation, these characters could be divided into two groups:

1. Anthropomorphical and zoomorphical figures, and
2. Abstract geometrical shapes.

Amongst symbols of geometrical configuration there are more than twenty, that are repeated throughout the script, which creates thought of these characters could be of syllabic or alphabetic writing.

Some of this characters are merely repeated letters that look like one of Georgian alphabet



„Asomtavruli“.

After decoding some of the cryptograms was possible to identify similarity between Egyptian life symbol - „ahnkh“, Georgian (Svanian) - „angi“, and Shumerian - „an-cki“. If these signs represent ligature, in other words connection of two independent symbols - Cross and Circle, with farther researches it is fair to assume, that the circle represents syllabic unit „an“, and cross - a letter from „Asomtavruli“ alphabet - „ckani“.

In conclusion, it`s worth of mentioning that axistence of the precedent of similarity one of the symbol of cryptograms and letter from „Asomtavruli“ gives us right of farther continuing researches to establish genetic relationship between these two phenomena.

**შეჯამება**

**სამეცნიერო სტატიის თემატიკა**

**ქვეყნების საზღვრებს მიღობის საკითხები**

საქართველოს საზღვრების დაცვის საკითხებს უკავშირდება ის ფაქტი, რომ არსებობს მსგავსება ეგვიპტის „ahnkh“ სიმბოლოსა და ქართულ „ckani“ ასომთავრულს შორის. თუ ეს სიმბოლოები წარმოადგენს დამოუკიდებელი სიმბოლოების კავშირს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სიმბოლო წარმოადგენს სილაბურ ერთეულს „an“, ხოლო კვანძი „ckani“.

- 1) ოდესმე არსებობდა მსგავსება ეგვიპტის სიმბოლოსა და ქართულ ასომთავრულს შორის.
- 2) საზღვრების დაცვის საკითხების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად არსებობდა მსგავსებები ეგვიპტის „ahnkh“ სიმბოლოსა და ქართულ „ckani“ ასომთავრულს შორის.

შედეგად აღინიშნება, რომ მსგავსების არსებობა ადგილობრივი კავშირების დასაბუთების საშუალებას გვაძლავს, რაც ხელს შეუწყობს ეგვიპტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საკითხების განხილვას.

სამეცნიერო სტატიის მიზანმიმართული კვლევის საშუალებას გვაძლავს ვთქვათ, რომ მსგავსების არსებობა ადგილობრივი კავშირების დასაბუთების საშუალებას გვაძლავს.

შედეგად აღინიშნება, რომ მსგავსების არსებობა ადგილობრივი კავშირების დასაბუთების საშუალებას გვაძლავს, რაც ხელს შეუწყობს ეგვიპტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საკითხების განხილვას. ისტორიულად არსებობდა მსგავსებები ეგვიპტის „ahnkh“ სიმბოლოსა და ქართულ „ckani“ ასომთავრულს შორის. თუ ეს სიმბოლოები წარმოადგენს დამოუკიდებელი სიმბოლოების კავშირს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სიმბოლო წარმოადგენს სილაბურ ერთეულს „an“, ხოლო კვანძი „ckani“.

სამეცნიერო სტატიის მიზანმიმართული კვლევის საშუალებას გვაძლავს ვთქვათ, რომ მსგავსების არსებობა ადგილობრივი კავშირების დასაბუთების საშუალებას გვაძლავს.





## საქართველო გერმანელი ანთროპოლოგის თვალით

Fragen

*- Mir ist dein Interesse und Engagement für Georgien bekannt. Ich denke, insofern ist ein Gespräch mit Dir sicherlich interessant für die georgischen Leser und ich danke für das Gespräch heute.*

*- ჩემთვის ცნობილია შენი საქართველოსადმი ინტერესი და მისთვის გაწეული სამსახური განსაკუთრებით ბოლო თვეებში. მე ვფიქრობ ქართული საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება შენთან საუბარი და მადლობას გიხდის არა მარტო ჩვენი დღევანდელი ინტერვიუსათვის, არამედ იმ თანადგომისათვის, რაც ჩვენს მიმართ განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში გამოიჩინე.*

Marika, zunächst habe ich meinerseits Ursache mich zu bedanken, da mir die Gelegenheit geboten wird, über eine Kultur zu sprechen, von der ich glaube, dass sie trotz der in vielerlei Hinsicht schwerer Herausforderungen, vor denen sie steht, nicht nur für die vergangene, sondern vor allem auch für die zukünftige geistige Entwicklung der Menschheit von großer Bedeutung ist. Das mag pathetisch klingen, aber die Menschheit wird nicht nur durch den Logos, sondern auch durch unsere Leidenschaften gebildet. Georgien ist in verschiedener Hinsicht ein Land, das uns die pathische Dimension unseres Menschseins vergegenwärtigt.

მარიკა, პირველ რიგში მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ შესაძლებლობა მომეცა იმ ქვეყნის კულტურაზე საუბრისა, რომელსაც, მიუხედავად მძიმე გამოწვევებისა, არა მხოლოდ კაცობრიობის წარსულის წინაშე აქვს დამსახურება, არამედ მომავალი სულიერი განვითარებისათვისაც უდიდესი მნიშვნელობის მქონეა. შესაძლოა ეს პათეტიკურად უღერდეს, მაგრამ კაცობრიობა ყალიბდება არა მხოლოდ ლოგოსით, არამედ ჩვენი ტკივილითა და განსაცდელით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ჩვენ ადამიანად ყოფნის ემოციურ განზომილებას წარმოგვიდგენს.

Giordano Bruno hatte die metaphysische Bedeutung der Leidenschaft vor allem in der Wirklichkeit der Dichtung aufgewiesen. Das Georgien Nikolos Barataschwilis und Washa Pschawelas ist vielleicht mehr noch als Italien das Land der „Heroischen Leidenschaften und des individuellen Lebens“, Ossip Mandelstam schreibt in „Ein paar Worte über die georgische Kunst“ von der „heroischen Zärtlichkeit“. Damit will ich hier nicht in komfortabler Lage ein idealisierendes Hohelied auf die Leiden der Georgier singen. Das käme mir frivol vor. Aber vielleicht können wir im Verlauf unseres Gesprächs auf den Zusammenhang von Gefühl und Kultur noch einmal zurückkommen.

ჯორდანო ბრუნო კაცობრიობის ტანჯვისა და განსაცდელის მეტაფიზიკურ საზრისს, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ სინამდვილეში პოუვდა. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას საქართველო, იქნებ უფრო მეტია, ვიდრე „ინდივიდუალური ყოფის ჰეროიკული ვნებათაღელვების“ იტალია. ოსიპ მანდელშტამი წერს „ჰეროიკული სინაზის“ შესახებ თავის „ორიოდე სიტყვაში ქართული ხელოვნების შესახებ“. ამით არ მინდა თავი კომფორტულ მდგომარეობაში მოვიქციო და მაიდეალიზირებული სახობო საგალობელი ვთქვა ქართველების სატკივარზე. ეს ზერელობა



იქნებოდა ჩემთვის. მის სანაცვლოდ საუბრის მსვლელობისას იქნებ შევძლოთ იმ კავშირებისკენ მივმართოთ ჩვენი ყურადღება, რომლებიც ემოციურ სფეროსა და კულტურას შორის არსებობს.

- *Dein Arbeitsbereich ist die historische Anthropologie, wir möchten heute gerne einiges von Dir hören, was Dich beschäftigt.*

- *შენი სამუშაო სფერო არის ისტორიული ანტროპოლოგია, გვსურს გავიგოთ შენგან ცოტაოდენი იმის შესახებ, თუ რითი ხარ დაკავებული.*

Im Grunde habe ich diese Frage schon ansatzweise beantwortet. Mich interessiert, wie aus Stimmungen historische Lebensstile werden, wie unsere Gefühle Form annehmen. Das sind zentrale Fragestellungen der historischen Kulturanthropologie, die mein Forschungsgebiet ist. Mir geht es nicht in erster Linie um das Licht des Logos, nicht um die reine Idee, sondern um den „Erdenrest zu tragen peinlich“, wie Goethe das einmal beschrieben hat.

ფაქტურად ამ კითხვას ნაწილობრივ უკვე შევხვებ. მე მაინტერესებს, თუ როგორ იქცევიან განწყობილებები ცხოვრების ისტორიულ ყაიდად, თუ როგორ იქნენ ფორმას ჩვენი ემოციები. ეს არის მთავარი შეკითხვა ისტორიულ კულტურანტროპოლოგიაში და ეს ჩემი კვლევის საგანია. ჩემი ინტერესი უპირველესად მიმართულია არა ლოგოსის შუქისაკენ, არა წმინდა იდეისაკენ, არამედ იმისაკენ, რაც თუნდაც როგორც გოეთემ აღწერა ერთხელ, როდესაც ამბობდა, მიწიერი ნარჩენის ტარება უხერხულიაო.

Also, mich interessieren die historischen Erfahrungen, die wir endlichen Wesen machen, wenn unser Geist ins Übersinnliche vorzustößt versucht. Ich möchte die Konkretion der Idee nachvollziehen. Um in der Lichtmetaphorik zu verbleiben, suche ich nach den historischen Prismen, in denen sich das Licht des Logos bricht und so das Spektrum seiner kulturellen Farben entfaltet. „Am farbigen Abglanz haben wir das Leben“, so hat es wiederum Goethe Faust in den Mund gelegt. Grigol Robakidse, der Goethe überaus schätzte, hat darauf hingewiesen, dass die Sonne in Georgien als Inbegriff des Lebens schlechthin gilt. Jede wesenhafte Erscheinung wurzelt im Licht der Sonne, aber „Alles“ („qwelapheri“) heißt „alle Farben“.

ანუ, მე მაინტერესებს ისტორიული გამოცდილებები, რომლებსაც ჩვენ სასრული არსებები მოვიპოვებთ მაშინ, როდესაც ჩვენი სული ზეგროძნობაში გაღწევას ცდილობს. მე მსურს იდეის დაკონკრეტების (განსხეულების) პროცესს გავეყუ და დავაკვირდე მას. კვლავ სინათლის მეტაფორას რომ მივმართოთ, ვეძებ ისეთ ისტორიულ პრიზმებს, რომელშიც ლოგოსის სინათლე გარდატყდება და კულტურული სპექტრის ფერებს გაშლის. "ფერთა ანარეკლშია ჩვენი სიცოცხლე", კვლავ ფაუსტის პირით მეტყვევებ გოეთეს მოვიშველიებ. გრიგოლ რობაქიძე, რომელიც გოეთეს ძალიან აფასებდა, მიანიშნებდა, რომ მზე საქართველოში სიცოცხლის სინონიმად აღიქმება. ყოველი არსებითი მოვლენა კი მზის სინათლეში იღებს სათავეს. "ყველაფერი" ქართულად ნიშნავს "ყველა-ფერს", ხომ ასეა?

Auch wenn bei den Georgiern das Auge nicht nur, wie bei Plotin, sonnenhaft ist, sondern die Sonne selbst ist, so pflegt doch der georgische Winzer zu sagen: "Das Auge ist in die Traube eingegangen". So gesehen, Marika, interessieren



mich vor allem die Farben und die Trauben. In der Sprache der modernen Kulturwissenschaft sind das sozusagen die Medien, die Kultur überhaupt erst ermöglichen.

ქართველებისათვის თვალი არა მარტო მზიანია, ისე როგორც ეს პლატონთანაა, არამედ თავად არის მზე; ქართველი მევენახე ამბობს, „ყურძენი შეითვალა“, „თვალი ჩავარდა ყურძენში“. მოდი, ასე ვთქვათ: მე უპირველესად მაინტერესებს უპირველესად ფერები და მტევანი. თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობის ენაში მოპოვებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის მედიუმები, ზოგადად კულტურის არსებობის საშუალებას რომ იძლევა.

Es ist also nicht das unmittelbare Gefühl, sondern vor allem das Medium, das Kultur hervorbringt. Erich Rothacker, der deutsche Kulturanthropologe, über den ich promoviert habe, hat es einmal folgendermaßen ausgedrückt: „Nicht das Gefühl und der visionäre Traum, dessen Verwirklichung am Medium der künstlerischen Ausdrucksmittel scheitert, konstituiert ein Kunstwerk, sondern die ästhetische Vision, welche bereits im Medium der sinnlichen Ausdrucksmittel erfolgte, kennzeichnet den wahren Künstler.“

გრძნობა და ვიზიონერული ზმანებები და მათი ხელოვნების მედიუმალურ საშუალებებად გარდასახვა კი არ მარცხდება ხელოვნების ნაწარმოების შექმნისას, არამედ ესთეტიკური ჭკრეტა, რომელიც თავს იჩენს უკვე გრძნობადი გამოსატვის საშუალებების შეამავლობაში და ჭკმმარტ ხელოვანს გამოარჩევს“.

Das Geistige begegnet uns hier, um es in Anlehnung an Tamas Buatschidze zu sagen, nicht in Gestalt eines exstramundalen idealen Seins im Sinne der platonischen Ontologie, aber auch nicht in den utilitaristischen Bedürfnissen. Das Medium ist vielmehr eine Form der Objektivität, die das „Vergessen des eigenen Selbst“ und die Betrachtung des Gegenstandes in seiner „Objektivität beinhaltet. Das wird durch kognitive, (Semecneba, Secnoba) ästhetische und ethische Taten realisiert.

ამ სივრცეში ჩვენ არ შევეყრებით სულიერებას, თუ თამაზ ბუაჩიძის გამონათქვამს დავეყრდნობით, პლატონისეული ონტოლოგიის ზეგრძნობად არსთა სახით, თუმცა კი – არც უტილიტარული მოთხოვნების მნიშვნელობით. მედიუმი, უმაღლ, ობიექტურობის ერთგვარი ფორმაა, რომელიც „საკუთარი თავის დავიწყებასა“ და საგნის მის ობიექტურობაში განჭკრეტას გულისხმობს. ყოველივე ეს კოგნიტიური, ესთეტიური და ეთიკური შემეცნების აქტივ სორციელდება.

- *Deine Kenntnisse über Georgien, Du warst auch nur einmal und sehr kurz in Georgien, sowie die Geschichte und Kultur, aber auch über die aktuellen Ereignisse, erstaunen mich immer wieder. Worüber wir sprechen wollen. Aber zuerst, was hat Dein Interesse zu Georgien erweckt?*

